Grigol Orbeliani (“To E.Chavchavadze”, “The Image of Queen Tamar in Betania Church”, “An Answer to the Sons”) and Nikoloz Baratashvili (“Tavadis

Chav...is asuls E...nas”, “The Earring”, “Na. Piano Singer”) finally established six-line stanza with metre: 5, 5, 5/5, 5, 5, 5/5 and rhyme according to the scheme aabccb.

Nikoloz Baratashvili is a reformer of Georgian verse, after Rustveli and Guramishvili, although his versification is notable for neither the establishment of new metres, nor harmony of rhythm. While determining the essence of the poet’s reform, Georgian scholars make special emphasis on: the form of thinking, dictate of judgment (T.Doiaashvili), perception and driving force of the metonymic pole of thinking (T.Lomidze), a thought raised to an emotional degree and on the judgment, the intense appeal of the intellect” (A.Khintibidze).

When explaining the peculiarity of N. Baratashvili’s verse, Vakhtang Koteishvili’s view deserves attention: “Nikoloz Baratashvili is good at correlation of rhythm and order with the theme of the verse and mood... He managed to put numerous emotional heights to appropriate size and left the creative stress on the depths of emotions”.

It is interesting to mention the power of Baratashvili’s stanza evaluated by twentieth-century prominent Georgian poets: his ...” stanza is as sharp as Saakadze’s sword (Lado Asatiani), “Baratashvili’s thunder from the mountain” (Aleksandre Abasheli).

Romantic poet’s praise and love verse “***Miyvars tvalebi mibnedilebi” is an example of a dialogue lyrics. It is considered a verse written with mixed stanzas and metres: two quatrains and two-line stanza, respectively, symmetric 10-syllable (5/5) and unusual for Baratashvili’s lyrics 15-syllables, a rare metre – the so-called “didibesikuri” (5/5/5).

The verse “***Miyvars tvalebi mibnedilebi” (Love her languishing eyes) is written in two six-stanzas, singled out with two-line, two stanzas performed with “didibesikuri” (5/5/5), in our view, must be regarded as a refrain: characteristic of love theme, typical praise of sweetheart’s eyes in both of 15-syllables is a conversation with the object of adoration beautiful eyes and like verse-songs of the oldest dialogue form, here too is heard traditional question and response: in the first two-line stanza (bb) first is response and then the question, and in the second two-line – vice versa.

It is known that European fixed verse forms arose in Provence folk poetry and that is why the aspiration for repetition, refrain is obvious in their structure today too; the evolution of refrain forms is the basis for formation of Roman fixed verse forms or stanzas.

Presumably, Nikoloz Baratashvili's verse "***Miyvars tvalebi mibnedilebi" written in 1842 with two sestina must be considered a verse arranged in sestina stanza of Provençal troubadours love song.

თამარ ბარბაქაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ექვსტაეპიანი სტროფი – სექსტინა – და ნიკოლოზ ბარათაშვილის „***მიყვარს თვალები მიბნედილები“

პროვანსეული ტრუბადურების, კერძოდ, არნო დანიელის (XII-XIII სს.) მიერ შემოღებული და იტალიურ პოეზიაში დამკვიდრებული ევროპული მყარი სალექსო ფორმა – სექსტინა – ექვსი ექვსტაეპიანი სტროფისა და დასკვნითი სამტაეპედისაგან შედგება; იგი სარიტმოდ ერთეულების გარიტმის სქემის განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა; თუმცა იტალიურ პოეზიაში სექსტინას, საზოგადოდ, ექვსტაეპიან სტროფსაც უწოდებენ, რომლის I-IV სტრიქონები ჯვარედინი (abab), ხოლო ბოლო ორი – მოსაზღვრე (aa) რითმით არის გამართული (კ. ტრევერი).

დასაშვებად მიგვაჩნია, ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილი ლექსი „***მიყვარს თვალები მიბნედილები“ ორ ექვსტაეპედად დავყოთ, რომლებშიც ერთმანეთს ერწყმის ინტერვალრიტმიანი, ქართული ხალხური ლექსისთვის დამახასიათებელი სქემით დაწერილი კატრენი (aaxa) და მოსაზღვრერიტმიანი (aa) მრჩობლედი.

ექვსტაეპიანი სტროფები ქართულ ლექსში აღორძინების პერიოდთან მკვიდრდება (სულხან-საბა ორბელიანის მიერ შემოტანილი: „შენყობილი“, „წყობილი“, „შერეული“, დავით გურამიშვილის „მონყალების კარი“, ვახტანგ VI-ის „რანი და მოვაკანი და ...“, ბესიკის „ვარდო სასურო“, საიათნოვას „მტკვარი ამღვრეული...“, დიმიტრი თუმანიშვილის, მარიამ ბატონიშვილის, მირიან ბატონიშვილის, დავით ბატონიშვილის და სხვა).

საგულისხმოა, რომ ბესიკმა ლექსში „დედოფალ ანაზედ“, V-VI სტროფები 12 ტაეპად დაალაგა შავთელურ-ჩახრუხაული სტროფი (5, 5, 5/5 და ა.შ.), ანუ შინაგანრიტმიანი ორი მრჩობლედი ოთხტაეპედი.

გრიგოლ ორბელიანმა („ეკ. ჭავჭავაძისას“, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „პასუხი შვილთა“) და ნიკოლოზ ბარათაშვილმა („თავადის ჭავ...-ის ასულს ეკ...ნას“, „საყურე“, „ნა. ფორტეპიანოზედ მომღერალი“) კი საბოლოოდ დაამკვიდრეს ექვსტაეპიანი სტროფი საზომით: 5, 5, 5/5, 5, 5, 5/5 და გარითმვის სქემით: aabccb.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართული ლექსის რეფორმატორია, რუსთველისა და გურამიშვილის შემდეგ, თუმცა მისი ვერსიფიკაცია არც ახალი საზომების დამკვიდრებით იქცევს ყურადღებას და არც რითმის კეთილხმოვანებით. პოეტის რეფორმის არსის განსაზღვრისას საგანგებოდ მიუთითებენ: ფორმაზე აზროვნების, განსჯის დიქტატს (თ. დოიაშვილი), სალექსო სტრიქონის აგებისას ალქმისა და აზროვნების მეტონიმური პოლუსის წარმმართველ ძალას (თ. ლომიძე), „ემოციურ ხარისხში აყვანილ ფიქრსა და განსჯაზე, მძლავრი ინტელექტის გულმხურვალე ღაღადისზე“ (ა. ხინთიბიძე).

6. ბარათაშვილის ლექსის თავისებურების ახსნისას ანგარიშგასაწევია ვახტანგ კოტეტიშვილის მოსაზრება: „ნიკოლოზ ბარათაშვილ ძლიერია რიტმით და წყობილების შეფარდებით ლექსის თემასთან და გუნება-განწყობილებასთან... მან აუარებელი ემოციური სიმაღლე შესაფერ ზომამი მოაქცია და შემოქმედების მახვილი კი ემოციების სიღრმეზე დატოვა“. საგულისხმოა XX ს. ცნობილი ქართველი პოეტების მიერ შეფასებული ბარათაშვილის ტაეპის ძალა: „...შენი სტრიქონი, სააკაძის ხმალივით ბასრი“ (ლადო ასათიანი), „მთიდან ქუხილი ბარათაშვილის“ (ალექსანდრე აბაშელი).

რომანტიკოსი პოეტის სახოტბო-სამიჯნური ლექსი „***მიყვარს თვალები მიბნედილები“ დიალოგური ლირიკის ნიმუშია. იგი ე.წ. ნარევი სტროფებითა და საზომებით დანერგლ ლექსად არის მიჩნეული: ორი კატრენითა და ორი მრჩობლედით, შესაბამისად, სიმეტრული ათმარცვლედით (5/5) და ბარათაშვილის ლირიკისათვის უჩვეულო თხუთმეტმარცვლედით, იშვიათი საზომით – ე.წ. „დიდბესიკურით“ (5/5/5).

საფიქრებელია, რომ „***მიყვარს თვალები მიბნედილები“ ორი ექვსტაეპედით დანერგლი ლექსია, მრჩობლედად გამოყოფილი, „დიდბესიკურით“ შესრულებული ორტაეპედები (5/5/5/), ჩვენი აზრით, რეფრენად უნდა მივიჩნიოთ: სამიჯნური თემატიკისათვის დამახასიათებელი, ტიპური ხოტბა სატრფოს თვალებისა ორივე თხუთმეტმარცვლედში ტრფობის ობიექტის ულამაზეს თვალებთან გაბაასებაა და, უძველესი დიალოგური ფორმის ლექს-სიმღერების მსგავსად, აქაც

ტრადიციული კითხვა-პასუხი გაისმის: პირველ ორტაეპედში (bb) ჯერ პასუხია და მერე – კითხვა, ხოლო მეორე მრჩობლედში – პირიქით.

ცნობილია, რომ ევროპული მყარი სალექსო ფორმები ჩაისახა პროვანსულ ხალხურ პოეზიაში, ამიტომაც გამეორებისაკენ ლტოლვა, რეფრენულობა მათს სტრუქტურაში დღესაც თვალსაჩინოა; რეფრენული ფორმების ევოლუცია რომანული მყარი სალექსო ფორმებისა თუ სტროფების ჩამოყალიბების საფუძველია.

ნიკოლოზ ბარათაშვილის 1842 წელს დაწერილი „**მიყვარს თვალები მიბნედილები“ – ორი სექსტინით – ალბათ, პროვანსელი ტრუბადურების სამიჯნურო სიმღერის, სექსტინის სტროფით გამართულ ლექსად უნდა მივიჩნიოთ.

LEVAN BEBURISHVILI

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Literary and Aesthetical Views of Grigol Orbeliani

In the poetry, diaries and personal letters of Grigol Orbeliani we encounter significant opinions about the problems of literature and art.

Grigol Orbeliani's views about the literary production of contemporary Georgian writers are noteworthy. Although Orbeliani participated in disputes with young generation, it did not prevent him from acknowledging the notable value of the creations of Ilia Chavchavadze, remarkable poetical talent of his fierce rival, Akaki Tsereteli. Orbeliani also highly appreciated prose by Aleksandre Kazbegi – “Georgian Homer”.

To grasp Grigol Orbeliani's aesthetic views, it is inevitable to take into consideration his critical article “The Trip to Svaneti”, which was published in the journal “Tsiskari” and represents a critical analysis of the novel “The Traveler's letters” by Giorgi Tsereteli. In this publication Grigol Orbeliani discusses linguistic aspects of the mentioned novel. According to Orbeliani, demand for rapprochement of literary language and folk speech should not cause linguistic naturalism and vulgarization of the language, as we see it in the works of Giorgi Tsereteli. Orbeliani believed, that folk speech represents a raw material, which should be purified, transformed by writer and then given back to people.

It is also very important Grigol Orbeliani's opinions about the specificity of theatrical art, the importance of theatre in the formation of ethical and aesthetical consciousness of the society.

ლეონ ბაბურიშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები

გრიგოლ ორბელიანის მხატვრული შემოქმედების, ეპისტოლური მემკვიდრეობისა და დღიურების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ პოეტის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებზე.

არსებობს მთარული აზრი, რომ გრიგოლ ორბელიანი სათანადოდ არ აფასებდა საკუთარი დისციპლის – ნიკოლოზ ბარათაშვილის – პოეტურ ტალანტს. ამ გავრცელებული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ მეტყველებს გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობა, პოეტის თანამედროვეთა მოგონებანი.

საინტერესოა გრიგოლ ორბელიანის შეხედულებები „სამოციანელთა“ ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პოეტს მწვავე პოლემიკა ჰქონდა ახალი თაობის წარმომადგენლებთან, ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, ელიარებინა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების დიდი საზოგადოებრივი ღირებულება და დაუნდობელი ოპონენტის – აკაკი წერეთლის – გამორჩეული პოეტური ტალანტი. უმაღლეს შეფასებას აძლევდა გრ. ორბელიანი ალექსანდრე ყაზბეგის, – „ქართველთ ომბროსის“ – პროზას.

გრ. ორბელიანის ესთეტიკური შეხედულებების გასათვალისწინებლად მნიშვნელოვანია ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებული მისი კრიტიკული წერილი „მგზავრობა სვანეთისაკენ“, რომელიც წარმოადგენს გიორგი წერეთლის „მგზავრის წიგნების“ ლიტერატურულ განხილვას. წერილის ავტორის განსჯის მთავარი საგანი ნაწარმოების ენობრივი მხარეა. გრ. ორბელიანის თვალსაზრისით, სალიტერატურო ენის ხალხურ მეტყველებასთან დაახლოების მოთხოვნამ ენის ვულგარიზებამდე, ენობრივ ნატურალიზმამდე არ უნდა მიგვიყვანოს, როგორც ამას გიორგი წერეთლის შემოქმედებაში ვხვდებით. სახელმძღვანელო

მნიშვნელობისაა გრიგოლ ორბელიანის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ხალხური მეტყველება წარმოადგენს დასამუშავებელ, ნედლ მასალას, რომელიც მწერლის ნიჭმა უნდა განწმინდოს, გარდაქმნას და კვლავ ხალხს დაუბრუნოს. ამგვარად მომართული ხელოვანის ნიმუშად დიდ პოეტს, სავსებით სამართლიანად, ილია ჭავჭავაძე ესახება.

ასევე საყურადღებოა გრიგოლ ორბელიანის მოსაზრებები თეატრალური ხელოვნების სპეციფიკის, საზოგადოების ეთიკური და ესთეტიკური ცნობიერების ფორმირების პროცესში თეატრის განსაკუთრებული როლის შესახებ.

L.A. BORIS

Moscow State Lomonosov University

Russia, Moscow

The Depressive Romanticism of Petr A. Viazemsky

The romantic soul, the participant of the Patriotic War, the most critical member of the Arzamas society, Zhukovsky's and Chaadaev's friend, the liberal, the secret counselor, the satirist and the censor - all this is the personality of Pyotr Andreevich Vyazemsky, "A noble family and a high mind, innocence and a sarcastic smile" (Pushkin "To the portrait of Vyazemsky"). He was a player and a happy family man, he wrote in Derzhavin's style of high moral poetry and literary aristocracy, but for himself, on a piece of paper: "I save my spleen as a love sister." For 86 years Vyazemsky buried many friends and relatives, he published only one collection of poems in 70 years of literary creation. The poet is close to modern readers with his "discouragement," "melancholy with glimpses."

Л.А.БОРИС

Россия, Москва

МГУ им. М.В.Ломоносова

Депрессивный романтизм П.А. Вяземского

Мятушная романтическая душа, прототип ищущего смысл жизни Пьера Безухова, участник Отечественной войны, самый критический

член общества «Арзамас», друг В.А. Жуковского и П.Я. Чаадаева, либерал и тайный советник, сатирик и цензор – все это Пётр Андреевич Вяземский в одном лице, соединивший «знатный род с возвышенным умом И просто души есязвительной улыбкой» (Пушкин «К портрету Вяземского»). Кутила, игрок, счастливый семьянин, он писал державинском слогом высокоморальные стихи о нравах и литературной аристократии, а для себя, на клочках: «Не хочу и не умею я развлечь свою хандру: Я хандру свою лелею, как любви своей сестру». Но «пережив и многое, и многих» за свои 86 лет, издав за 70 лет литературного творчества только один сборник стихов, Вяземский достучался до «немногих далеких, но сердцу родных» читателей именно своим «унынием», «хандрой с проблесками».

KONSTANTINE BREGADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Romantic Lyric by Nikoloz Baratashvili as a Unified Text

The belief that the Poetry by Nikoloz Baratashvili is spontaneously created (by the inspiration of a Muse, etc.) and the verses are mechanically arranged without any special concept can be regarded wrong, as the poetry is based on a fully understandable viewpoint and a united structural concept, due to which it establishes as a unified poetical text where each verse can be regarded as a “chapter”. There are several reasons on which this hypothesis is based.

Like the structure of the musical symphony, not only the masterpiece “Merani” is based on a counterpoint principle, which was highlighted by M. Gogiberidze (Essay “The Aesthetic-Entiphaitic Analysis of *Merani* by Nikoloz Baratashvili), but the whole poetry by Batarashvili is created on a counterpoint principle creating a plot structure uniting the different verses and incorporating them in one whole text, namely in Baratashvili’s verses the opposites are always apparent, the increasing and decreasing perspectives and discourses – the tragic melancholy and the Dionysian transcendentalism, the feeling of vanity and deep philosophical belief. They are in constant movement and the alteration of the opposing forces creates a deeper, more tragic, developed and triumphant line. The

duel or dialogue of opposing discourses are culminated in “Merani”, where the dualism is being overcome, and the plot node opened.

Program like verses appear in the romantic lyric by Nikoloz Baratashvili such as “Napoleon” and “I bless my birthday”. Existence of such verses points out that each poetical example is united under one conceptual idea and thus one huge text is being established. This means, that each verse by Baratashvili is a part of the developing plot of the whole text, which separately can be regarded as “chapters” of the one united text.

The verses by Baratashvili are structurally integrated and created as one whole lyrical text due to the lyrical hero, always appearing in various poems and always sharing one and the same point of view as well as temperament. The lyrical hero in every verse by one and the same intensity shows his rebellious perspective and ethic positions. The emotional attitudes are repetitive as well: on the one hand tragic and melancholic and on the other hand transcendental.

In the verses by Nikoloz Baratashvili the usage of one and the same repetitive lexical units somewhat establishes the poetical “terminology” of the poet (“dew”, “shining”, “spatial”, heavenly”, “sky”, “light”, “soul”, “feeling”, “heart”, etc.), which is also outlined by Revaz Siradze in an essay called “The Literary and Aesthetic belief of Nikoloz Baratashvili. This also enables each of the lyric text to be structurally united and incorporated in one integrated text.

კონსტანტინე ბრეგვაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიკული ლირიკა, როგორც ერთიანი ტექსტი

პრინციპულად მიმაჩნია, რომ ბარათაშვილის პოეზია სახელდახელო ვითარებაში სპონტანურად შექმნილი (“მუზის” სტიქიური მოვლინება და მისთ.) და ერთმანეთთან კონცეპტუალურად დაუკავშირებელი ლექსების მექანიკური თავმოყრა კი არ არის, არამედ ეს არის ღრმად გააზრებული მსოფლმხედველობრივი და სტრუქტურული ერთიანი კონცეფციის საფუძველზე შექმნილი პოეზია, რომელიც ამ კონცეპტუალური და სტრუქტურული მთლიანობის გამო საბოლოო ჯამში ფუძნდება, როგორც ერთიანი პოეტური ტექსტი, რომლის ფარგლებშიც თითოეული ლექსი ამ ერთიანი პოეტური ტექსტის ერთ-

ერთ „თავად“ გვევლინება. რა გვაძლევს ყოველივე ამის მტკიცების საფუძველს?

მუსიკალური სიმფონიის სტრუქტურის მსგავსად, არა მარტო მისი ერთ-ერთი ლირიკული შედევრი “მერანია” აგებული კონტრაპუნქტის პრინციპით, რაზეც მართებულად მიუთითა მ. გოგიბერიძემ (იხ. მისი წერილი „ნ. ბარათაშვილის მერანის ესთეტიკურ-ენტიფიკატური ანალიზი“), არამედ ბარათაშვილის მთელი პოეზია კონტრაპუნქტის პრინციპითაა „ანობილი“, რაც მისი პოეტური შემოქმედების ცალკეულ ნიმუშებს ერთ სიუჟეტურ ხაზად ალაგებს და ერთიან ტექსტად ამთლიანებს: კერძოდ, ამ კონტრაპუნქტული პრინციპით ბარათაშვილის ლექსებში ერთმანეთს მუდამ ენაცვლება ურთიერთსაპირისპირო, აღმავალი და დაღმავალი მსოფლგანცდები და დისკურსები – ტრაგიკული მელანქოლია და ტრანსცენდირებადი დიონისურობა, ამაოების გაუნელებელი განცდა და ღრმა ფილოსოფიური რწმენა. ლექსებში ისინი ერთმანეთს მუდმივად ენაცვლებიან და ამ მონაცვლეობისას საპირისპირო მსოფლგანცდა და დისკურსი კიდევ უფრო ავითარებს და აღრმავებს ტრაგიკულ თუ ტრიუმფალურ ხაზს. დაპირისპირებულ დისკურსთა დიალოგი (თუ დუელი) კულმინირებულია ლექსში „მერანია“, სადაც სიუჟეტური კვანძი იხსნება და დაძლეულია დუალიზმი.

ბარათაშვილის რომანტიკულ ლირიკაში იკვეთება საპროგრამო ტიპის ლექსები. ეს ლექსებია „ნაპოლეონ“ და „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“. შესაბამისად, მსგავსი ტიპის ლექსების არსებობა უკვე თავისთავად მიუთითებს და ადასტურებს, რომ ავტორის თითოეული ლირიკული ნიმუში ერთიანდება საერთო კონცეპტუალური ჩანაფიქრის გარშემო და იკვრება ერთიან დიდ ლირიკულ ტექსტად. ეს კი ნიშნავს იმასაც, რომ ბარათაშვილის რომანტიკული პოეზიის ყოველი ლირიკული ნიმუში არის ამ ერთიანი ტექსტის სიუჟეტური განვითარების შემადგენელი ნაწილი, ერთიანი ლირიკული ტექსტის უცილობელი სტრუქტურული ნაწილი, ცალკე აღებული „თავი“.

ბარათაშვილის ლექსებს სტრუქტურულად ასევე ამთლიანებს და ერთიან ლირიკულ ტექსტად აყალიბებს ლექსებში მუდმივად ფიგურირებული ერთი და იგივე მსოფლმხედველობისა და ტემპერამენტის მატარებელი ლირიკული გმირი, რომელიც ლექსებში ერთი და იმავე ინტენსივობით მუდმივად წარმოაჩენს საკუთარ წინააღმდეგობრივ მსოფლმხედველობრივ და ეთიკურ პოზიციებს. ამასთან, ლექსებში ლირიკული გმირის ურთიერთსაპირისპირო ემოციონალური განწყო-

ბილგბანიც მუდამ ერთი და იგივეა: ერთი მხრივ, მუდმივად მოცემულია მძაფრი ტრაგიკულ-მელანქოლიური, მეორე მხრივ, აღტყინებული ტრანსცენდირებადი განწყობა.

ბარათაშვილის ლექსებში მუდმივად გვხვდება და მეორდება ერთი და იგივე კონცეპტუალური ლექსიკური ერთეულები, ბარათაშვილისეული თავისებური პოეტური „ტერმინოლოგია“ („ცვარი“, „მნათი“, „ციური“, „ზეციერი“, „ცა“, „ნათელი“, „სული“, „გრძნობა“, „გული“ და სხვ.), რაზეც მართებულად მიუთითა რ. სირაძემ (იხ. მისი წერილი „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსი“). ეს გარემოებაც ასევე ხელს უწყობს ბარათაშვილის თითოეული ლირიკული ტექსტის ერთიან დიდ ტექსტში სტრუქტურულ გამთლიანებასა და თავმოყრას.

LEVAN BREGADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Nikoloz Baratashvili's Romanticism

It is discussed N. Baratashvili's romanticism in close connection with the worldview of one of the most prominent creators and thinkers, "foremost" romanticist Novalis; on the basis of Novalis' perception of the life romanticizing, using the technical means of polarization and potentiation it is studied how in the Nikoloz Baratashvili's creative work the relationship with (attitude to) the universe, people, everyday occurrences is romanticized, the goal of which is to make the life intensive, full-blooded, to open its way towards infinity. For romanticists including N. Baratashvili as well, the dream and reality, bodily and spiritual love, science and religion, health and sickness, life and death, finiteness and infiniteness are those polarities, between which a harmony full of tension, a precondition of life intensiveness, exists. Thanks to that, for a romanticist life becomes interesting and acceptable and as a result a proximity to infinity (transcendence) is achieved.

ლევან ბრეგვაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიზმი

ნაშრომში ბარათაშვილის რომანტიზმს განვიხილავთ ახალი დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემოქმედისა და მოაზროვნის, „უპირველესი“ რომანტიკოსის ნოვალისისშეხედულებებთან მჭიდრო კავშირში; ცხოვრების რომანტიზების ნოვალისისეული გაგების გათვალისწინებით ვიკვლევთ პოლარიზებისა და პოტენციურების ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით როგორ ხდება ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში სამყაროსთან, ადამიანებთან, ყოველდღიურ მოვლენებთან მიმართების (დამოკიდებულების) რომანტიზება, რომლის მიზანია ცხოვრება ინტენსიური, სისხლსავსე გახადოს და გზა გაუხსნას მას უსასრულობისკენ. ოცნება და სინამდვილე, სულიერი და ხორციელი სიყვარული, მეცნიერება და რელიგია, ჯანმრთელობა და სნეულება, სიცოცხლე და სიკვდილი, სასრულობა და უსასრულობა რომანტიკოსებთან, და მათ შორის ნ. ბარათაშვილთანაც, იმ პოლარობებს წარმოადგენენ, რომელთა შორის სუფევს დაძაბულობით აღსავსე ჰარმონია, ცხოვრების გაინტენსიურების წინაპირობა. ამის წყალობით ხდება ცხოვრება საინტერესო და მისაღები რომანტიკოსისთვის, ამის შედეგად მიიღწევა უსასრულობასთან (ტრანსცენდენტთან) მიახლოება.

RŪTA BRŪZGIENĖ

Lithuania, Vilnius

Mykolas Romeris University

Maironis's Collection of Poems “Voices of Spring” – a Song for Lithuania

The works of the most famous Lithuanian poet Maironis (1862-1932) from the romantic period still enter the top ten of the best Lithuanian poets. The lyrics collection “Voices of Spring” [„Pavasario balsai“, 1895] by Maironis became not only the herald of the national liberation movement, but laid the basis of mod-

ern Lithuanian poetry, and established the valuable foundation of all Lithuanian poetry. His oeuvre reveals a romantic image of the majestic Lithuania in contrast to the present, here a romantic hero comes to the fore as a fighter or a solitary thinker. Poetics is often based on folklore images, and at the same time they are created and become archetypal together. The melodiousness of Maironis's poetry is unique where classical poetic versions are fused to the features of folk songs, and at the same time the archetypal models of deep musical forms are maintained. The aim of this paper is to discuss this collection as a romantic worldview and a musical harmony inherent to romanticism as a love song to the homeland. The paper will refer to the works of Vanda Zaborskaitė, Vytautas Kubilius, Kestutis Nastopka, Juozapas Girdzijauskas, Algirdas Ambrazas, Audinga Peluritytė, Eero Tarasti and others, and research will be based on comparative methodology.

РУТА БРУЗГЕНЕ

Литва, Вильнюс

Университет им. М. Ромериса

Сборник стихов Майрониса «Весенние голоса» – песнь Литве

Творчество Майрониса (1862-1932), самого известного литовского поэта периода романтизма, до сих пор позволяет включать его в десятку лучших поэтов Литвы. Сборник лирики «Весенние голоса» [“Pavasariobalsai”], (1895 г.) Майрониса не только стал рупором национально-освободительного движения, заложил основы современной литовской поэтики, но и явился ценностным фундаментом для всей литовской поэзии. В его творчестве проявляется романтический образ величественной Литвы, контрастирующий с безотрадной современностью, возникает герой-романтик – борец или одинокий мыслитель. В поэтике часто опираются на фольклорные образы, вместе с тем они создаются и становятся архетипическими. Уникальна и напевность поэзии Майрониса, в которой сливаются воедино варианты классической поэтики и особенности народных песен, при этом сохраняются глубинные архетипические модели музыкальных форм. Целью доклада является обсуждение этого сборника как сочетания романтического мироощущения и присущей романтизму музыкальности; и это соединение звучит как песнь любви к своему родному краю. В сообщении используются

работы Ванды Заборскайте, Витаутаса Кубилиуса, Кястутиса Настопки, Юозапаса Гирдзияускаса, Альгирдаса Амбразаса, Аудинги Пялурутите, Ээро Тараста и других исследователей, автор опирается на компаративистскую методологию.

IA BURDULI

Georgia, Tbilisi

Georgian Technical University

Georgian National University

Imitation of the Romantic Codes in Postmodern Texts

It is worth to notice that if poet's approach towards both the society and himself was either unnoticed or depicted by the chamber nature, making his subject *-romanticism and distance* come from the universe, today the same distance has already become a common thing for the elite's posture.

The reduction of the romantic grotesque laughing is connected with the Showbusiness and depicts mostly the pseudo intellectualism, turning into the humor, irony or sarcasm. This kind of chamber-romantic-carnival feeling gives leading, intellectual tone to general postmodern artistic expression and accordingly to Süskind's irony in his novels.

Due to Patrick Süskind's works, it is obvious that he is not a contemporary serial writer and the fantastic element, used by him for displaying the life could be realised as answer to *Hoffman's line* of an artificial-semantic depiction. The ambivalent approach by Süskind towards elite and massive cultures is reached through ironical intertextuality. Great moral conclusions, appealing on introvert character in order to show up in society, as well as a foreigner – *blue bird* leading to interest in society place Patrick Süskind under suspicious.

By the populist phrases of both media and government, focusing on idealising the uncommon and new things the writer creates ironic discourse in his little texts, as well as in his scripts for short and narrative movies. Light irony, being used by Süskind in his movie scripts can be considered as a postmodern rejection of authoritarianism, as well as of the old macro narratives. Both the play of the romanticism on the stage by the modern, contemporary people, being oriented on unromantic life and the construction of the real stage behind the curtains makes

the today's reality obvious. The immanence, fragmentation and superficiality by Süskind leads to opened depth of perception and cognition. This makes the discourse of modernity accessible. Within the discourse of modernity the culture, as mean of communication is intruded into everyday life.

ია გურდული

საქართველო, თბილისი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

რომანტიკული კოდების იმიტირება პოსტმოდერნისტულ ტექსტში

საგულისხმოა, რომ თუ ჭეშმარიტად რომანტიკული, სულით პოეტის დამოკიდებულება მასასთან და საზოგადოებასთან უმეტესად შეუმჩნეველი ან კამერული იყო და მისი რომანტიკულობა და დისტანციურობა მისივე, ასე ვთქვათ, ფაქიზი შინაგანი სამყაროდან მოდიოდა, დღეს დისტანციურობა, ძირითადად, ელიტის პოზაა, შოუბიზნესს უკავშირდება და უმეტესად ფსევდოინტელექტუალიზმს გამოხატავს. რომანტიკულ გროტესკში სიცილი რედუცირდება და იუმორის, ირონიის, სარკაზმის ფორმას იღებს. სწორედ ასეთი კამერულ-რომანტიკულკარნავალური განცდა აძლევს წამყვან ინტერტექსტუალურ ტონს ზოგადად პოსტმოდერნისტულ მხატვრულ გამომსახველობას და შესაბამისად ზიუსკინდის ირონიას მის ნოველებში.

პატრიკ ზიუსკინდის მოღვაწეობიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ იგი არ არის თანამედროვე „სერიული“ მწერალი და ყოფის წარმოჩენისას მის მიერ გამოყენებული ფანტასტიკური ელემენტის

მატარებელი ლიტერატურული ტენდენციები „პოფმანის ხაზის“ ანტიუტოპიურ მხატვრულ-სემანტიკურ გამომსახველობას ეხმიანება.

პატრიკ ზიუსკინდთან ელიტარულ და მასობრივ კულტურებთან ამბივალენტური დამოკიდებულება პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ირონიული ინტერტექსტუალობით არის მიღწეული.

„დიდი მორალური დასკვნები“, ინტრავერტულობაზე აპელირება, საზოგადოებაში საკუთარი თავის წარმოჩენის მიზნით, უცხო – ლურჯი ფრინველი, რაც საზოგადოების გაცხოველებულ ინტერესს ინვესტ, ეჭვს ბადებს პატრიკ ზიუსკინდში. ძალოვანთა თუ მასმედიის მიერ

მთელი ხალხის სახელით განცხადებული პოპულისტური ფრაზებით, „უჩვეულოსა და სიახლის“ გაიდეალების წარმოჩენით, მწერალი იდეალებით იმედგაცრუებული ყოველდღიურობის ირონიულ დისკურსს ქმნის როგორც თავის მცირე ტექსტებში, ასევე თავის მოკლემეტრაჟიან და მხატვრული ფილმების სცენარებში.

მსუბუქი ირონია, რომელსაც ზიუსკინდი თავის კინოსცენარებში მიმართავს, პოსტმოდერნისტული

უარია ავტორიტეტულობაზე, ძველ მაკრონარატივებზე. სცენაზე რომანტიკულის თამაში არარომანტიკულ ყოფაზე ორიენტირებული თანამედროვე ადამიანების მიერ და სცენის მიღმა რეალური სცენის წარმოსახვა ააშკარავებს დღევადელ რეალობას. ზიუსკინდთან იმანენტურობით, ფრაგმენტულობითა და ზედაპირულობის საშუალებითაა ყოფიერებისა და შემეცნების სიღრმე გახსნილი, რითაც თანამედროვე ყოფის დისკურსი აშკარავდება, სადაც ხელოვნება ყოველდღიურ ყოფაშია შეჭრილი, როგორც კომუნიკაციის საშუალება.

WEI CHENLIN

Hong Kong, People's republic of China

University of Hong Kong

People's Republic of China Seeking New Voices from Abroad – Romanticism in Early Works of Luxun

In *On the Aberrant Development of Culture* (Wenhua pianzhi lun), Luxun urges the masses to “be individual and reject vulgarity” and speaks highly of Nietzsche. In *Towards a Refutation of the Voices of Evil* (Po e sheng lun) he even bitterly rebukes Chinese people for losing their individuality and original ideas in most cases, and wishes that people could be supermen like Nietzsche, who has his “own thinking” and “inner shine”, with the intention to rouse the sense of individuality of the public in China with the help of Nietzsche’s romanticism. In *On the Power of Mara Poetry*, he calls for the emergence of a “spiritual warrior in the dark society”, who rebels against orthodoxy like Byron and puts forward the issue of remolding the nature of Nationals, and points out the way of enlightening the public. To be specific, LuXun calls upon the Chinese public to “let the past drop here and seek new voices from abroad” by learning from Mara poets

who dare to overturn stereotypes and pursuit equality, freedom, empathy while advocating the outpouring of one's inner psyche.

This paper takes three early works of Luxun, *On the Aberrant Development of Culture*, *Towards a Refutation of the Voices of Evil*, and *On the Power of Mara Poetry* as analytic target to discuss how Luxun's enlightenment thoughts take shape after accepting European romanticism and how enlightenment thoughts are expressed perfectly in his interpretation of romanticism.

EKA CHIKVAIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Solomon Dodashvili and 19th Century Georgian Worldview (Impact on romantic-realistic view)

It is considered that romantic worldview in Europe was influenced by Schopenhauer philosophy. It is known that the Georgian society of the 19th century had "its own Schopenhauer" – Solomon Dodashvili, who laid the ideological-philosophical basis of not only romantic but also realistic writing. In Dodashvili's point of view artistic prose is the premise for the advance of spiritual culture, it serves cognition of life, encourages kindness and cognition of truth. Despite the coexistence of many conditions (political, cultural, historical-hereditary...), it is still obvious that Dodashvili (the author of the logic and rhetoric books, teacher of N. Baratashvili, the inspirer of 1832 conspiracy, democrat and national figure, philosopher and logician) influenced development of thought not only of his contemporary artists, but realist Ilia as well. It is significant that his opinions developed in worldview and ideology of both romanticists and realists. In this regard we should separate 1. Social trends; 2. National vision and doctrine of freedom; 3. Political; 4. Educational; 5. Aesthetic; 6. Thinking (logical reasoning, argumenting methods); 7. Strong impulses to thwart total injustice; 8. Humanism; 9. Ideas of Europeanism; or 10. Relationship between form and content in artistic compositions. One of the most important is the awakening of philosophical thinking in Georgia and the return of Georgian consciousness (which is strongly felt with Baratashvili). According to these trends Georgian society and opinion was "given a long-term direction". Romanticists and realists both widely used conceptions of Solomon Dodashvili. His merit was also estimated by Ilia.

ეკა ჩიკვაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სოლომონ დოდაშვილი და მე-19 საუკუნის ქართული მსოფლალქმა (ზეგავლენა რომანტიკულ-რეალისტურ აზრზე)

მიუთითებენ, რომ ევროპაში რომანტიკული მსოფლალქმის ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონია შოპენჰაუერის ფილოსოფიამ. ასევე ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის ქართველ საზოგადოებას „საკუთარი შოპენჰაუერი“ ჰყავდა სოლომონ დოდაშვილის სახით, რომელმაც იდეურ-ფილოსოფიური საფუძველი არა მხოლოდ რომანტიკულ, არამედ რეალისტურ მწერლობასაც ჩაუყარა. დოდაშვილის აზრით, „აღმკობილი პროზა“, მხატვრული სიტყვა სულიერი კულტურის წინსვლის წინაპირობაა, ცხოვრების შემეცნებას ემსახურება, სიკეთის ბიძგის მიმცემი და ჭეშმარიტების განმსწავლელია. მრავალი პირობის (პოლიტიკური, კულტურული, ისტორიულ-მემკვიდრეობითი...) თანაარსებობის ფონზე მიანიც აშკარაა სოლომონ დოდაშვილის – ლოგიკისა და რიტორიკის სახელმძღვანელოთა ავტორის, ნ. ბარათაშვილის პედაგოგისა და 1832 წლის შეთქმულების სულისჩამდგმელის, დემოკრატისა და ეროვნული მოღვაწის, ფილოსოფოსისა და ლოგიკოსის ზეგავლენა არა მხოლოდ თანადროულ შემოქმედთა აზრის განვითარებაზე, არამედ რეალისტი ილიას აზროვნებაზეც. საგულისხმო და მნიშვნელოვანია მისი მოსაზრებების განვითარება როგორც ქართველ რომანტიკოსთა, ისე – რეალისტთა იდეოლოგიასა და მსოფლხედვაში. ამ თვალსაზრისით, ცალკე უნდა გამოვყოთ 1. სოციალური ტენდენციები; 2. ეროვნული ხედვა და თავისუფლების დოქტრინა; 3. პოლიტიკური, 4. საგანმანათლებლო, 5. ესთეტიკური, 6. სააზროვნო (ლოგიკური დასაბუთება-არგუმენტირების მეთოდები) და 7. ტოტალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი მძლავრი იმპულსები, 8. ჰუმანიზმი, 9. ევროპეიზმის იდეები თუ 10. ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართება „აღმკობილ“ ანუ მხატვრულ თხზულებებში. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კი ქართულ სივრცეში მივიწყებული ფილოსოფიური აზროვნების გამოღვიძება და დაბრუნება ქართულ ცნობიერებაში (რაც ასე მკვეთრად იგრძნობა ბარათაშვილთან). ეს ის ტენდენციებია, რომელთა

მეშვეობითაც (ევროპისაკენ ისტორიული მსვლელობის აღდგენით და მმართველობის რესპუბლიკური ფორმის შემოღების სურვილით) სოლომონ დოდაშვილი ხანგრძლივად „აძლევს მიმართულებას“ ქართველ საზოგადოებას და ქართულ აზრს. თუმცაღა, თუკი ერთ (რომანტიკოსთა) შემთხვევაში სოლომონ დოდაშვილის შრომებში შემოქმედები დისპოზიციის (დაპირისპირებულთა მთლიანობის) „საკვებს“ ჰპოვებენ, მეორე შემთხვევაში (რეალისტებთან), შეიძლება ითქვას, ამავე ნააზრევს ჩატეხილი ხიდის გამთლიანების საფუძვლად იყენებენ. ამიტომაც სავსებით მართებულად შენიშნავდა ილია, რომ „დროების“ დროშა მემკვიდრეობით გადმოეცათ დოდაშვილისა და გიორგი ერისთავისგან.

EKA CHKHEIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Aesthetics of the Romanticism and the Face Symbol of Raven

The aesthetics of the romanticism was the specific reaction on classicism and especially on enlightenment, from the romantics' point of view that attached the new significance to the art – utilitarian and social function. The main theorists of the romanticism linked the art with the creativity of Christian symbolic ideas; they apprehended the external reality of Neo-Platonists as the art of the revealing the absolute, the specific act of the reveal of the absolute in nature by the artist is performed by the means of art, romantics strive to delete the edge between the life, philosophy, religion and art where they perceived the paradigm of the existence. Percy Byssie Shelly asserts that poetry leads the human to the divine wisdom.

Raising the art and creativity , play and dream, fantasy and irony to the highest level (almost expressing the God or God's will) by the romantics was the most serious approach that had not been witnessed by the world before; the soul of transcendental slapstick reveals the total freedom of the artist in his works, creativity and it could be said that the very tendencies are peculiar for the American romantic writer Edgar Alan Poe, his works are distinguished by originality and his verse “Raven” was one of the most popular from this point of view.

Raven is the widely used personage of the mythology, it is linked to the sky, ground, underground world, water and even with sun, as the carrion eater, black colored bird the raven is associated with the death and blood, the struggle of death and life, it is associated with the sky as it is a bird, raven has the specific voice similar to the human's voice all these attaches the raven the nature of prediction the future; thus raven is the face symbol very popular in romanticism and it is successfully taken by N. Baratashvili in his "Merani".

Hardly can be find the second artist who made such great influence on the XX century Georgian creative thoughts and Georgian modern poetry as Edgar Alan Poe appeared to make.

ქაა ჩხეიქა

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

რომანტიზმის ესთეტიკა და ყორანის სახე-სიმბოლო

რომანტიზმის ესთეტიკა თავისებური რეაქცია იყო კლასიციზმსა და, განსაკუთრებით, განმანათლებლობაზე, რომელმაც, რომანტიკოსთა აზრით, ხელოვნებას მისთვის უცხო – უტილიტარული და სოციალური – ფუნქცია მიანიჭეს. რომანტიზმის მთავარმა თეორეტიკოსებმა ხელოვნებას შემოქმედებითად დაუკავშირეს შემოქმედებისა და სიმბოლიზმის ქრისტიანული იდეები, ნეოპლატონიკოსთა ესთეტიკის ემანაცია და გარე რეალობა გაიაზრეს, როგორც ხელოვნების ნიმუში, აბსოლუტის გამოვლინების თავისებური აქტი. აბსოლუტის თავისებური გამოვლინება ბუნებაში მხატვრის (შემოქმედის) საშუალებით ხელოვნებაში ტრანსფორმირდება. რომანტიკოსები ესწრაფვიან ნაშალონ ზღვარი სიცოცხლეს, ფილოსოფიას, რელიგიას და ხელოვნებას შორის, რომელშიც თავად ყოფიერების პარადიგმას ხედავენ. პერსი ბიში შელი ამტკიცებს, რომ პოეზიას ადამიანი მიჰყავს ღვთაებრივ სიბრძნემდე.

ხელოვნებისა და თავად შემოქმედის აქამდე არნახულ (ლამის ღმერთის ან მისი ნების გამომხატველის) სიმალღემდე აყვანით რომანტიკოსები უკიდურესი სერიოზულობით ეკიდებოდნენ ისეთ, ერთი შეხედვით, ხელოვნების არასერიოზულ ფორმებს, როგორიცაა თამაში, ოცნება, ფანტაზია, ირონია. „ტრანსცენდენტული ბუფონადის“ სული

ააშკარავენ ხელოვანის სრულ თავისუფლებას თავისი შემოქმედების მასალაზეც, საკუთარ თავზეც და მთელ სამყაროზეც. ალბათ, არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ რომატიზმის ესთეტიკის ამგვარი თავისებურებებით აიხსნება ცნობილი ამერიკელი რომანტიკოსის ედგარ პოს შემოქმედების გამორჩეულობა და ორიგინალურობა. ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მის ლექსს „ყორანი“.

ყორანი მითოსის ფართოდ გავრცელებული პერსონაჟია. ის დაკავშირებულია ცასთანაც, მიწასთანაც, მიწისქვეშეთთანაც, წყალთანაც და მზესთანაც. როგორც ლეშიჭამია შავი ფერის ფრინველი, ყორანი ხტონურ სამყაროსთან, სიკვდილთან და სისხლიან ბრძოლასთანაა დაკავშირებული. როგორც ფრინველი, ის ციურ სამყაროს მიემართება. შესაბამისად გაიაზრება შუამავლად ციურ, მიწიერ და ხტონურ სამყაროებს შორის. სპეციფიკური ხმა, რომელიც ადამიანისას წააგავს, ყორანს ანიჭებს სიბრძნეს, წინასწარმეტყველებას. ამგვარი ან მსგავსი გაგება უნდა ჰქონდეს ყორანის სახე-სიმბოლოს ნ. ბარათაშვილის „მერანშიც“.

ძალიან ძნელი იქნება მეორე ხელოვანის დასახელება, რომელმაც ისეთი დიდი გავლენა მოახდინა XX საუკუნის ქართულ მხატვრულ აზროვნებაზე, როგორც ედგარ პომ, რომელმაც, თავის მხრივ, დიდი გავლენა იქონია ქართულ მოდერნისტულ პოეზიაზე.

DODO CHUMBURIDZE

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Institute of History and Ethnology

Why the poem “The Tomb of King Erekle” does not Express the Political Creed of Nikoloz Baratashvili

The following arguments are considered in the article:

1. The poem was written in 1842, the year when Nikoloz Baratashvili wrote two of his poetic masterpieces: “Merani” and “Hyacinth and a bit” imbued with the idea of freedom. In the same year he finished working on his historical poem “Fate of Georgia”, in which he appears to be a strong advocate of freedom. The

fact that the poems “Merani” and “Hyacinth and a bit” and an ideologically contradictory poem – “The Tomb of King Erekle” were all created in 1842 was considered as a creative technic of a bifurcated romanticist – that was wrong from the start.

2. The poem “The Tomb of King Erekle” does not only lack the artistic and expressive style characteristic of Baratashvili’s lyric poetry, but also the national ideological outlook of this great poet and citizen.

3. Nikoloz Baratashvili’s ideas of national liberation are related to the national liberation movement of 1832 and progressive thinkers led by Solomon Dodashvili. Dodashvili was not only his teacher at gymnasium, but also his inseparable spiritual friend, who was brutally punished by the empire, and that fact must have had its influence on the poet; Dodashvili cannot be described as a thinker with a bifurcated personality as he remained thoroughly committed to the idea of the freedom of Georgia to the end of his days.

4. Nikoloz Baratashvili dedicated his poem “The Tomb of King Erekle” to a Russified Georgian – Mikhail Barataev, who was born and brought up in Russia. In Nikoloz Baratashvili’s poems dedicated to different persons, the lyrical character was not the poet, but the person (or a thing) the poem was dedicated to. Mikhail Barataev had asked the poet to write a poem in his notebook together with another poem – “knyaz Barataev’s Azarphesha”. The poet expresses feeling of Azarphesha in the latter: “If you fill me up with wine, I’ll fill you with joy, if you have drunk it, may it do you good! This is also true for the poem “Merani”, in which Ilia Orbeliani – Shamil’s hostage is the narrator of the poem.

5. The expressive style used by the poet in his poems dedicated to different persons or things gives us the reason to think that in his poem “The Tomb of King Erekle” the poet expresses Mikhail Barataev’s ideological and political views. The narrator of the poem pays tribute to King Erekle, saying that his will is fulfilled: Russia has brought happiness and peace to the Georgian nation. These words can’t belong to Nikoloz Baratashvili because (a) he must have been aware that King Erekle hadn’t sought what Russia did: abolishing the Georgian statehood and turning it into part of the Russian Empire; (b) turning Georgia into part of Russian Empire didn’t bring civil peace to Georgia, instead anti-Russian uprising followed and many Georgians died in the wars fought by Russia. But Russified Georgians, like Mikhail Barataev, serving the Russian Empire and its interests, had the sentiments expressed in the poem; (c) the attitude and the view

is not expressed in any other poem written by Nikoloz Baratashvili; his poetry is imbued with the spirit of national freedom and independence.

6. The poem is an example of oda poetry, which is not characteristic of the poet. The style, we think, was used by Nikoloz Baratashvili to express the sentiments of a committed servant of the Russian Empire – a “Statski Sovetnik” [a State Counsellor] who arrived from Russia and became a friend with the poet’s family. The article describes some details of Mikhail Barataev’s biography, which substantiate the argument that the ideas expressed in the poem must have belonged to Mikhail Barataev and not to Nikoloz Baratashvili.

7. A great poet and thinker like Nikoloz Baratashvili could not have changed his national creed in just several months. In his letter to Grigol Orbeliani dated May 2nd, 1842, the poet had expressed such bold political considerations, that Petre Ushikashvili didn’t dare to copy them and encoded the lines from the letter he had omitted.

8. According to Akaki Bakradze, the poem is an example of ironic poetry and if we fail to identify it as such, “we risk to be misled in our judgement of one of the greatest Georgian poets and thinkers, falsely accusing him of being for Georgia being deprived of independence... otherwise, we can not only be misled in our judgement but also deliberately harming and ruining Nikoloz Baratashvili’s reputation” – he said. Considering Nikoloz Baratashvili’s personality, the bitter irony of the poet towards the viewpoint expressed in the poem is absolutely natural;

9. Therefore, the poem “The Tomb of King Erekle” should not be considered either a piece of work expressing Nikoloz Baratashvili’s national vision and political orientation, or a tribute to modernity; he can’t have associated the fate of Georgia seized by Russia with King Erekle’s will and neither could he have appreciated the state of Georgia he had described in the poem. The poem expresses the view of the person the poem was dedicated to and of the person, who asked him to write the poem in his notebook, and the poet did. This fact attaches even more intimacy to the poem and gives us the reason to think that the view, emotion and feeling expressed in this poem cannot be generalized to characterize Nikoloz Baratashvili’s poetry, and furthermore, cannot be used as an argument to judge Nikoloz Baratashvili’s national-political creed.

დოდო ჭუმბურიკა

საქართველო, თბილისი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი*

რატომ არ არის ლექსი – „საფლავი მეფის ირაკლისა“ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტიკური ორიენტაციის გამომხატველი

დასმული პრობლემის გადასაწყვეტად სტატიაში მოტანილია არგუმენტები:

1. ეს ლექსი 1842 წელსაა დაწერილი.ამავე წელს დაიწერა პოეტის ორი შესანიშნავი ქმნილება: თავისუფლების იდეით განმსჭვალული „მერანი“ და „სუმბული და მწირი“. ის ფაქტი, რომ 1842 წელს ერთდროულად შეიქმნა „მერანი“, „სუმბული და მწირი“ და ამათგან იდეურად სრულიად განსხვავებული ლექსი – „საფლავი მეფის ირაკლისა“ „გაორებული რომანტიკოსის“ შემოქმედებით მეთოდად ჩაითვალა;

2. ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“ ამოვარდნილია არა მარტო ბარათაშვილის ლირიკული პოეზიისათვის დამახასიათებელი მხატვრულ-გამომსახველობითი ოსტატობის ჩარჩოდან, არამედ იმ ეროვნულ-იდეური მსოფლმხედველობიდან, რაც ამ დიდი პოეტისა და მოქალაქისათვის იყო ნიშანდობლივი.

3. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები უკავშირდება 1832 წლის შეთქმულებას, მის ისეთ პროგრესულად მოაზროვნე ნაწილს, რომლის ხელმძღვანელი სოლომონ დოდაშვილი იყო. დოდაშვილი არა მარტო მისი გიმნაზიის მასწავლებელი, არამედ განუშორებელი სულიერი მეგობარი იყო(ვახტანგ ორბელიანი, ზაქარია ჭიჭინაძე, პავლე ინგოროყვა და სხვ),დოდაშვილი განსაკუთრებული სიმკაცრით დაისაჯა, რასაც არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა პოეტზე; დოდაშვილი არყოფილა ე.წ. „გაორებული“ მოაზროვნე, მან საქართველოს თავისუფლების იდეას ბოლომდე უერთგულა.

4. ბარათაშვილს ლექსი – „საფლავი მეფის ირაკლისა“ მიძღვნილი აქვს მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილისადმი.მიძღვნას პოეტი ყოველთვის განსაკუთრებულ დატვირთვას აძლევდა. მიძღვნილი ტექსტის ლირიკული გმირი იყო არა თავად პოეტი, არამედ ადამიანი (ან საგანი) რომელსაც ის ეძღვნებოდა. ეს ლექსი პოეტს მისთვის ალბომში ჩა-

უნერია (მისივე თხოვნით) სხვა ლექსთან ერთად – „კნიაზ ბარატაევის აზრფეშაზედ“. ამ უკანასკნელში პოეტს აზარფეშის განწყობილება აქვს გამოხატული: „ამავსებ ღვინით, აგავსებ ღვინით, შესვი? გაამოს!“ ასევეა ლექსი „მერანი“, სადაც პოეტის ნაცვლად შამილის ტყვე ილია ორბელიანი ლაპარაკობს (აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის წაკითხვაზე. რასაკვირველია, იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში და არა მე“, – გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი პოეტის წერილიდან).

5. პოეტის ამგვარი დამოკიდებულება მიძღვნილი ტექსტისადმი აშკარად გვეუბნება, რომ „საფლავი მეფის ირაკლისაც“ იგივეს იმეორებს, გამოხატავს მიხეილ ბარატაევის იდეურ-პოლიტიკურ მრწამსს.

6. ლექსი დაწერილია პოეტისთვის უჩვეულო ოდური სტილით და ეს პოეტური ფორმა, რომელიც ორგანული იყო მისი უფროსი თანამოკალმის – გრიგოლ ორბელიანისთვის, „აშკარად არაორგანული აღმოჩნდა ბარათაშვილის ლირიკული ბუნებისათვის“ (გურამ ასათიანი).

ამ სტილსაც, ვფიქრობთ, ბარათაშვილმა სპეციალურად მიმართა ამ ლექსისათვის, რათა გამოეხატა რუსეთიდან ჩამოსული და მის ოჯახთან დამეგობრებული, იმპერიის ერთგული „სტატსკი სოვეტნიკის“ განწყობილება.

7. რამდენიმე თვეში ეროვნული თვალთახედვა ისეთ დიდ პოეტსა და მოაზროვნეს, როგორც ბარათაშვილია, არ შეიძლება შეეცვალოს. მითუმეტეს, იმავე 1842 წლის 2 მაისს („საფლავიც“... ამ დროსაა დაწერილი, რადგან ივნისში ბარატაევი პეტერბურგს გაემგზავრა) პოეტს გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ წერილში იმგვარი გაბედული და სახიფათო პოლიტიკური მოსაზრებები ჩაუნერია, რომ პეტრე უმიკაშვილს მისი გადმონერაც ვერ გაუბედავს და გამოტოვებული სტრიქონები დაშიფრული სახით ჩაუნიშნავს (ტექსტში, გადმოსაწერადაც შეუძლებელი, 21-სიტყვიანი ფრაზააა გამოტოვებული).

8. აკაკი ბაქრაძის აზრით, ლექსი არის ირონია. თუ ამას არ დავინახავთ, „ჩვენ ერთ-ერთ უდიდეს ქართველ პოეტსა და მოაზროვნეს თვითნებურად მივანერთ უბოროტეს აზრს – საქართველოს თავისუფლების დაკარგვით გახარებას... სხვანაირად მისი წაკითხვა შეცდომაა არის და ნ. ბარათაშვილის დამცირება-დაკინებაც“. რა თქმა უნდა, ასეა. თუმცა, ეს სათქმელი არც ირონიულად და არც სერიოზულად ბარათაშვილს არ ეკუთვნის. ლექსში გამოხატული თვალსაზრისისადმი პოეტის გარკვეული მწარე ირონია კი (ბარათაშვილის პიროვნებას თუ გავითვალისწინებთ), ბუნებრივია;

9. ამრიგად, „საფლავი მეფის ირაკლისა“ არ არის ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტიკური და ეროვნული მრწამსის გამოხატულება, მას არც ხარკი გადაუხდია თანამედროვეობისათვის ამ ლექსით, არც ერეკლეს ანდერძად ჩაუთვლია რუსეთის მიერ მიტაცებული საქართველოს ბედი, არც ის ბედნიერება დაუნახავს თავის თანამედროვე საქართველოში, რაც ლექსში ასახა. ის იმ კაცის თვალსაზრისია, ვისაც მიუძღვნა პოეტმა ეს ლექსი და საკუთარი თხოვნით, ალბომში ჩაუნერა. ალბომში ჩანერა კიდევ უფრო მეტ ინტიმურობას ანიჭებს ლექსს, საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მასში გამოხატული თვალსაზრისი, ემოცია და განცდა, ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის შეფასებისას ვერ განზოგადდება და, მითუმეტეს, ვერ იქცევა ისეთ გადამწყვეტ არგუმენტად, რაც ბარათაშვილის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის განმსაზღვრელად გამოდგება.

TEIMURAZ DOIASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Romantic Irony and Nikoloz Baratashvili's “Fate of Georgia”

For many decades in Georgian literary studies the NikolozBaratashvili's poem “*Fate of Georgia*” was mostly considered as a logical discourse on “*real-historical dilemma*” (G. Asatiani) and not as a literary text based on the philosophical-historical concept of Romanticism.

It is paradoxical that King Erekle, the romantic protagonist of the poem, substantiates the concession of freedom and the tragic impassability of necessity, while the second character of the dialogue conflict – Solomon Judge brings the supremacy idea of freedom in the logical judgment in the paradox form. Both presented views are equally right and equally important, which is not accidental. Because of this, it is incorrect to seek the author's specific real-historical view, because at this time, willingly or unwillingly, a poet-philosopher turns into a historian.

As the author believes, NikolozBaratashvili presents the problem of the fate of Georgia from the standpoint of worldview of romantic irony. The poet-ro-

manticist assumes the simultaneous, subjective imaginative existence of the opposed infinitives – the unconditional (freedom) and conditional (the necessity) in the life and from the position of the creator’s absolute freedom expresses the irony of history and self-irony, as well.

In the context of romantic irony as well as from the standpoint of historical reality the “*Fate of Georgia* “ is perceived as a bitter irony on the sarcasm of reality and human being’s weakness before the necessity, while from conceptual viewpoint – as an illusory raising of the inevitability of “fate” and the eternal desire to have romantic ideal (liberty).

თეიმურაზ დონიაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

რომანტიკული ირონია და ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“

მრავალი ათეული წლის მანძილზე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“, უპირატესად, განიხილებოდა როგორც ლოგიკური დისკურსი „რეალურ-ისტორიულ დილემაზე“ (გ. ასათიანი) და არა როგორც რომანტიზმის ფილოსოფიურ-ისტორიულ კონცეფციაზე დაფუძნებული მხატვრული ტექსტი.

პარადოქსულია, რომ მეფე ერეკლე, პოემის რომანტიკული პროტაგონისტი, თხზულებაში რომანტიზმის აბსოლუტური ფასეულობის – თავისუფლების დათმობასა და აუცილებლობის ტრაგიკულ გარდუვალობას ასაბუთებს, ხოლო დიალოგური კონფლიქტის მეორე მონაწილეს – სოლომონ მსაჯულს ლოგიკურ განსჯაში პარადოქსის ფორმით შემოაქვს თავისუფლების უზენაესობის იდეა. ორივე თვალსაზრისი თხზულებაში წარმოდგენილია, როგორც თანასწორუფლებიანი და თანაბრადმნიშვნელოვანი, რაც შემთხვევითი არაა. ამის გამო არა მართებული ჩანს ავტორის კონკრეტული რეალურ-ისტორიული თვალსაზრისის ძიება, რადგან ამ დროს, ნებისთუ უნებლიეთ, ხდება პოეტი-ფილოსოფოსის ჩანაცვლება ისტორიკოსით.

ქართლის ბედის პრობლემას ნიკოლოზ ბარათაშვილი, ჩვენი აზრით, წარმოგვიდგენს რომანტიკული ირონიის მსოფლმხედველობ-

რივი პრინციპის სიმაღლიდან. პოეტი-რომანტიკოსი უშვებს ყოფიერებაში (სინამდვილეში) დაპირისპირებულ ისანყისების – უპირობოსა (თავისუფლება) და განპირობებულის (აუცილებლობა) ერთდროულ, სუბიექტურად წარმოსახულ არსებობას და შემოქმედის აბსოლუტური თავისუფლების პოზიციიდან გამოხატავს ირონიას ისტორიისა და საკუთარი პერსონის მიმართაც.

რომანტიკული ირონიის კონტექსტში „ბედი ქართლისა“ ისტორიული რეალობის ქრილში იკითხება როგორც მწარე ირონია სინამდვილის სარკაზმზე და აუცილებლობის წინაშე სუბიექტის უძლურებაზე, ხოლო კონცეპტუალურ პლანში – როგორც ილუზორული ამაღლება „ბედის“ გარდუვალობაზე და რომანტიკული იდეალის (თავისუფლების) დამკვიდრების მარადიული სურვილი.

TEA DULARIDZE

TAMAR TARKHNISHVILI

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Elements of Romanticism in Franz Grillparzer's *Sappho*

Franz Grillparzer, a distinguished Austrian writer, has attracted close scholarly attention for over a century. While some point out his preference for seclusion, thus explaining the prevalence of quietism in his works, others portray him as an active person inspired by liberal ideas. The study of Grillparzer's works against his contemporary literary movements has proved particularly debatable. However, no one argues that Grillparzer cannot be assigned to any particular literary school and that despite his obvious disapproval of the theories of romanticism, along with classicism, his works also display elements of romantic aesthetics and poetics.

This article aims to study Grillparzer's concept of quietness, seclusion and privacy as manifested in his tragedy *Sappho*. I will analyze classical sources about the love of Sappho and Phaon (Elian, Strabo, Ovid, Plautus), as well as innovations introduced by Grillparzer into the classical story. I will also try to establish to what extent the main conflict of the tragedy can be viewed as an individual's challenge promoted by Romanticism and identify the signs of classicism in Grillparzer's tragedy.

The tragedy features two worlds divided by an abyss: one is overwhelmed by intense human passions and daily turmoil, while the other is filled with contemplation and the ideal of quietism. Communion with high art requires the sacrifice of human relations and love. This article aims to expose the internal controversy faced by Grillparzer in his quest for human harmony and serenity in this split universe.

თაა დულარიკა

თამარ თარხნიშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რომანტიზმის ელემენტები ფრანც გრილპარცერის ტრაგედიაში „საპფო“

გამოჩენილი ავსტრიელი მწერლის ფრანც გრილპარცერის ლიტერატურული მემკვიდრეობის კვლევა საუკუნეზე მეტია ინტენსიურად მიმდინარეობს. თუ ნაწილს მიაჩნდა, რომ მწერლის იდეალი განმარტოებული ცხოვრება გახლდათ და აქედან გამომდინარე ე. წ. კვიეტიზმის (სიმშვიდის, სიწყნარის, მყუდროების) ფენომენს განსაკუთრებული ადგილი ეკავა მის შემოქმედებაში, სხვები თვლიდნენ, რომ გრილპარცერი არათუ მორჩილი და პასიური ფიგურა იყო, არამედ ლიბერალური იდეებით შთაგონებული აქტიური მოღვაწე გახლდათ. განსაკუთრებით წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა გრილპარცელის შემოქმედების ანალიზი თავისი ეპოქის ლიტერატურულ მიმდინარეობებთან მწერლის კავშირურთიერთობის თვალსაზრისით. დღეს უკვე თანხმდებიან იმაზე, რომ ავსტრიელი დრამატურგის შემოქმედება ერთ რომელიმე ლიტერატურულ სკოლას არ მიეკუთვნება. ამასთან მკვლევარნი აღიარებენ იმასაც, რომ რომანტიკოსთა თეორეტიკულ შეხედულებებთან აშკარა დაპირისპირების მიუხედავად, გერმანელ კლასიციზმთან ერთად გრილპარცერის შემოქმედებისათვის ერთობ ნიშანდობლივია რომანტიზმის ესთეტიკისა თუ პოეტიკის რიგი შტრიხები.

ჩვენი მოხსენების მიზანია, შევისწავლოთ, თუ როგორ გაიაზრა სიმშვიდის, განცალკევების, მყუდროების ფენომენი გრილპარცერმა ტრაგედიაში „საპფო“. კერძოდ, გავანალიზოთ, რას მოგვითხრობდნენ ანტიკური წყაროები საპფოსა და ფაონის სიყვარულის შესახებ

(ელიანე, სტრაბონი, ოვიდიუსი, პლინიუსი, პლავტუსი), რას ემსახურებოდა მწერლის მიერ შემოტანილი ინოვაციები კლასიკური მემკვიდრეობის ამ ლეგენდაში; რამდენად შეიძლება ნაწარმოების მთავარი კონფლიქტი რომანტიზმისათვის დამახასიათებელ ინდივიდუუმის გაბრძოლებად მოვიაზროთ და რაში ვლინდება კლასიციზმის სკოლის ნიშნები ამ ნაწარმოების ფარგლებში.

ტრაგედიაში სახეზეა ორი სამყარო – ერთი აქტიური ცხოვრებით, ყოველდღიური ორომტრიალითა და მძაფრი ადამიანური ვნებებით და მეორე სამყარო – ცხოვრების „მჭვრეტელობით“ ნირითა და კვიეტიზმის იდეალით. ამ სამყაროთა შორის გადაულახავი უფსკრულია და მაღალ ხელოვნებასთან ზიარება უცილობლად მოითხოვს დიდ მსხვერპლს – ადამიანური ურთიერთობის, სიყვარულის დათმობას. ჩვენი კვლევა წარმოაჩენს სწორედ იმ შინაგან წინააღმდეგობებს, რომლებიც დახვდა გრილპარცერს ამ გახლეჩილ სამყაროში ადამიანისათვის ჰარმონიისა და სიმშვიდის ძიების გზაზე.

KETEVAN ELASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Blue (sorrow) Aesthetics (Nikoloz Baratashvili)

The word, with its “canonic” essence, goes alongside the literature, sometimes precedes it, and even clears the path for the concrete course of writing. This was the case for sorrow (according to Sulkhan Saba Orbeliani this word has foreign origins), which isolated from grief, first with its emotion and then with its meaning as well.

It's worth mentioning that sorrow saved the emotional depth from its terrestrial heaviness and then added tensivity of infinity to it. This outlined the contours of romanticism, which entered in Georgian writing with the word “sorrow” (alongside with other preconditions...) Sorrow made romanticism as soul-penetrating as music, which with its hand, created blue aesthetics.

From this point of view Nikoloz Baratashvili reaches absolute perfection, who was romantic with his whole being and thanks to his creative or biographic

peripeteia, created poetic and aesthetic icon for integration of sorrow in Georgian artistic thinking.

Despite all above mentioned, in Georgian “biography of Sorrow” existed an important detail before Baratashvili – “Sorrow Garden” of Besiki (that has no symbolic analogue in Eastern poetry...), which added the light eroticism to Georgian verse and made the feeling more impulsive.

And even though, Nikoloz Baratashvili remains the poet, who gave “Blue Aesthetics” to Georgian writing.

ქეთევან ელაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სევდის ესთეტიკა (ნიკოლოზ ბარათაშვილი)

სიტყვა თავისი „კანონიკით“ მიუყვება მწერლობას და, ზოგჯერ წინმსწრებად, კონკრეტულ ლიტერატურულ მიმდინარეობასაც კი უკაფავს გზას. ასე იყო სევდის შემთხვევაშიც (საბასეული განმარტებით – „სევდა, სავდა სხვათა ენაა, ქართულად შავი ნალველი ჰქვიან“), რომელიც მწუხარებას, ნალველს, კაეშანს ჯერ წარმოთქმის „ემოციური ველით“ გაემიჯნა, მერე კი – არსობრივადაც.

ასე იყო, თუ ისე – სევდამ განცდის სიღრმე მიწიერი სიმძიმისაგან იხსნა და მას უსასრულობის ამორფულობით ზედროულობის სიმძაფრე შესძინა. ეს კი – უკვე რომანტიზმის კონტურები იყო, რომელსაც ქართულ მწერლობაში, ყველა სხვა წინა პირობასთან ერთად, სიტყვა „სევდაც“ შემოუძღვა. სწორედ რომანტიზმმა გახადა სევდა, ისეთივე სულშიჩამწვდომი, როგორიც მუსიკა იყო – სამყაროს „მეტყველი სრულქმნა“. ცხადია, რომ ამ შესაბამისობას უნდა წარმოეშვა სევდის ესთეტიკა.

ამ მხრივ აბსოლუტურ სრულყოფილებას აღწევს ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც თხემით ტერფამდე რომანტიკოსი გახლდათ – შემოქმედებითი თუ ბიოგრაფიული პერაპეტიებით. თუმცაღა (მისი თანამედროვეთა თქმით) რელიგიური ცნობიერებიდან გამომდინარე, გასაკვირი სულიერი წონასწორობითა და ცხოველმყოფელობით გამორჩეული. და რაც მთავარია, ბარათაშვილი იყო ქართული რომან-

ტიზმის იმგვარი მეტრი, რომელმაც მხატვრულ აზროვნებაში სევდის ფენომენის ინტეგრირებისათვის შექმნა ახალი პოეტურ-ესთეტიკური ხატი.

მაგრამ სევდის ქართულ ბედისთქმაში ბარათაშვილამდე, ერთი მნიშვნელოვანი შტრიხიც არსებობდა. ეს იყო ბესიკის მიერ აღმოცენებული „სევდის ბაღი“ (რისი სახისმეტყველებითი ანალოგი აღმოსავლურ პოეზიაში არ იძებნება) – უჩვეულო ბგერათმექცევით, გრძნობის იმპულსის ნატიფობითა თუ სიტყვას ადევნებული ეროტიზმის მსუბუქი ნიავ-ქართ...

და მაინც ჩვენი მწერლობისათვის, ნიკოლოზ ბარათაშვილი დარჩა იმ პოეტად, რომელმაც ქართულ ლექსს სევდისმეტყველება შესძინა.

MAKA ELBAKIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

William Wilson and his Doppelgänger

“William Wilson” is one of Edgar Alan Poe’s classic stories. It is directly engaged with the psychological effects of a split identity and seems to anticipate one of Sigmund Freud’s concept from nearly a century later “The Uncanny”. Like Freud, Poe associates the alter ego with a universal psychological condition, unaffected by specifics of time or place (what Wilson believes to be his Doppelgänger could be understood in terms of the “voice of the punishing super-ego”, the visual and auditory hallucinations of an obsessional neurotic). William Wilson’s double follows him across Europe—from England to Italy—and from childhood to adult life. It is clear that the narrator’s mental splitting of himself into two William Wilsons does not result from aggravating factors of a specific environment, since the narrator purposefully moves to different environments in an attempt to elude his double. The doppelgänger represents the narrator’s attempt to project an inner evil on the outside world.

The story is concerned with the psychological problem: the engagement of morals in terms of human nature and the expectations of what should be considered morally good or evil.

The conclusion of the story (the carnival atmosphere and masquerade ball) simultaneously holds depressing implications for the resolution of the double identity problem. Instead of a two-part soul reconciling into one, the problem is only ended by the triumph of one half over the other.

JALAL FARZANEH DEHKORDI
MOHAMMAD AMIN MOZAHEB

Tehran, Iran

Imam Sadiq University

Byron's *Cain* the Metaphysical Rebellion of a Gnostic Soul in Search of Terrestrial Paradise

Byron's *Cain* is one of his most contentious works. While Cain's assertions about the creator in the Old Testament are considered blasphemous, such desecrations cannot be considered only as unequivocal sacrileges insulting the ontological insights of Christianity. On the contrary, Byron's understandings in *Cain* can be interpreted according to the religious creeds of a Romantic poet who is forming his unorthodoxies in order to fashion his own world. So, the present article rejects this idea that *Cain* is only an out-and-out attack on the traditional beliefs of Christianity. This study, on the contrary, considers *Cain* as a Romantic poet's manifesto for re-conceptualizing the Christian old myths in favor of his world. To prove this thesis, Byron's heretical doctrines are interpreted utilizing the theoretical frameworks of Gnosticism, metaphysical rebellion and terrestrial paradise prospects. As a heretical movement in Christianity which flourished during the 2nd and 3rd centuries, Gnosticism challenged the traditional interpretations of the Orthodox Church about the Old Testament. Considering the ontological doctrines of Christianity unfair, biased and illogical, *Cain*, then, establishes its messianic message on the probability of building a terrestrial paradise. The logic of such scholastic questioning and its answer can also be traced in Albert Camus's doctrine about the pretexts of Byronic man's metaphysical rebellion. This paper, therefore, scrutinizes the heterodoxies of a Romantic text alongside the new doctrines which it establishes related to the emerging discourses of its time.

MARIAM FILINA

Georgia, Tbilisi

Tbilisi I. Javakhishvili State University, Institute of Slavic Science

“Faris” by Adam Mickiewicz and “Merani” by Nikoloz Baratashvili - the poetic dialogue

The personalities and poetic heritage of Adam Mickiewicz and Nikoloz Baratashvili have been compared for a century and a half. The analysis of “Merani’s” text does not give an unambiguous answer to the question whether the Georgian romanticist was familiar with “Faris”, although this fact should not be ruled out-in 1831 Solomon Razmadze translated Mickiewicz’s poem into Georgian and left a translation in the family of GrigolOrbeliani. The poles of opinions about Baratashvili’s acquaintance with “Faris” are those - from the assumptions that he read “Faris” before the statements of Jonah Meunargiya and KitaAbashidze, that “Merani” was written under the influence of Mickiewicz. Analysis of the common points and fundamental differences between the two masterpieces of the lyric allows us to speak of a “roll call” of their ideas, themes and motives common to the poetics of romanticism. Both works were written in a dramatic period for Poland and Georgia, when both countries were deprived of independence. The material included in the comparison goes beyond the actual study of the text, but extends to a typological study of two romantic schools, the national tradition, includes the moments of the psychology of the creator’s personality, the socio-historical situation. With all the difference in the subtext of the poems, it is obvious that they contain a similar pathos, close in power and meaning: to flee from the present, from vulgar reality, through any obstacles, escaping in this jump on a horse - to their hope and saving their dream - a steed, in Complete loneliness, against all enemies, concrete and possible. Look beyond the reach of a person and not give up. Both poems are filled with the pathos of the only, last flight. These poems in both Polish and Georgian literature rose above the level of the best examples of poetry, even over the creations of their authors, leaving behind their own verses, but full of hesitation and doubt.

МАРИЯ ФИЛИНА

Грузия, Тбилиси

Тбилисский государственный университет им. Ив.Джавахишвили

«Фарис» Адама Мицкевича и «Мерани» Николоза Бараташвили – поэтический диалог

Личности и поэтическое наследие Адама Мицкевича и Николоза Бараташвили сопоставляют на протяжении полутора столетий. Анализ текста «Мерани» не дает однозначного ответа на вопрос, был ли грузинский романтик знаком с «Фарисом», хотя не следует исключать этого факта – в 1831 году Соломон Размадзе перевел стихотворение Мицкевича на грузинский и оставил перевод в семье Григола Орбелиани. Полюса мнений относительно знакомства Бараташвили с «Фарисом» таковы – от предположений, что он читал «Фариса» до утверждений Ионы Меунаргия и Киты Абашидзе, что «Мерани» написано под влиянием Мицкевича.

Анализ общих моментов и принципиальных различий двух шедевров лирики позволяет говорить о «переключке» их идей, тем и мотивов, общих для поэтики романтизма. Оба произведения написаны в драматический для Польши и Грузии период, когда обе страны были лишены независимости. Материал, включенный в сопоставление выходит за рамки собственно исследования текста, а расширяется до типологического изучения двух романтических школ, национальной традиции, включает в себя моменты психологии личности создателя, общественно-историческую ситуацию.

При всем различии подтекста стихотворений очевидно, что они включают в себе сходный пафос, близкий по мощи и значению: бежать от настоящего, от пошлой действительности, через любые преграды, спасаясь в этой скачке на скакуне – своей надежде и спасая свою мечту–скакуна, в полном одиночестве, против всех врагов, конкретных и возможных. Заглянуть за пределы доступного человеку и не отступить. Оба стихотворения исполнены пафоса единственного, последнего полета. Эти стихи и в польской, и в грузинской литературе вознеслись над уровнем самых лучших образцов поэзии, даже над творениями своих авторов, оставив за собой их же стихи, но исполненные колебаний и сомнений.

GIORGI GACHECHILADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Baroque in Romanticism

We chose ‘Baroque in Romanticism’ and not ‘Baroque and Romanticism’ as the topic of our paper, because it is evoked by the fact of baroque condition in the History of culture.

In fact, epoch of Baroque had significantly influenced its epoch as well as subsequent periods. That’s why its style is different in the normative scheme of the classification of periods.

Baroque is more than a style of any epoch. In this respect it represents a variation of Karl Jaspers’ ‘axial time’. It is the period when – in different times and spaces – simultaneously emerged intellectual possibilities evoked by the invention of writing as well as an image of human being we all known today was formed. It is a human being standing in front of abyss, who faces a horror of the infinite world as well as finitude of his/her resources. Relevant code for this finitude Baroque identified in a concept of ‘Shout’. Leibniz was the first European philosopher, who reduced a philosophical concept to the effect of the shout rather than compared them. One can hear this echo of the shout from the whole Georgian Baroque culture.

I shout and cry and scream

I could not grasp the meaning of your shout.. –

These are Davit Guramishvi’s words. The first Georgian Romantic poet, who carried off and took this Baroque motive in global dimension was Nikoloz Baratashvili. Merani is the echo of the shout, formed in the framework of Baroque. Guramishvili’s ‘Ordeal of Kartli’ and Baratashvili’s ‘The fate of Kartli’ reflect nourishing source of Georgian Baroque and Romanticism. Guramishvili did not live to see the destiny of his poem. Baratashvili did not live to see Guramishvili’s ‘Ordeal of Kartli’ that through the generations, Georgians will read as the first part of Baratashvili’s ‘The Fate of Kartli’. What does these two poems have in common?

‘The Fate of Kartli’ contemplates on the fate that Napoleon substituted with the concept of ‘Politics’. Spiritual and conscious relations of Baroque and Romanticism should be interpreted in this context.

გიორგი ბაჩანილაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ბაროკო რომანტიზმში

მოსხენების თემად შერჩეული სათაური „ბაროკო რომანტიზმში“ და არა „ბაროკო და რომანტიზმი“ კულტურის ისტორიაში ბაროკოს მდგომარეობის ფაქტუალობით არის გამონწვეული.

საქმე ისაა, რომ კულტუროლოგიური მისია, რომელიც ბაროკოს ეპოქამ თავისი და მომდევნო პერიოდის ისტორიაში შეასრულა, ბაროკოს განასხვავებს სტილების მიხედვით ეპოქათა კლასიფიკაციის ნორმატიული სქემისაგან.

ბაროკო მეტია და ფართო, ვიდრე ეპოქის სტილი.

ამ თვისებით XVII საუკუნის ბაროკოს დრო წარმოადგენდა კარლ იასპერის „ღერძული დროის“ ვარიაციას. ეს არის დრო, როდესაც დროსა და სივრცეში ერთმანეთისგან დაშორებულ ქვეყნებსა და კონტინენტებში ერთდროულად იფეთქა არა მხოლოდ დამწერლობის შექმნით გამონწვეულმა ადამიანის ინტელექტუალურმა შესაძლებლობებმა, არამედ იმ ტიპის ადამიანის ჩამოყალიბების პროცესმა, როგორებიც ვართ დღესაც.

ეს არის უფსკრულის წინაშე მდგარი ადამიანი, რომელმაც თვალი გაუხსნორა როგორც სამყაროს უსასრულობით მოგვირეულ საშინელებას, ისე საკუთარი შესაძლებლობების უძლურებას. ამ უძლურების შესატყვისი კოდი ბაროკომ შეკვივლებაში დაინახა. ლეიბნიცი იყო პირველი ევროპელი ფილოსოფოსი, რომელმაც ფილოსოფიური კონცეპტის მნიშვნელობა კი არ შეადარა შეკვივლებას, არამედ დაიყვანა შეკვივლების ეფექტის ფაქტორამდე.

მთელი ქართული ბაროკო კულტურიდან განუწყვეტლად მოისმის ამ შეკვივლების ექო.

მე ამაღ ვჰყვივი, ვჰყვირი და ვჰკვივი,
ვერ განვარკვივი შენი კივივი...

ეს დავით გურამიშვილია.

პირველი რომანტიკოსი ქართველი პოეტი, რომელიც ბაროკოს ამ მოტივს აიტაცებს და გლობალურ სივრცეში გაიტანს, იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი.

„მერანი“ არის ბაროკოში ჩამოყალიბებული შეკვივლების ექო.

გურამიშვილის „ქართლის ჭირი“ და ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ პარალელურ სარკეებივით, როგორც ტექსტი ტექსტში, ირეკლავენ ქართული ბაროკოსა და რომანტიზმის მასაზრდოებელ წყაროს.

გურამიშვილი ისე გარდაიცვალა, რომ ვერ გაიგო რა ბედი ეწია საქართველოში გამოგზავნილ მის „დავითიანს“. ბარათაშვილი ისე გარდაიცვალა, რომ თვალის ვერ შეავლო გურამიშვილის „ქართლის ჭირს“, რომელსაც შემდეგი თაობების ქართველობა წაიკითხავს. როგორც ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ პირველ ნაწილს.

რა იყო მათი გამაერთიანებელი?

„ბედი ქართლისაში“ ლაპარაკია ბედზე, ნაპოლეონს რომ უკვე ჩანაცვლებული ჰქონდა პოლიტიკის ცნებით. ამ კონტექსტში იკითხება ბაროკოსა და რომანტიზმის სულიერ-გონითი ნათესაობა. თეიმურაზ I, ვასხტანგ VI, არჩილი, ბესიკი, გურამიშვილი ბაროკოდან და ალ. ქავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის რომანტიზმიდან.

არათუ ბაროკოსა და რომანტიზმში, არამედ მანამდეც და შემდეგაც სულიერ ლანდშაფტს საქართველო დაფარავდა შეკვივლების ხმით. ამ ხმის ექო ისმის გალაკტიონის „ლურჯა ცხენებისა“ და გ. ლეონიძის „მყვირალობაში“. შ. ნიშნინიძესთან ვკითხულობთ:

ზოგი ციხეა შეკვივლება, ზოგი – გაფრენა,
ზოგს აუშვია ხომალდივის ნისლი აფრების
ზოგი მუშტია, მუქარაა, ზოგი გინება,
ალაყაფებით, ქონგურებით რომ იკბინება!

ყველგან, სადაც კი მოისმის საქართველოს ეროვნული სხეულის ტკივილით გამოწვეული ხმა, როგორც გალაკტიონის „შენზე წუხილით დავღრღნი ამ მიწას, ჩავაცვივდები კბილებით კალამს“ ან მურმან ლებანიძის „და მე ვყვირი აფხაზეთი ჩემი“ – არის ყვირილისთვის ბაროკოს ფილოსოფიური კონცეპტის მიმნიჭებელი ხმა.

როგორც ვხედავთ ბაროკოსა და ქართულ რომანტიზმს აერთიანებს რუსული აგრესიიდან თავის დახსნის თემა. ბაროკო XVII საუკუნიდან იწყება ყვირილის მოტივით. ეს მოტივი დღესაც არ დამცხრალა ქართულ პოეზიაში.

NUGESHA GAGNIDZE

Georgia, Kutaisi

Akaki Tsereteli State University

The Perception of Nikoloz Baratashvili's "Merani" in Giwi Margvelaschwili's novel "Muzal"

Nikoloz Baratashvili's "Merani" and Vaja Pshavela's "Aluda Qetelauri" are very important works for the postmodern novel "Muzal" of German writing Georgian writer Giwi Margvelaschwili's. By rewriting the primary texts and deformation of their images the writer offers a new reality, the reality where there is nothing perfect.

Among numerous symbols used by Margvelaschwili in his novel Baratashvili's Merani takes on special significance. His romantic escape from the universe is transformed into Gilles Deleuze's device, according to which the writer draws the lines in the novel to show that the literary characters run away from their own texts.

Margvelaschwili shows a great mastery writing about personal and public when he creates a scene of kidnapping chechen Muzal by Black Merani in Khevsurian community. The narrator in Margvelaschwili's novel is Muzal, the character from Vaja Pshavela's "Aluda Qetelauri", who plays tominoes and tries to cheat the reader by introducing new characters. He uses titles with new names: "Black Merani", "Raven", "White Merani", "White Dove".

Baratashvili's Black Merani is transformed by Margvelaschwili in his novel into White Dove, as well as colorless Merani into White. Despite galloping the horse up and down the rider hopes that a fellow finds his life easier following his beaten track. Margvelaschwili shares Baratashvili's idea as his White Merani also tries to escape from reality. The writer doesn't answer the question if Muzal's running has the end. He just draws lines and hopes if all lines cross the points which he puts, his novel and the character will be able to shift into the better readable and living conditions.

ნუგეზა გაბნიკა

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ რეცეფცია გივი მარგველაშვილის „მუცალში“

ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ და ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური“ არსებითი ნაწარმოებებია ქართველი გერმანულენოვანი მწერალის გივი მარგველაშვილის პოსტმოდერნისტული რომანისათვის „მუცალი“. მათზე ახალი ტექსტის „გადაწერითა“ და მხატვრულ სახეთა დეფორმაციის გზით მწერალმა შემოგვთავაზა ახალი ესთეტიკური რეალობა – რეალობა, რომელშიც იდეალური არაფერია.

მრავალრიცხოვან სახე-სიმბოლოთაშორის, რომელთაც გივი მარგველაშვილი „მუცალში“ წარმოგვიდგენს, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ბარათაშვილის მერანი. მისი რომანტიკული ქროლვა სამყაროდან თავის დასაღწევად, მარგველაშვილთან გარდაიქმნება ჟილ დელიოზისეულ პრინციპად, რომლის თანახმად, ავტორი თავის ნაშრომში ნერტილებს კი არ სვამს, არამედ ხაზებს ავლებს, რაც იმას გულისხმობს, რომ ლიტერატურული გმირები საკუთარი ტექსტებიდანაც კი გარბიან.

პირადი და საზოგადოებრივი დიდი ოსტატობით წარმოაჩინა მარგველაშვილმა, როცა ხვესურულ თემში შავი მერნით ქისტი მუცალის მოტაცების სცენა შექმნა. ბარათაშვილის „მერანის“ ოპტიმისტური პათოსით აღზრდილ მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს შავი მერანი, რომელმაც მუცალი მოიტაცა.

გივი მარგველაშვილის რომანში მთხრობელი ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ პერსონაჟი მუცალია, რომელიც მკითხველის თვალწინ თომინოს თამაშობს და დამატებითი ქვებით ცდილობს სხვა პერსონაჟების „გაცურებას“. თამაშის სიახლე ახალი დასახელების ქვების შემოღებაა: „შავი მერანი“, „ყორანი“, „თეთრი მერანი“ და „თეთრი მტრედი“.

ბარათაშვილისეული შავი ყორანი მარგველაშვილთან თეთრ მტრედად გარდაიქმნება, ხოლო ფერის არმქონე მერანი – თეთრ მერნად. უგზო-უკვლოდ ჭენების მიუხედავად, მხედარის იმედი აქვს, რომ მის მიერ თელილ გზაზე, მოძმეს გაუიოლდება ცხოვრება, უკვა-

ლოდ არ ჩაივლის მისი „განწირული სულის კვეთება“. მარგველაშვილი ახლოა ამ მოსაზრებასთან, რადგან მისი თეთრი მერანიც ცდილობს, თავი დააღწიოს რეალობას. მწერალი პასუხს არ სცემს შეკითხვას, ექნება თუ არა დასასრული მუცალის გაქცევას. ის ავლებს ხაზებს და იმედოვნებს, რომ თუ მისი გაქცევის ხაზი ყველა იმ წერტილს შემოუვლის, რომელიც მას შეიძლება დაესვას, მაშინ მისი რომანი და გმირი პრინციპულად უკეთეს, ნასაკითხად და საცხოვრებლად ვარგის პირობებში შეძლებენ გადანაცვლებას.

KETEVAN GARDAPKHADZE

Georgia, Tbilisi

Iv. Javakishvili Tbilisi State University

Friedrich Hölderlin about Empedocles

Empedocles, made legendary already in his lifetime, whose death was likewise wrapped in mystery, became a subject of interest for the German romantic poet Friedrich Hölderlin, whose tragedy, *The Death of Empedocles*, conveys his attitude towards philosophy and antiquity. This article examines the drama to foreground the poet's ideas about antiquity, shaped by the reinterpretation of Greek heritage in the 18th/19th century German culture.

The revision of Greek civilization was largely contributed by German idealism and aesthetics, thanks to which the 18th-19th century German poetry is essentially philosophical. In Hölderlin's works, which are deeply rooted in his contemporary German culture, poetry and philosophy complement each other, cognition is seen as the main mission of poetry, while ancient Greece is the poetic landmark representing the primary source of being. Hölderlin creates his own poetic mythology by deifying natural forces (the sun, aether, etc.), thus introducing elements of pantheism into his poetry.

The article discusses Hölderlin's interpretation of Empedocles' life and death, the extent to which the German poet follows Empedocles' biographer Diogenes Laertius, the poet's new vision of figures mentioned by the Greek author (Panthea, Pyndar, etc.), and his new accents that fashioned a character appealing to his contemporary world: a philosopher, priest, physician, politician, orator (called the father of rhetoric by Aristotle), whose name is perpetuated thanks to

his revolutionary ideas (hiscosmogenictheory of four elements driven by love and hatred and spontaneous origination frequently associated with natural selection) and hisbold striving for self-deification.

ქეთევან გარღაფსაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფ. შოლდერინი ემპედოკლესის შესახებ

ძველი ბერძენი ფილოსოფოსი ემპედოკლესი, რომელიც სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად და რომლის სიკვდილიც იდუმალებით იყო მოცული, გერმანელი რომანტიკოსის ფრიდრიხ შოლდერლინის ინტერესის საგანი ხდება. იგი წერს ტრაგედიას „ემპედოკლესის სიკვდილი“, სადაც საკუთარ დამოკიდებულებას აჩვენებს როგორც ფილოსოფოსის, ისე ბერძნული მემკვიდრეობის მიმართ. სტატია წარმოადგენს მცდელობას, გაანალიზოს დასახელებული ტრაგედიის ფონზე პოეტის დამოკიდებულება ანტიკურობის მიმართ, რაც, პირველ ყოვლისა, საზრდოობს XVIII-XIX სს-ის გერმანული კულტურის მიერ ანტიკურობის ახლებური გადააზრებით.

მთავარი როლი ბერძნული ცივილიზაციის გადახედვის საქმეში ითამაშეს გერმანელმა იდეალისტებმა (ი. კანტი, ი. ფიხტე, გ. ჰეგელი, ფ. შელინგი) და XVIII ს-ში ჩამოყალიბებულმა ესთეტიკამ, რის გამოც XVIII-XIX სს-ის გერმანული პოეზია ფილოსოფიურ ხასიათს ატარებს. ფ. შოლდერლინთანაც, რომლის შემოქმედება აუცილებლად გერმანულ კულტურულ ჩარჩოებში უნდა იქნას განხილული, პოეზია და ფოლოსოფია ავსებს ერთმანეთს და პოეზიის მთავარ დანიშნულებად შემეცნება არის აღიარებული, ხოლო ანტიკური საბერძნეთი პოეტურ ორიენტირად, რომელიც ყოფიერების პირველწყაროს წარმოადგენს. ამასთან ერთად შოლდერლინი ქმნის საკუთარ პოეტურ მითოლოგიას, რომელშიც ბუნებრივ ძალებს განალმრთობს (მზე, ეთერი და ა.შ.), რაც მისი მსოფლმხედველობის გარკვეულ პანთეისტურ ხასიათზე მიუთითებს.

სტატიაში გაანალიზებულია, თუ როგორ არის რეციპირებული ემპედოკლესის ცხოვრებისა და სიკვდილის ამბავი გერმანელ რომანტიკოსთან; რამდენად ზედმიწევნით მიჰყვება იგი ემპედოკლესის

მთავარ ბიოგრაფს – დიოგენე ლაერტელს. ყურადღება არის გამახვილებული, თუ რა ახალ დატვირთვას სძენს პოეტი ბერძენ ავტორთან დასახელებულ პიროვნებებს (პანთეა, პინდაროსი და სხვ.). რა არის ის აქცენტები, რომლებსაც სვამს რომანტიკოსი პოეტი და რომელთა საშუალებითაც ქმნის თავისი ეპოქისა და კულტურული კონტექსტისთვის საინტერესო პერსონაჟის, ფილოსოფოსის, ქურუმის, ექიმის, პოლიტიკური მოღვაწის, ორატორის (არისტოტელე მას რიტორიკის მამას უწოდებდა) სახეს, რომელმაც რევოლუციური იდეებით (ოთხი სტიქიის პირველსაწყისად აღიარება, რომლებიც მოქმედებაში მოყავს ორ მამოძრავებელ ძალას- სიყვარულსა და სიძულვილს; მისი თვითდაბადების თეორია ბუნებრივი გადარჩევის ჩანასახს შეიცადა) და სერიოზული გამოწვევით – ღმერთად გადაქცევის სურვილით – დაამახსოვრა თავი თანამედროვეებს.

MANANA GELASHVILI

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Quest Hero in English Romantic Poetry

Quest hero, considered as one of the archetypal images in Literature, gained an interesting interpretation in English Romantic poetry. The present article focuses on the works of those authors (“The Rime of the Ancient Mariner” by S.T. Coleridge, “Ode: Intimations of Immortality” by W. Wordsworth, “Alastor” and “Hymn to Intellectual Beauty” by P.B. Shelley etc.) whose rendering of the Quest hero reveal the novelty brought about by Romanticism.

It should be outlined, that Romantic poets always identify themselves with the Quest hero, even in poems written in the third person. Their quest in most cases turns into a psychic pilgrimage enabling the poet to widen his perception of the Universe, and moreover through such creative process attaining God. Hence, the Quest hero becomes a “mental traveler” (W. Blake) who through the quest seeks ‘attaining of the expended consciousness’ (Northrop Frye).

The article deals with the Romantic quest not only in the English Romantic poetry, but also draws some noteworthy parallels in the works of the famous Georgian poet Nikoloz Baratashvili, namely in his verses “Meditations By the River Mtkvari”, “Night Over Mtatsminda”, and above all in “Merani”.

მანანა გელაშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაძიებელი გმირის ინტერპრეტაცია ინგლისური რომანტიზმის პოეზიაში

მაძიებელი გმირი, რომელიც ერთ-ერთ უმთავრეს არქეტიპულ ხატად ითვლება ლიტერატურაში, საინტერესო ინტერპრეტაციას იღებს რომანტიზმის ეპოქის ინგლისურ პოეზიაში. სტატიაში განალიზებულია იმ ავტორთა ნაწარმოებები (კოლრიჯის „ბალადამოხუცმეზღვაურზე“, უორდს უორთის ოდა: „უკვდავებასთან მიახლებისა“, შელის, ალასტორი“, „ჰიმნი ინტელექტუალურ მშვენიერებას“ და სხვ), რომელთა შემოქმედებაში მაძიებელი გმირის სახეში ნათლად გამოიხატა ის თვისობრივი საიხლე, რაც რომანტიზმმა მოიტანა.

ანალიზი ცხადყოფს, რომ მაშინაც კი, როდესაც ნაწარმოები მესამე პირშია დანერილი და მოქმედი პირი ყავს, (როგორც მაგ. კორიჯის „მოხუცმე ზღვაურში“) რომანტიკოსები ახდენენ პოეტის/საკუთარი მეს იდენტიფიცირებას მაძიებელ გმირთან, რომლის ძიებები „სულიერ ყარიბობად“ (უილიამ ბლეიკი) არის წარმოდგენილი. ადგილი აქვს ძიების ჩაშინაგანებას, რაც უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ აქცენტი კეთდება გმირის შინაგან სამყაროსა და ხედვის გაფართოებაზე, რაც მას საშუალებას აძლევს უფრო საინტერესოდ და ყოვლისმომცველად შეიმეცნოს სამყაროს დაფარული ბუნება. რომანტიკოსთა ძიების მიზანი უპირატესად უხილავის ხილვა და ამით „ცნობიერების გაფართოება“ (ნორტროპ ფრაი).

სტატიაში ეს პრობლემა განხილულია არა მხოლოდ ინგლისური პოეზიის ფარგლებში, არამედ გავლებულია რამდენიმე საგულისხმო პარალელი, თუ რა ინტერპრეტაცია მიიღო მაძიებელი გმირის სახემ ქართველი რომანტიკოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში, კერძოდ მის ლექსებში „მერანი“ და „ფიქრნი მტკვრის პირას“, „შემოღამება მთანმინდაზედ“.

GIUSEPPINA GIULIANO

Italy, Salerno

University of Salerno

**Tatyana's Space. Symbolism of Window in Romanticism
and in Pushkin's "Eugene Onegin"**

French critic Philippe Hamon writes that only during the "industrial century" the window, as part of the house, takes the form and function that it has today in our everyday life. For this reason, the window becomes in the nineteenth century a very important topos of literature, including Russian. One of the first significant examples of usage of the image of the window as a symbolic space we find in the novel "Eugene Onegin", when Pushkin describes Tatyana's silent and wild nature ("Eugene Onegin", 2, XXV, 11-14). The image of the window appears many times in the novel in connection with Tatyana; not only it "becomes a symbol of sadness and loneliness", but it has also other different meanings and to understand them will help us the symbolism of the window in the history of European painting. There are two main opposite views on the figure of the woman at the window: the woman looks inside of the room (or on some specific subject), or, on the contrary, she looks out the window. In the age of Romanticism outer and inner world, separated by the window, are contrasted. The woman in the picture or the literary character don't enjoy the scenery but "open" a new place space. When Tatyana is sitting near the window, we don't always know where it looks, in the outside or inner world. The mystery of her soul is symbolized in the window, "in a transitive space",

ДЖУЗЕППИНА ДЖУЛИАНО

Италия, Салерно

Университет Салерно

**Пространство Татьяны. Символика окна в эпоху
романтизма и в «Евгении Онегине»**

Французский критик Филипп Амон пишет, что только в «промышленном веке» окно, как часть дома, приобретает формы и функцию, которые он имеет сегодня в нашей повседневной жизни. По этой причине окно стано-

вится в XIX веке и очень важным топом художественной литературы, в том числе и русской. Один из первых более значительных примеров использования образа окна как символического пространства мы находим в романе “Евгений Онегин”, когда Пушкин описывает молчаливую и дикую натуру Татьяны («Онегин», 2, XXV, 11-14). Образ окна не один раз появляется в романе в связи с главной героиней, он «становится символом тоски и одиночества», но имеет и различные значения, для понимания которых поможет нам символика окна в истории европейской живописи. Бывают особенно два противоположных представления о фигуре женщины у окна: женщина смотрит во внутрь комнаты (или на какой-нибудь определенный предмет) или, наоборот, смотрит в окно. В эпоху романтизма внешний и внутренний мир, разделенные окном, являются противопоставленными. Нарисованный сюжет или литературный герой не столько наслаждается пейзажем, сколько «открывает» себе другое пространство. Но и когда Татьяна сидит у окна, мы не всегда знаем, куда она смотрит, в внешний или в внутренний мир. Тайна ее души символизируется именно в окне, «в транзитивном пространстве», в границе между личного, девичьего мира и внешней действительности.

NANA GONJILASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

For Understanding of Nikoloz Baratashvili’s “Pegasus”

N. Baratashvili’s art is based on the Christian worldview. In this work, interpretation and understanding of “Pegasus” (“Merani”) will be provided based on this worldview.

It is well known that the first (the author’s) title of the poem is “Desperate Rider” correlating with the Christian ideals of a hero and heroism – holy horseman and riding. Interpretation of the poem in this context reveals many interesting issues that deserve attention. The title shows the direction and leads the reader on the difficult and urgent way; the title clearly shows the disposition and main sense of the poem. And respectively the poem demonstrates the inner nature (knightly bravery, high spirits, permanent fight with the fate, internal struggle etc.) of the lyrical subject as a desperate rider.

The poem's later and widely known title "Pegasus" is within the contents of the author's title, emphasizing the idea of personal attitudes of the desperate rider and the sense and purpose of his "crazy ride". In our opinion, the Pegasus is the symbol of the soul as only knightly brave soul is able to overcome all distances and obstacles (whether visible or invisible) and have super-aspirations. According to Baratashvili's beliefs (fed and driven by Christian worldview), only by spiritual efforts one can achieve unachievable, elevate over everything worldly and surmount actually insurmountable obstacles and this, on its side, requires self-sacrifice, dedication and sacrificing of everything.

If the Pegasus is regarded as the symbol of soul, Baratashvili's poetry can be presented symbolically, according to and within the area of the titles of his three poems – "The Orphaned Soul", "The Evil Spirit" and "Pegasus" (or the Soul) as in the poet's art, the mind and body, land and heaven, reality and dream, close and far, time and timelessness, lively and eternal, sense of being (responsibility and obligation) and infertility (being half-dead), world and personality are showed based on the titles of the above poems, the triple nature of the mental sphere (three situations) and determined from this point of view.

ნანა გონჯილაშვილი

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ გააზრებისათვის

ნ. ბარათაშვილის „მერანი“ ერთ-ერთი გამორჩეული პოეტური ქმნილებაა ქართულ მწერლობაში. ლექსის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი ნაშრომი მოიპოვება, შესაბამისად, არაერთი და არაერთგვაროვანი საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედება ქრისტიანულ მსოფლმხედველობას ეფუძნება და მასში ქრისტიანული მოტივები მკვეთრადაა თავჩენილი. „მერანის“ ნაკითხვა და გააზრება-შეცნობაც ნაშრომში ამ თვალთახედვით წარიმართება.

ლექსის თავდაპირველი (ავტორისეული) სახელწოდება, როგორც ცნობილია, გახლავთ „თავგანწირული მხედარი“, რაც იმთავითვე გმირისა და გმირობის ქრისტიანულ იდეალს – წმინდა მხედარსა და მხედრობას – მიემართება. ლექსის ამ თვალსაზრისით ნაკითხვა მრავ-

ვალ საინტერესო და საყურადღებო პრობლემატიკას გამოკვეთს. სათაური კვლავს გზას და მკითხველს რთულ და საჭირობოტო გზაზე წინამძღვრობს; სათაურიდანვე ხდება საცნაური ლექსის სულისკვეთება და დედააზრი. შესაბამისად ამისა, ლექსი ლირიკული სუბიექტის, ვითარცა თავგანწირული მხედრის სულიერი წყობის (მხედრული შემართების, სულიერი მღვიძარების, ბედთან დაუსრულებელი ჭიდილის, შინაგანი ბრძოლის და სხვ.) წარმომარჩენელია.

ლექსის შემდგომი და საყოველთაოდ ცნობილი სახელწოდება „მერანი“ ავტორისეული სახელდების შინა-არსს არ სცილდება, უფრო მეტად გამოკვეთს თავგანწირული მხედრის პიროვნული სწრაფვის იდეას და მისი „გიჟური ლტოლვის“ საზრისსა და მიზანს. ლექსში მერანი და მისი დაუცხრომელი ქროლვა მთავარი ძარღვია და ამიტომაც მერანის სიმბოლოს ამოცნობა დიდად მნიშვნელოვანია. მერანი, ვფიქრობთ, სიმბოლოა სულისა, რამეთუ მხოლოდ მხედრულად შემართულ სულს შესწევს ძალა ყოველგვარი სივრცის გადალახვისა, ყოველგვარი დაბრკოლების (ხილული თუ უხილავი) დაძლევისა და ზესწრაფვისა. ბარათაშვილისეული მრწამსით (რასაც ქრისტიანული მსოფლმხედველობა ასაზრდოებს და წარმართავს), მხოლოდ სულის ძალისხმევითაა შესაძლებელი მიუწვდომლის წვდომა, ყოველგვარ მინიერზე ამაღლება და რეალურად დაუძლეველის დაძლევა, რაც, თავის მხრივ, თავგანწირვას, მსხვერპლად მისვლას და ყოველივეს მსხვერპლად გაღებას ითხოვს.

მერანს სულის სიმბოლოდ თუ დავსახავთ, შესაძლოა, ბარათაშვილის პოეზია, სიმბოლურად, მისი სამი ლექსის სათაურის – „სული ობოლი“, „სული ბოროტი“ და „მერანი“ (ანუ „სული“) – შესტყვისად წარმოდგეს, მათს არეალში მოექცეს, რამეთუ პოეტის შემოქმედებაში სული და ხორცი, მინა და ზეცა, რეალობა და ოცნება, სიახლოვე და სიშორე, დრო და უდროობა, სანუთრო და სამარადისო, ყოფიერების საზრისი (პასუხისმგებლობა და მოვალეობა) და უნაყოფობა (ცოცხალ-მკვდრად ყოფნა), სამყარო და პიროვნება, ძირითადად, ზემოაღნიშნულ ლექსთა სახელდებების, სულიერი სფეროს სამობის (სამი ვითარების) კვალობაზეა თავჩენილი და ამ თვალსაწიერით განსაზღვრული.

ANDREW GOODSPEED

Macedonia, Tetovo

South East European University

**The Curse in a Dead Man's Eye': Sight and Vision in Coleridge's
"The Rime of the Ancient Mariner"**

Samuel Taylor Coleridge's masterwork 'The Rime of the Ancient Mariner' stands as one of the most significant accomplishments of the Romantic period and is arguably the most famous poem of the nineteenth century in the English language.

This paper proposes to examine a specific symbolism utilized by the poet, that of sight and vision. Throughout the poem, this paper suggests, Coleridge uses the imagery of sight and vision to align the horrors of the supernatural experience of the mariner with the Mariner himself. The Mariner is noted immediately as having a 'glittering eye' and having the power of fascination through his eyes, yet the horrors he later encounters and relates are also aligned with sight, most particularly the curse of the sailors which is expressed by, and seen in, their eyes.

The paper aims to excavate and examine this symbolism of sight and vision, and then further to align it both with the compositional theories advanced by Coleridge and Wordsworth in the 'Preface' to *Lyrical Ballads*, as well as to several concepts later developed in *Biographia Literaria*.

(The paper intends to analyse Coleridge's revised text, not that originally published in 1798).

IA GRIGALASHVILI

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Rebel Poets

**(According to the works and letters by
Giacomo Leopardi and Nikoloz Baratashvili)**

About spiritual closeness between Nikoloz Baratashvili and Giacomo Leopardi is underlined by Guram Asatiani and Luiji Magaroto. Orphanhood of soul, complaining about a wrongness of fortune are expressed in the poets' epistolary

heritage and poetry. They considered that native environment was useless, compatriots' expression of meanness hurt them.

Their sentiments are reflected in their biographies. Both poets felt depressed because they couldn't get good education. They couldn't manage their life. Both poets took to heart that undesirable conditions of life are unfavourable for the development of the person. They couldn't adapt with the indifference of the society. Their protest is fair. Limitation of a personal freedom causes problems in the development of the country. For the progress of the world or to live in the progressive world every person must release from the artificial irons.

Both poets consider that the transient world is false. It broke their hopes. Though the poetry and the letters by Giacomo Leopardi and Nikoloz Baratashvili kindles the readers sympathy and protest with the inspiration to change the world for the best. It can be said both poets are reformers. Their romantic revolt is contagious. It gives stimulus to the society for the catharsis. Emotions of sympathy and regret are caused by the acquaintance with their works. It shows the way to the youth and in the end they achieve success. Orphanhood is overcome, because poet has got so many readers who are his tender-hearteds, meanness is defeated because it is disclosed, everybody knows the transient world is false and nobody will trust.

Italian poet Giacomo Leopardi and Georgian poet Baratashvili are rebel poets according to their letters and works. Their protest is a beginning of the spiritual regenerate of the society.

ია გრიგალაშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეამბოხე პოეტები

(ჯაკომო ლეოპარდისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებისა და წერილების მიხედვით)

ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ჯაკომო ლეოპარდის სულიერი სიახლოვის შესახებ გურამ ასათიანი და ლუიჯი მაგაროტო საზგასმით აღნიშნავენ. მათი ეპისტოლარული მემკვიდრეობა და პოეზია აღსავსეა ობოლი სულის ჩივილით ბედისწერის უკუღმართობის გამო. მათთვის მშობლიური გარემო უსარგებლოა, თანამემამულეთა მიერ სიმაბღლის გამომჟღავნება ორივე პოეტს გულს სტკენს.

ჯაკომო ლეოპარდისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდიანი წერილებიდან მათი განწყობილებები ცხადად იკვეთება. ორივე პოეტი განიცდიდა, რომ ვერ შეძლეს სათანადო განათლების მიღება და ცხოვრების ფართო ასპარეზზე გასვლა. ორივე პოეტი გრძნობდა, რომ არასასურველი გარემო პიროვნული განვითარების დამაბრკოლებელია. ისინი ვერ ეგუებიან საზოგადოების წევრების გულგრილ დამოკიდებულებას. მათი ამბოხი სამართლიანია. პიროვნული თავისუფლების შეზღუდვა ქვეყნის განვითარების შემაფერხებელიცაა. სამყაროს პროგრესისათვის, უფრო ზუსტად, პროგრესულ სამყაროში ცხოვრებისათვის თითოეული ადამიანი უნდა განთავისუფლდეს ხელოვნურად შექმნილი ბორკილებისაგან.

ორივე პოეტს მიაჩნია, რომ წუთისოფელი ცრუა, მან მათი იმედები დაამსხვრია. თუმცა, ჯაკომო ლეოპარდისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია, მათი წერილები მკითხველს უღვიძებს თანაგრძნობის განცდას, მათ აღაფასებს პროტესტის გრძნობითა და სამყაროს უკეთესობისაკენ შეცვლის პათოსით.

შეიძლება ითქვას, რომ ორივე პოეტი ბუნებით რეფორმატორია. მათი რომანტიკული ამბოხი გადამდებია და მკითხველს უბიძგებს კათარზისისაკენ. სინანულისა და თანაგრძნობის ემოციები, რაც მათ შემოქმედებასთან ზიარებას მოაქვს, მომავალ თაობებს უკვალავს უვალ გზებს, რომელთაც საბოლოოდ ისინი მიჰყავს ნათელი, ყველანაირი ხელიშემშლელი დაბრკოლებებისაგან თავისუფალი წარმატებებისაკენ. დაძლეულია სულით ობლობა, რადგან პოეტს ამდენი გულშემატკივარი ჰყავს მკითხველთა სახით, განადგურებულია სიმდაბლე, რადგან ის მხილებულია, წუთისოფლის სიცრუე და გაუტანლობა ყველასათვის ცხადია, ამიტომ მას აღარ მიენდობიან.

იტალიელი პოეტი ჯაკომო ლეოპარდი და ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი მათი შემოქმედებისა და ეპისტოლარული მემკვიდრეობის მიხედვით მუდამოხე პოეტებად გვევლინებიან, მათი პროტესტი საზოგადოების სულიერი აღორძინების დასაწყისია.

KONRAD GUNESCH

Dubai, United Arabs Amirate

American University in the Emirates, Dubai

Romanticism's Passion for Engagement with Foreign Languages and Culture-Specific Poetry and Prose...

Johann Wolfgang von Goethe (1749-1832) was one of the few writers of Western Romanticism who focused their cultural and linguistic attention on the Arabic area. He saw this area of studies and efforts as an example for the meeting of East and West.

This paper analyses this part of Goethe's work, life and world-view from the conceptual viewpoint of cosmopolitanism as contemporary cultural identity form of world citizenship. It is based on a literature matrix of what constitutes a cosmopolitan person, for instance engagement with specific cultural diversity.

A focus will be on relating this concept to the literary activities and positions expressed by Goethe himself. This seems especially relevant since Goethe is considered to have coined the term "world literature" in the sense of modern comparative literature studies.

Empirically, the paper links up with a previous study of the author, where three new types of cosmopolitans had been established, beyond the existing literature. These were called "Advanced Tourist", "Transitional Cosmopolitan", and "Interactive Cosmopolitan".

The paper finally shows and evaluates how Goethe's personal, linguistic and literary engagement with Arabic language and literature fulfills a range of the requirements even of contemporary cosmopolitanism. In doing so, it also shows the limits of Goethe's cosmopolitan engagement.

The goal of the paper is to show both the extent and the limitations of Goethe's world citizenship, so that his achievements are not just intimidating, but rather inspiring for the personal efforts of today's writers, as well as students and teachers of language and literature.

NANA GUNTSADZE

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Nikoloz Baratashvili – the Way to Universal Poetry

Romanticism has developed in France, with Stendhal, Lamartine, Vigny, Hugo, Musset.

French poetry of this period lacks original forms, basically it is distinguished with the new themes and discusses all kinds of mental states. Lyricist poet regularly deals with his own ego. A poet that is the subject and addressee of the verse expresses himself and becomes free. One of the most significant feature of the romantic poetry is exaltation with his ego.

In the works of French romanticists the cult of the energy is associated with Napoleon's image. Development of the myth about Napoleon was promoted by such writers as Chateaubriand, Stendhal, Beranger... As an individual of 19th century was oriented towards will, energy, self-strengthening, naturally, the myth about Napoleon had particular influence on him.

Consequently, it is not surprising that Napoleon's image is one of the most important sources of inspiration for French romanticist poetry.

Nikoloz Baratashvili wrote the poem "Napoleon" when for the French poets delight with Napoleon's epopee, his extraordinary fate, human abilities, achieved the peak of exaltation. We should note that such exaltation caused by human fate, glory, energy and strength of individual opposing the time cannot be seen in any of French romanticists' works: "time is me and I am the hope of time" – says the poet and the tragic emphasis related to fate of individual limited in time is replaced with confidence in amazingly exalted ego.

In this verse, like in "Pegasus" there is sensed the dynamism conditioned by the cult of energy and this can be seen in the structure and technique of Baratashvili's verses; similar to Vigny, Lamartine, speed of creating of the verse adds to Baratashvili's texts such breath and movement that cannot have the works matured in longer time.

The presentation is intended to emphasize certain aspects of French romanticism and, in this context, determine contribution of Baratashvili's art made to the common fund of world literature.

ნანა გუნცაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიკოლოზ ბარათაშვილი – გზა უნივერსალური პოეზიისაკენ

რომანტიზმი საფრანგეთში განვითარდა სტენდალთან, ლამარტინთან, ვინისთან, ჰიუგოსთან, მიუსესთან ერთად.

ამ პერიოდის ფრანგულ პოეზიას ფორმის ორიგინალობა ნაკლებად ახასიათებს; იგი ძირითადად თემების სიახლით გამოირჩევა და ყოველგვარ სულიერ მდგომარეობაზე საუბრობს. ლირიკოსი პოეტი სისტემატურად მიმართავს „მე“-ს. პოეტი, რომელიც ლექსის სუბიექტი და ადრესატია, საკუთარ თავს გამოხატავს და თავისუფლდება. რომანტიკული პოეზიის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია საკუთარი „მე“-თი ეგზალტაცია. ენერგიის კულტი ფრანგ რომანტიკოსებთან ნაპოლეონის სახეს უკავშირდება. ნაპოლეონის მითის განვითარებას ხელს უწყობენ ისეთი მწერლები, როგორებიცაა: შატობრიანი, სტენდალი, ბერენჟე... რაკი მე-19-ე საუკუნის ადამიანმა ნებისყოფის, ენერგიის, თავის თავის განმტკიცებისაკენ აიღო გეზი, ბუნებრივია ნაპოლეონის მითს მასზე განსაკუთრებული გავლენა ექნებოდა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ ნაპოლეონის სახე ფრანგული რომანტიკული პოეზიის ერთ-ერთ უმთავრეს შთაგონების წყაროდ იქცა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ნაპოლეონ“ სწორედ იმ დროს შეიქმნა, როდესაც ფრანგი მწერლებისთვის ნაპოლეონის ეპოპეით, მისი ექსტრაორდინალური ბედით გამონეული აღფრთოვანება, ადამიანის შესაძლებლობებით ეგზალტაციის პიკს აღწევს. უნდა ითქვას, რომ არც ერთ ფრანგ რომანტიკოსთან არ შეიმჩნევა ასე მძლავრად ადამიანის ბედის, დიდების, დროსთან დაპირისპირებული ინდივიდის ენერგიით და სიძლიერით გამონეული ეგზალტაცია; „ჟამი ჩემშია და ჟამისა მე ვარ იმედით“, ამბობს პოეტი და დროში შეზღუდული ადამიანის ბედთან დაკავშირებული ტრაგიკული აქცენტის მასთან მე-ს საოცრად ეგზალტირებული რწმენით იცვლება.

ამ ლექსში, ისევე როგორც „მერანში“, იგრძნობა ენერგიის კულტით განპირობებული დინამიზმი, რაც ვლინდება ბარათაშვილის ლექსების სტრუქტურაშიც და ტექნიკაშიც; როგორც ვინის,

ლამარტინის, ასევე ბარათაშვილის ტექსტებს ლექსის შექმნის სისწრაფე ისეთ სუნთქვას და მოძრაობას აძლევს, როგორც არ შეიძლება ჰქონდეს უფრო ხანგრძლივ, დროში მომნიჭებულ ნაწარმოებებს.

მოსვენება მიზნად ისახავს ფრანგული რომანტიზმის რამდენიმე ასპექტის გამოყოფას და ამ კონტექსტში ნ. ბარათაშვილის შემოქმედების იმ წვლილის განსაზღვრას, რომელიც მას შეაქვს მსოფლიო ლიტერატურის საერთო ფონდში.

OLENA GUSIEVA

Ukraine, Mariupol

Mariupol State University

Nostalgic and “Utopian” Symbols of Romanticism

The early Romanticism is like two-faced god: it simultaneously looks into the past and into the future. Romantic pathos of negation is embodied in contrasting intonation, color, temporal and conditionally-spatial symbols. Melodies of spring, as well as melancholic tunes of autumn, become echoic symbols of romantic poetry. Its coloristic symbolisms are composed of natural tones, mostly golden and blue (the color of fire and the sky). Its conditional space includes imaginary worlds in which the harmony of feelings is as attainable as the beauty of nature. From the time of Shelley the Romantic hero is distinguished by duality of feelings: by his “aspiring and melancholy spirit”, by his state of “joyous ecstasy and brooding despair”. Dissatisfaction and denial leave him two unequal opportunities – golden dreams of the past and dreams about the enchanting country of Utopia. The word *Utopia*, barely mentioned (for example, by Byronic hero of Shelley’s “Julian and Meddalo”) and not yet received its modern meaning will later determine one of the trends of “romanticism of the second wave”. The utopian flow will preserve the leading lyrical motifs of early romanticism (loneliness, disappointment, melancholy) and, on the other hand, it will become an expression of “optimistic hope”. Romantics will act twice as the forerunners of modern “conditional fiction”. The conflict of the real and imaginary worlds will be continued by the literature of escapism. A romantic utopia, with her search for the “ideal truth”, will revive both in medieval and planetary fantasy.

Е. И. ГУСЕВА

Украина, Мариуполь

Мариупольский государственный университет

Ностальгическое «утопическое» в поэтических символах романтизма

Ранний романтизм подобен двуликим богам: решительно отводя взгляд от настоящего, он одновременно смотрит в прошлое и в будущее. Поэт-романтик ищет в прошлом утраченный идеал и вглядывается в будущее, стремясь и не рискуя его предугадать. Романтический пафос отрицания воплощается в контрастных образах – интонационных и цветовых, временных и условно-пространственных. Мелодии весны и любви, так же как и меланхолические напевы осени, становятся эхоическими символами романтической поэзии. Ее колористическая символика komponуется сочетанием природных тонов, преимущественно золотого (цвет огня, небесных светил) и синего (цвет неба). Ее условное пространство включает воображаемые миры, в которых гармония чувств так же достижима, как красота природы. Поэта-романтика со времен Перси Биши Шелли отличает двойственность чувств, «вдохновенный и меланхолический дух», состояние «исступленного восторга и тягостного уныния». Неудовлетворенность, отрицание оставляют романтикам две неравновеликие возможности – золотые сны прошлого и грезы о чарующей стране, где есть «любовь, красота и правда». Слово утопия, едва упоминаемое (например, байроническим героем поэмы Шелли «Юлиан и Маддало») и еще не получившее современного значения, позднее определит одно из течений «романтизма второй волны». Утопическое течение романтизма, с одной стороны, сохранит ведущие лирические мотивы раннего романтизма (одиночество, разочарование, меланхолия) и станет выражением «оптимистической надежды», с другой. Романтики дважды выступят как предтечи современной условной фантастики. Конфликт реального и воображаемого миров продолжит литература эскапизма, в которой романтическая неудовлетворенность жизнью будет доведена до разрыва с реальностью, до безоглядного бегства от нее. Романтическая утопия, с ее поисками идеального героя и «идеальной правды», возродится в литературе фэнтези – как в сказочной средневековой, так и в футуристической планетарной фантастике.

VIKTORIIA FD

Ukraine , Kiev

Kyiv National Linguistic University

There and Back: the Real, the Imagined, and the Multi-Worldness in Contemporary Scottish Prose

Romantic fascination with the power of imagination leads to the creation of multiple worlds, where the imagined becomes even more important than the real. In Romanticism, imaginary worlds help to reveal one's true nature, character, or one's true vocation. The existence of supernatural, the longing for metaphysical, the craving for oneiric etc. are at the basis of textual, literary, and human experience of the time. Essentially, imagination is a mode of memory, a mode of perception, and a mode of projection. In Coleridge's definition imagination is "the repetition in the finite mind of the eternal act of creation in the infinite I Am". This "repetition in the finite mind" suggests a continuous search for perfection, ideality, or even divinity.

The afterlives and echoes of the romantic idea of Imagination and the Imagined are still at work in contemporary Scottish prose. "The creation of the infinite I Am" unfolds in the construction of multiple worlds that surpass the boundaries of the real. A continuous search for the secret of an "I" is constructed through the real and the imagined simultaneously, and the reader often has to go there and back through the boundaries of the multitude of worlds in the novels of Alasdair Gray, Iain Banks, and James Robertson.

MAYA JALIASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Baratashvil's Poetry in the Context of Søren Kierkegaard's „Either/Or“ Philosophy

Nikoloz Baratashvili's creations typologically is considered in the context of Romanticism. However, his creations are beyond the scope of a particular course. It is like breaking the limits of time and space and pass through to metaphysical dimension, in which the time is the continuous integrity. Baratashvili equally

echoes of past and future, because his work reflects the cultural experience of mankind and expressing the very generic principals of human being.

Baratashvili poetry's depth and the multiple facets of his poems allows us to analyze his creations in the contexts of existentialism.

In the Baratashvili's poetry many masked lyrical hero one thing is common – he is a rebel with his spirit. Life for him is a multidimensional phenomenon. The poet in his poetry contrasted the flesh and spirit, beauty and pretty, mortal and immortal, so he makes a choice. His thinking vector varies continuously between the two extremes and pushes the lyrical hero for breakthrough the locked space. There are always the equal importance of different values on its thinking scale, which create even philosophical context, formulated as „either/or“ antagonism. In this case, he echoes the danish philosopher, Søren Kierkegaard's thoughts, in which context of philosophical and aesthetic views we are considering Nikoloz Baratashvili's creativity. His youth and creative vitality he used, to through the power of Logos opposed all, that limit his personal freedom. This versatile and difficult process of search he needed not only for learning about the world, but for his own personal transformation and perfection.

მანია ჯალიაშვილი

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ბარათაშვილის პოეზია კირგეგორისეული „ან-ან“ ფილოსოფიის კონტექსტში

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ტიპოლოგიურად რომანტიზმის კონტექსტში მოაზრება, თუმცა, როგორც ნებისმიერი გენიოსის ხელოვნება, მისი შემოქმედებაც კონკრეტული მიმდინარეობის ფარგლებს სცდება. იგი თითქოს არღვევს დროისა და სივრცის ფარგლებს და მეტაფიზიკურ განზომილებაში გადის, სადაც დრო უწყვეტი მთლიანობაა. ბარათაშვილი თანაბრად ეხმიანება წარსულსაც და მომავალსაც, რადგან მისი შემოქმედება კაცობრიობის კულტურულ გამოცდილებას ირეკლავს და ადამიანის ყოფიერების უზოგადეს კანონზომიერებებს წარმოაჩენს. ბარათაშვილის პოეზიის სიღრმე და მრავალწახნაგოვნება საშუალებას იძლევა მისი ლექსების საანალიზო კონტექსტად ეგზისტენციალიზმიც მოვიხაროთ.

ბარათაშვილის პოეზიის მრავალნიღბიანი ლირიკული გმირისთვის ერთი რამ საერთოა – ის მემამბოხეა თავისი სულისკვეთებით. ცხოვრება მისთვისაც მრავალგანზომილებიანი ფენომენია. პოეტი თავისი სულიერი ცხოვრების უმთავრეს გამოხატულებაში, პოეზიაში, ერთმანეთს უპირისპირებს მატერიასა და სულს, სილამაზესა და მშვენიერებას, წარმავალსა და უკვდავსა და არჩევანს აკეთებს. მისი ფიქრის ვექტორი მუდმივად მერყეობს ორ უკიდურესობას შორის და ლირიკულ გმირს უბიძგებს ჩაკეტილი სამყაროს სივრცის გარღვევისკენ. მის სააზროვნო სასწორზე ყოველთვის თანაბარი მნიშვნელობის განსხვავებული ღირებულებები დევს, რომლებიც ქმნიან კიდევაც ფილოსოფიურ ჭრილში ფორმულირებულ „ან-ან“ დაპირისპირებულობას. ამ შემთხვევაში, ის ეხმიანება დანიელი ფილოსოფოსის, სიორენ კირკეგორის ნააზრევს, რომლის ფილოსოფიურ-ესთეტიკური შეხედულებების კონტექსტშიც განვიხილავთ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას. ბარათაშვილიც ფიქრობდა, რომ „ყოველ ადამიანში იყო რაღაც, რაც მას ხელს უშლიდა, რომ სრულყოფილად ჩასწვდომოდა საკუთარ თავს“ (კირკეგორი), ამიტომაც გამუდმებით მართავდა დიალოგს „მესთან“, რათა ის ერთადერთი ნიღაბი გამოერჩია, რომელიც ჭეშმარიტად წარმოაჩინდა მის სახესა და სულისკვეთებას. ძიების ეს მრავალმხრივი და რთული პროცესი მას სჭირდებოდა არა მხოლოდ სამყაროს შესამეცნებლად, არამედ, უპირველესად, საკუთარი პიროვნების გარდაქმნისა და სრულქმნისთვის. თავისი სიჭაბუკე, შემოქმედებითი სასიცოცხლო ძალები მან გამოიყენა იმისთვის, რომ სიტყვის გზით, ლოგოსის ძალით დაუპირისპირდა ყოველივე იმას, რაც ზღუდავდა მისი პიროვნების თავისუფლებას. არარად ყოფნის სიცარიელე მან გადალახა იდეალის აღმოჩენითა და მისთვის თავშენირვით. ბარათაშვილის პოეზია ყოველ ეპოქაში აჩენს მისი განსხვავებული წაკითხვის, გააზრებისა და ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

SALOMEJA JASTRUMSKYTĖ

Lithuania, Vilnius

Lithuanian Culture Research Institute (LCRI)

Romantic Philosophy of Art and the Theory of Synaesthesia

Based on texts and ideas of romanticism, this article discusses the assumption that the new theory of synaesthesia and artistic practices emerged from the romantic philosophy of art. In particular, it emerged from romantic consciousness newly aware of the internal arts tectonics and their interoperability problems. The potential of the theory, artistic practice and the new problem-solving aspects of synesthesia are rooted in the Romantic art philosophy. Later, on the basis of specific theoretical concepts analysis, we show how the romantic generation of thinkers and artists, because of their universality and openness to various art-forms, influenced the further development of the theory of synaesthesia.

TAMAZ JOLOGUA

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

On the Essence of 1832 Plot

1832 Georgian plot was a significant factor of Georgian Romanticism (K. Abashidze, V. Kotetishvili, G. Kikodze, P. Ingoroqva, A. Gatsrelia...).

In scholarly circles to the present day predominates the official viewpoint, determined by the political will of Emperor Nikolay I, concerning the unimportance, small scale, lack of organization, thus, absence of any prospect and hopelessness of the plot. In our opinion, the above-mentioned viewpoint was established also due to the incorrect methodology – researchers mostly based their studies on the evidence of individual conspirators, whereas the principle of juxtaposition of evidence was essentially ignored. In fact, the plot was a large-scale and well-organized, and unless the betrayal by Iase Palavandshvili, the conspiracy had a real prospect of success.

Along with the aristocratic, intellectual and spiritual circles of Eastern Georgia, the plot was also supported by Western Georgia (Imereti, Samegrelo, Abkhazia...). A significant role was assigned to hundreds of participants of

1830-1831 Polish rebellion, who were exiled to Georgia. Special mention should be made of the international relations of the conspirators, especially, contacts with the diplomatic and political circles of France and England (suffice it to note that a participant of the plot was the Secretary of the Consulate of France, Victor Letellier), etc.

What caused the decision of the authorities not to assign serious importance to the plot, and to sentence only a small part of the conspirators to a comparatively light punishment – deportation to Russian provinces with the right of civil or military service?

It was not desirable for the monarchy that the universal discontent towards the political regime in a country “annexed voluntarily” be revealed (either within the Empire or in Europe). Along with this, a bloody war was waged in North Caucasia and the authorities did not wish to aggravate the situation in Georgia, serving as the place of arms of this war. Which is the most important, Nikolay I intended to turn the Georgian aristocracy into a support of the imperial policy in Caucasia and it was more convenient for him to have relations not with the **punished**, but the **forgiven** stratum. From 1835 the authorities gradually allowed the conspirators to return to their homeland, whereas the “seditious” Georgian aristocracy essentially transformed into a reliable stratum for the monarchy.

თამაზ ჯოლობუა

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1832 წლის შეთქმულების რაობისათვის

1832 წლის შეთქმულება ქართული რომანტიზმის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო (კ. აბაშიძე, ვ. კოტეტიშვილი, გ. ქიქოძე, პ. ინგოროყვა, ა.განერელია...).

მეცნიერებაში დღემდე დომინირებს ოფიციალური, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის პოლიტიკური ნებით განსაზღვრული, თვალსაზრისი შეთქმულების არასერიოზულობის, მცირე მასშტაბის, არაორგანიზებულიობისა და, ამდენად, უპერსპექტივობის შესახებ. ამ თვალსაზრისის დამკვიდრება, ჩვენი აზრით, კვლევის მცდარი მეთოდოლოგიითაცაა განპირობებული – მკვლევრები უმეტესწილად პირდაპირ ეყრდნობოდნენ ცალკეულ შეთქმულთა ჩვენებებს და არსებითად იგნორირე-

ბული იყო ჩვენებათა ურთიერთშეჯერების პრინციპი. სინამდვილეში შეთქმულება იყო ფართომასშტაბიანი, კარგად ორგანიზებული და, რომ არა იასე ფალავანდიშვილის გამცემლობა, აჯანყებას წარმატების რეალური პერსპექტივა ჰქონდა.

შეთქმულებაში, გარდა აღმოსავლეთ საქართველოს არისტოკრატიული, ინტელექტუალური, სასულიერო წრებისა, დასავლეთ საქართველოდანაც იყვნენ ჩართულნი (იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი...). მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა 1830-1831 წწ. პოლონეთის აჯანყების ასეულობით მონაწილეს, რომლებიც საქართველოში იყვნენ გადმოსახლებულნი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შეთქმულთა საერთაშორისო კავშირები, განსაკუთრებით, კონტაქტები საფრანგეთისა და ინგლისის დიპლომატიურ და პოლიტიკურ წრებთან (საკმარისია ითქვას, რომ შეთქმულების წევრი იყო საფრანგეთის საკონსულოს მდივანი ვ. ლეტელიე) და სხვ.

რამ განაპირობა ხელისუფლების გადაწყვეტილება, შეთქმულებისთვის არ მიენიჭებინა სერიოზული მნიშვნელობა, ხოლო მონაწილეთა მხოლოდ მცირე ნაწილისთვის განესაზღვრა შედარებით მსუბუქი სასჯელი – რუსეთის გუბერნიებში სამოქალაქო ან სამხედრო სამსახურის უფლებით გადასახლება?

მონარქიისთვის არ იყო სასურველი (შინაც და ევროპაშიც), გამყდარებულიყო პოლიტიკური რეჟიმისადმი საყოველთაო უკმაყოფილება „ნებაყოფლობით შეერთებულ“ ქვეყანაში. ამას გარდა, მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი ომი ჩრდილოეთ კავკასიაში და ხელისუფლებას არ სურდა ვითარების გამწვავება ამ ომის პლაცდარმად ქცეულ საქართველოში. რაც მთავარია, ნიკოლოზ I-ს განზრახული ჰქონდა, კავკასიაში იმპერიული პოლიტიკის დასაყრდენად ქართველი არისტოკრატია გადაექცია და მისთვის უფრო მოსახერხებელი იყო, ურთიერთობა ჰქონოდა არა **დასჯილ**, არამედ **შენყალბულ** ფენასთან. 1835 წლიდან ხელისუფლება შეთქმულთა თანდათანობით აბრუნებს სამშობლოში, ხოლო „კრამოლური“ ქართველი არისტოკრატია არსებითად მონარქიის დასაყრდენ ფენად ტრანსფორმირდება.

LIA KARICHASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

“Rustaveli” by Alexander Orbeliani

Contents of the poem “Rustaveli” by Alexander Orbeliani, the romanticist poet consists of three sections: 1. divine origin of Rustaveli; 2. worldly life; 3. eternal world.

In the poet’s opinion, Rustaveli’s genius is of divine origin and therefore he expects answers to his questions (“I’d wish they told me, or called me from the heaven”). The poem is saturated with amazement and delight. There are mostly the interrogative pronouns: “who”, “some”, “whose”, “how much”... the text actually consists of the questions dealing with Rustaveli and these questions show deep knowledge of the great poet’s art and his appreciation. “Who” traditionally covers the name of Lord, Rustaveli’s divine origin can be seen from the phrases that “some healer” has given him immortality and that he is covered with the sun.

Of the main motifs of Rustaveli’s art, Alexander Orbeliani emphasizes love (“who has cut his heart with the sharp diamond and showed you fire of love there?”), friendship and high morality (“who has taught you how to live – friendship and righteousness”); generosity (“who has brought the branch of generosity from the heaven to you?”). Rustaveli’s words are full of tears and at the same time with sweetness (“who has added to your tears so much sweetness?”). He knows that the poem depicts Rustaveli’s personal pain, it shows how bitter his life was.

Rustaveli’s worldly life is covered with mystery. Alexander Orbeliani mentions his native land as something like Eden. He desires to know, what wise men have brought him up, to which social group he belonged and so on.

Finally, the poet looks with the spiritual gaze to Rustaveli’s being in heaven. He is in heaven of heavens. Riches and glory is nothing compared with this. His poetical power exceeds even the one of David the Psalmist, Rustaveli’s stances are the best among all poets of the whole world.

This is Alexander Orbeliani’s assessment of Rustaveli’s art and this is compatible with the attitude of Georgian romanticists towards the great poet. For them he is “Shota the Immortal”, his poetic art is the unconquerable peak of all times. And the image of new Rustaveli is associated with the restored, powerful Georgia.

ლია კარიჭაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ალექსანდრე ორბელიანის „რუსთაველი“

რომანტიკოსი პოეტის ალექსანდრე ორბელიანის ლექსი „რუსთაველი“ შინაარსობრივად სამი მონაკვეთისგან შედგება: 1. რუსთაველის ღვთაებრივი წარმომავლობა 2. ამქვეყნიური ცხოვრება და 3. მარადიული სამყოფელი.

რუსთაველის გენია, პოეტის აზრით, ღვთაებრივია, ამიტომაც ელოდება ზეცისგან კითხვებზე პასუხებს („ნეტავი მითხრან, ანუ ზეცითგანა გადმოძახონ“). ლექსი გამსჭვალულია გაცხებით და აღფრთოვანებით. ჭარბობს კითხვითი ნაცვალსახელები „ვინ“, „ვილაც“ „რომელს“, „რამდენი“ ... ტექსტი, ფაქტობრივად, შედგება კითხვებისგან რუსთაველის შესახებ და ამ კითხვებში ჩანს დიდი პოეტის შემოქმედების ღრმა ცოდნაც და მისი შეფასებაც. „ვინ“, ტრადიციულად, ღმერთის სახელს ფარავს, რუსთაველის ღვთიურობას მიმანიშნებელია ისიც, რომ „ვილაც მკურნალმა“ მას უკვდავება ასვა, იგი მზეშემოსილია.

რუსთაველის შემოქმედების უმთავრესი მოტივებიდან ალექსანდრე ორბელიანი ხაზს უსვამს სიყვარულს („ვინ გადაიპო თავისი გული ლესულ აღმასითა და იმაში ანთებული სიყვარული ვინ გაჩვენა“?), მეგობრობასა და ზნეობას („ვინ გასწავა ცხოვრებისა წესი – მეგობრობა და ზნეობა“); დიდსულოვნებას („ვინ მოგიტანა დიდსულოვნობის რტო სასუფევლიდგან?“). რუსთაველის სიტყვა სავსეა ცრემლით და ამავე დროს სიტკბოებით („ვინ გაურია შენს მტკინვარეს ცრემლში აურაცხელი სიტკბო“). მან იცის, რომ რუსთაველის პირადი ტკივილია ასახული პოემაში; ჩანს, რალაც სიმწარე აგემა წუთისოფელმა.

რუსთაველის ამქვეყნიური ცხოვრება ბურუსითაა მოცული. ალექსანდრე ორბელიანი მის მშობლიურ მხარეს ედემის ბაღად მოიაზრებს. სურს იცოდეს, ვინ იყვნენ მისი აღმზრდელები, ბრძენნი, ვისაც იგი დაულოცავთ, რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნოდა იგი და სხვა.

დასასრულ, პოეტი სულიერი თვალთ შინაგანად რუსთაველის ყოფას ზესთასოფელში. ის ნეტარებაშია. სიმდიდრე და დიდება მასთან არარაობაა. დავით მეფესალმუნესაც კი აღემატება მისი პოეტური ძლიერება, რუსთაველის ხმოვანება მთელი ქვეყნის ლექს-მგოსნების ღაღადებას აღემატება.

ასეთია რუსთაველის შემოქმედების ალექსანდრე ორბელიანისეული შეფასება, რომელიც თანხვედბა სხვა ქართველ რომანტიკოსთა დამოკიდებულებას დიდი პოეტისადმი. მათთვის ის არის „შოთა უკვდავი“, რომლის პოეტური ხელოვნება ყველა დროის დაუძლეველი მწვერვალია. ახალი რუსთაველის სახეობა კი მხოლოდ აღორძინებულ, ძლიერ საქართველოს უკავშირდება.

NINO KAVTARADZE

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

The Mythologem of an Artist in Romanticism and Modernism

The icon of a lonely, rebellious artist, his contradiction to God and nation, the unconditional love and fidelity to creativity – these are the character traits distinguishing an artist with the outlook based on mythical understanding of the universe. In the era of romanticism and modernism the mythologem of exactly such an obstinate, taciturn and scorned artist fits to the writers' ideas

In the two volumes of the well-known French romantic writer Gérard de Nerval –“Voyage to the Orient” (1851), one of the passages attracts the reader's attention: “The Story of Queen of Morning and Soliman, the Prince of Soul”. The author narrates the story of the architect of King Soloman's temple –Adoniram. It is easy to recognize Hiram in the character of Nerval's novel: the detailed description of Hiram and his skill is given in *Bible (The Third Book of Kings,7)*. The master, who “ was filled with wisdom and understanding” erected two great columns of Jachin and Boaz in Solomon's magnificent temple. The same lonely and isolated person is the protagonist – the builder of Svetitskhoveli, Konstantine Arsukidze in Gamsakhurdia's novel “The Hand of the Great Master “(1939).

The hypertextual connection between Nerval's and Gamsakhurdia's literary texts is perfectly possible: Gérard de Nerval was properly appreciated exactly in the epoch of modernism. At the same time, this link is also confirmed by the similarity between the plots – the rejected, invincible king, the enamored noble daughter and the artist. On the other hand, these two literary works are not connected by the architextuality: one of them belongs to the genre of the literary fairy tale, which was so popular in the era of romanticism, and the other artistic- liter-

ary text is the sample of the contemporary, modernistic historical novel. However, none of the authors ascertain the authenticity of the narrated story.

The intertextual connection between Gérard de Nerval's and Konstantine Gamsakhurdia's creative works is, on the one hand, conditioned by their ideological proximity and the similar attitude towards mythos and naturally, by the common source – biblical theme. In both of the texts the core of the artist's mythologem can be read similarly; But, if the ideological- artistic paradigm emphasizes the uniqueness of the character, which is the peripheral item of the artist's mythologem, in case of Gamsakhurdia the peripheral item of mythologem is the masterful fit of the national to the biblical text.

ნიმუ ქავთარაქა

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელოვანის მითოლოგემა რომანტიზმსა და მოდერნიზმი

მარტოსული, ამბოხებული ხელოვანის სახე-ხატი, მისი დაპირის-პირება ღმერთთან და ერთან, შემოქმედებისადმი უპირობო სიყვარული და ერთგულება – ის მახასიათებლებია, რომლითაც ამოიცნობა ხელოვანი სამყაროს მითოსურ გააზრებაზე დაფუძნებულ მსოფლმხედველობაში. რომანტიზმის და მოდერნიზმის ეპოქებში სწორედ ასეთი შეუპოვარი, სიტყვაძუნწი, მოძულებული ხელოვანის მითოლოგემა ერგება მწერალთა ჩანაფიქრს.

ცნობილი ფრანგი რომანტიკოსი მწერლის ჟერარ დე ნერვალის ორტომეულში „მოგზაურობა აღმოსავლეთში“ (1851) ერთი მონაკვეთი იპყრობს მკითხველის ყურადღებას: „განთიადის დედოფლის და სულთა მბრძანებლის სოლიმანის ამბავი“. ავტორი მოგვითხრობს სოლიმან მეფის ტაძრის ხუროთმოძღვრის აღონირამის შესახებ. ნერვალის პერსონაჟში ბიბლიური ხირამის ამოცნობა მარტივია: ხირამის და მისი ოსტატობის შესახებ დანვრილებით მოგვითხრობს ბიბლია (მესამე მეფეთა, 7). ოსტატმა, რომელსაც „მომადლებული ჰქონდა სიბრძნე და გამჭრიახობა“ ორი დიდი სპილენძის სვეტი იაქინი და ბოყაზი აღმართა სოლომონის დიდებულ ტაძარში. ასეთივე ეული და განკერძოებულია კონსტანტინე გამსახურდიას რომანის, *დიდოსტატის კონსტანტინეს*

მარჯვენას (1939) პროტაგონისტი – სვეტიცხოვლის აღმშენებელი კონსტანტინე არსუკიძე.

ნერვალის და გამსახურდიას მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტებს შორის ჰიპერტექსტუალური კავშირის არსებობა სავსებით დასაშვებია: ჟერარ დე ნერვალი ჯეროვნად სწორედ მოდერნიზმის ეპოქაში იქნა დაფასებული. ამავდროულად, სიუჟეტებს შორის მსგავსებაც ამას მოწმობს – უარყოფილი ძლიერამოსილი მეფე, გამიჯნურებული დიდგვაროვანი ასული და ხელოვანი. არქიტექსტუალობა ამ ორ მხატვრულ ტილოს არ აკავშირებს: ერთი რომანტიზმის ეპოქაში ესოდენ პოპულარულ ჟანრს, ლიტერატურული ზღაპრის ჟანრს ეკუთვნის, ხოლო მეორე მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტი – თანამედროვე, მოდერნისტული ისტორიული რომანის ნიმუშია. თუმცა, არც ერთი ავტორი არ ამტკიცებს გადმოცემული ამბის უტყუარობას.

ჟერარ დე ნერვალის და კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებს შორის ინტერტექსტუალური კავშირი ერთი მხრივ განპირობებულია მსოფლმხედველობრივი სიახლოვით, მითოსისადმი მსგავსი დამოკიდებულებით და ბუნებრივია, საერთო წყაროთი – ბიბლიური თემატიკით. ორივე ტექსტში ხელოვანის მითოლოგიის ბირთვული ნაწილი მსგავსად ამოიკითხება; მაგრამ, თუ რომანტიზმის იდეურ-მხატვრული პარადიგმა პერსონაჟის განსაკუთრებულობას უსვამს ხაზს, რაც ხელოვანის მითოლოგიის პერიფერიულ ელემენტს წარმოადგენს, გამსახურდიას შემთხვევაში მითოლოგიის პერიფერიული ელემენტი ბიბლიურ ტექსტზე ეროვნული კონტექსტის ოსტატური მორგება ხდება.

MAKVALA KHAREBAVA

Turkey, Izmir

Ege Uniuersity / Honorary Consulate of Georgia in Izmir

Institute of the Turkish Works Studies

From the History of Georgian-Turkish Literary Relations

Georgia's centuries old history connects to its neighbor country Turkey. Even before the formation of the Turkish state in Anatolia, nomadic Turkic tribes had settled down in the Caucasus and in Georgia. Aforementioned settled down Turkic tribes in Georgia, naturally brought their customs, and

folklore traditions with them. After the formation of Turk-Seljuk state, Turkish-Georgian relations grew intensively. Turkish-Georgian relations got even stronger during the Ottoman Empire in 17th and 18th centuries.

Georgia's interest towards Turkish World had started in the early centuries and since then it has only been growing. There are several interesting pieces kept in the Georgian archives: a textbook of Turkish language, which was made in 18th century; the Bible written with Georgian alphabet but in Turkish language; and the Georgian version of Koroglu.

Georgian school of Turcologists dedicated a lot of monographs, dissertations, and articles to Turkish history, language, and literature, translated and analyzed Turkish folklore. Today, translation of modern Turkish literature continues intensively. As regards to Georgian literature, unfortunately Turkish society became acquainted with it rather late. One of the reasons for this was the lack of knowledge of the Georgian language and literature. Interest towards the Georgian literature started in 1960s in Turkey. The very first translators in Turkey were Georgians who lived there.

A lot of work for the popularization of Georgian language and literature was done by bilingual journals: "Mamuli", "Chveneburi", "Pirosmani". These journals published works about the history of Georgia, ethnographical and folklore materials, pieces from the Georgian literature, poems of modern Georgian poets, interesting materials about the Georgian villages in Turkey and about their customs and traditions.

The study of Georgian-Turkish literature relations has great importance in strengthening cultural contact between these two neighbor countries. Contacts established until today includes translations, analyses, and influences of Georgian tales, and Turkish folklore and literature. This general review aims to review the literature relations of the depicting works of these two countries, and sum up the works done up until today in order to outline the future plans in this direction.

Also, it needs to be stated that Georgian diaspora in Turkey preserved its traditions, especially the folk traditions which requires the mutual study of Georgian and Turkish specialists.

მაცვალა სარეზავა

თურქეთი, იზმირი

*იგოს უნივერსიტეტი / საქართველოს საპატიო საკონსულო
თურქეთის მსოფლიო კვლევის ინსტიტუტი*

ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აკავშირებს მეზობელ ქვეყანასთან თურქეთთან. ჯერკიდევ სანამ ანატოლიაში თურქების სახელმწიფო ჩამოყალიბდებოდა, მომთაბარე თურქი ტომები კავკასიაში და საქართველოში ცალკეულ ტომებად ჩამოსახლდნენ. საქართველოში ჩამომსხდარ თურქულ ტომებს ბუნებრივია თან მოჰქონდათ თავიანთი ადათ-წესები, ფოკლორული ტრადიციები. თურქ-სელჩუკების სახელმწიფოს შექმნის შემდეგ კი ქართველებს ინტენსიური ურთიერთობა გვქონდა თურქებთან. მე-17- მე-18 საუკუნეებში კი ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაძლიერდა უკვე ოსმალეთის იმპერიასთან.

საქართველოს ინტერესი თურქული სამყაროს მიმართ ადრეულ საუკუნეებში დაიწყო და დღემდე არ შენელებულა. ჩვენს არქივში ინახება მე-18 საუკუნეში შედგენილი თურქული ენის სახელმძღვანელო, თურქულ ენაზე „ბიბლია“ ქართული ასოებით, ქოროლუს ქართული ვერსია.

თურქოლოგების ქართულმა სკოლამ მრავალი მონოგრაფია, დისერტაცია, სტატიები მიუძღვნა თურქეთის ისტორიის, თურქული ენისა და ლიტერატურის, თურქული ფოლკლორის ნიმუშების თარგმნასა და კვლევას. დღესაც დიდი ინტენსიურობით მიმდინარეობს თანამედროვე თურქული ლიტერატურის თარგმნა. რაც შეეხება ქართული ლიტერატურას, სამწუხაროდ, თურქეთის საზოგადოება გვიან გაეცნო მას. ერთ-ერთი მიზეზი, რა თქმა უნდა ქართული ლიტერატურული ენის არასრულყოფილი ცოდნა იყო. ქართული ლიტერატურით დაინტერესება თურქეთში დაიწყო 1960 წლიდან. პირველი მთარგმნელები თურქეთში მცხოვრები ქართველები ანუ ჩვენებურები იყვნენ.

ქართული ენისა და ლიტერატურის პოლულარიზაციას დიდი სამსახური გაუწია ორენოვანმა ჟურნალებმა: „მამული“. ჩვენებური „ფიროსმანი“. ამ ჟურნალებში საქართველოს ისტორიულ, ეთნოგრაფიულ და

ფოლკლორულ მასალებთან ერთად პერიოდულად იბეჭდებოდა ქართული ლიტერატურიდან ნაწარმოებები, თანამედროვე პოეტების ლექსები. დასახელებულ ჟურნალებს დიდი წვლილი მიუძღვით თურქეთში საქართველოს ისტორიის და კულტურის, ქართული ენის, ლიტერატურის და ფოლკლორის პოპულარიზაციის საქმეში. გარდა ამისა, ჟურნალებში გამოქვეყნდა საინტერესო მასალები თურქეთში ქართული სოფლების, მათი ყოფა-ცხოვრებისა და ტრადიციების შესახებ.

ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ორი მეზობელი ქვეყნის კულტურული კონტაქტების გასამყარებლად. დღემდე არსებული ლიტერატურული კონტაქტები მოიცავს ქართული (ზღაპრები) და თურქული ფოლკლორისა და მხატვრული ლიტერატურის თარგმანებს, ანალიზს და ურთიერთ გავლენებს. ეს ზოგადი მიმოხილვა მიზნად ისახავს ორ ქვეყანას შორის ლიტერატურული ურთიერთობის ამსახველი მასალების მიმოხილვას, დღემდე ჩატარებული სამუშაოების შეჯამებას, რათა დაისახოს სამომავლო გეგმები ამ მიმართულებით. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის ქართულ დიასპორაში დღემდე შენარჩუნებულია ტრადიციები, მათ შორის ფოლკლორული ტრადიციები, რაც ქართველი და თურქი სპეციალისტების ერთობლივ შესწავლას მოითხოვს.

BELA KHABEISHVILI

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

**Nikoloz Baratashvili –
at the Origins of the European Romantic Reflection**

The purpose of communication is to estimate, at the base of analysis of the general tendencies of French romanticism, Georgian romantic reflection. Our objective consists of finding out similarities and common propensities that make Georgian literature an integral part of European cultural and artistic heritage.

The research aims mainly to show off, through comparative methodology, the impact of French Romanticism on the poetic work of Georgian poet Nikoloz Baratashvili. The paper will include an analysis of universal thematic paradigms

that appears in the both literatures and highlight the presence of common reflection close to each other.

The analytical discussion about two romantic schools having different geographic situation will be carried out (without making a difference between active and passive sides of movement) and will emphasize some basic themes of French romanticism such as:

- Exaltation of the EGO
- Individual rebellion
- Sublimity and beauty of nature
- Return of national sources
- Romantic despair

and *Mal du siècle* which can be roughly translated from French as “the malady of the century” -term used by François-René de Chateaubriand to refer to the ennui, disillusionment, and melancholy experienced by primarily young adults of Europe’s early 19th century. His protagonist René characterizes the Romantic ennui that would become a benchmark of the Romantic esthetic in the first half of the century.

The study of the influence of France writers Alphonse de Lamartine, Alfred de Musset, Victor Hugo, Alfred de Vigny, Jean Jacques Rousseau and others will be analyzed in light of the Baratashvili’s major poems that will facilitate comprehension of its importance making them legitimate part of European romantic poetry.

ბელა საპეიშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიკოლოზ ბარათაშვილი – ევროპული რომანტიკული აზროვნების საწყისებთან

მოსხენების მიზანია ფრანგული რომანტიზმის ტენდენციათა განხილვის საფუძველზე ქართული რომანტიკული ესთეტიკისა და მსოფლმხედველობის შეფასება და გაანალიზება; ქართულ პოეზიაში ფრანგული რომანტიზმის იმ გავლენათა ამოკითხვა, რომლებიც ამ პერიოდის ქართულ მწერლობას ევროპულ აზროვნებასთან აახლოებს და მას ევროპული ლირეტერატურული მემკვიდრეობის სრულფასოვან კუთვნილებად აქცევს.

კვლევა კომპარატივისტულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში ევროპული რომანტიზმისთვის დამახასიათებელ ტენდენციათა ილუსტრაციას ისახავს მიზნად. ნაშრომი ისეთი უნივერსალური პარადიგმების შესწავლას მიეძღვნება, რომლებიც ორივე ქვეყნის შემოქმედებაში პარალელური აზროვნების არსებობას ავლენს.

ორი, გეოგრაფიულად ერთობ დაშორებული რომანტიკული სკოლის მსოფლმხედველობის შესახებ ანალიტიკური მსჯელობა, რომანტიზმის პასიური და აქტიური მახასიათებლების გაუმიჯნავად, ისეთი ძირეული თემების გარშემო წარიმართება, როგორცაა:

- ინდივიდის ეგზალტაცია; საკუთარი „მე“-ს გამძაფრებული შეგრძნება;

- პერსონალური ამბოხი;
- ნაციონალურ საწყისებთან დაბრუნება;
- რომანტიკული სევდა, უიმედობა;
- ბუნების პრიმატი;
- „საუკუნის ბოროტების“ (ავადმყოფობის) ფენომენი;

ჩამოთვლილი მიმართულებების კუთხით არსებული მსგავსების დემონსტრაცია პირველ ეტაპზე ფრანგული რომანტიზმის წარმომადგენელთა შემოქმედების განხილვის საფუძველზე განხორციელდება, რაც პარალელურად ნ. ბარათაშვილის პოეზიასთან შედარებითი ანალიზის ფონზე წარიმართება. კვლევა ინდივიდის ეგზალტაციის, სულიერი მარტოობის, მიუსაფრობის, რომანტიკული სევდის გამომწვევი მიზეზების შესწავლას დაეთმობა, რაც, მაგ, ფრანგულ რომანტიზმში „საუკუნის ბოროტების“ ფენომენის არსებობას უკავშირდება. 1802 წ. გამოქვეყნებულ ფრანსუა რენე დე შატობრიანის ავტობიოგრაფიულ რომანში „რენე“ ეს ფენომენი პიროვნების მიერ საზოგადოებისა და ზოგადად სამყაროს მოთხოვნებთან შეუსაბამობის გააზრებიდან გამომდინარე, ტრაგიზმში ვლინდება. ბარათაშვილის პოეტურ შედევრებთან (*სული ობოლი*, *სულო ბოროტო*, *მერანი* და სხვ.) შედარებითი ანალიზის საფუძველზე ამ მოვლენის შესწავლა ზოგადევროპული რომანტიკული ესთეტიკის ტენდენციებთან კონკრეტული სიახლოვის მოძიებაში დაგეხმარება. ამასთან, ყველა ზემოხსენებული მიმართულებით წარმოებული მსჯელობა ალფრედ დე მიუსეს, ვიქტორ ჰიუგოს, ალფრედ დე ვინის, ალფონს დე ლოტრეამონის, ჟან-ჟაკ რუსოს

და სხვათა შემოქმედებაზე დაყრდნობით, გაამარტივეს ნ. ბარათაშვილის პოეზიის შეფასებას და ევროპული ლიტერატურული მემკვიდრეობის სრულფასოვან კუთვნილებად მის აღქმაში დაგვეხმარება.

LELA KHACHIDZE

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

One Aspect of Nikoloz Baratashvili's Creativity

The origin of Georgian Romanticism has its context and prerequisites that is determined by the epoch and specific character of this literary trend itself. It is worthy of mention the relation of Georgian romanticists to the literary heritage of the past, namely, the Bible and Georgian ecclesiastical poetry. This connection is especially strong in the works of the best known representative of Georgian Romanticism, Nikoloz Baratashvili. Georgian scholar P.Ingorokva was the first who pointed out to this connection.

The connection of Baratashvili's poem *Meditations on the Riverside of Mtkvari* with Ecclesiastes has been regarded by Georgian scholars. One of the "prototypes" of this poem are also Ioane Minchkhi's hymns. The motif of futility of this life runs through all Minchkhi's works. In Minchkhi's hymns this motif becomes the origin of lyrical feelings.

In several of Minchkhi's hymns the idea content of this Baratashvili's poem is represented in laconic form. The interpretation of futility of life given in Ecclesiastes is changed by the necessity of national concern, "labor" both in Baratashvili's and in Minchkhi's works. Under the concern for the "eternal life" expressed in some of Modrekili's hymns, must be implied the "labor" precisely in this life. In this essential issue Ioane Minchkhi and Nikoloz Baratashvili are consistent with each other.

Baratashvili's poem *Meditations on the Riverside of Mtkvari* reminds us Ioane Minchkhi's hymns not only by understanding of the issue but figuratively and phraseologically. Baratashvili was familiar with old Georgian ecclesiastical poetry as well as his predecessors – Vakhtang VI, Sul Khan Saba Orbeliani and David Guramishvili. From Baratashvili's biography it is known his special attitude to old Georgian manuscripts.

It is also interesting the connection between Baratashvili's verse "My Pray" with old Georgian hymnographical tradition, namely, with the hymn which belongs to Ioane Damaskeli. The motif of silent pray expressed in the final line of this hymn is found in Georgian chants.

ლელა ხაჩიძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ერთი ასპექტი

ქართული რომანტიზმის წარმოშობას თავისი კონტექსტი და წინაპირობები აქვს, რაც განპირობებულია ეპოქით და თვით ამ ლიტერატურული მიმდინარეობის სპეციფიკით. აღსანიშნავია ქართველ რომანტიკოსთა მიმართება წინადროინდელ ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან, კერძოდ, ბიბლიასა და ქართულ სასულიერო პოეზიასთან. ეს კავშირი განსაკუთრებით მჭიდროა ქართული რომანტიზმის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლის – ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში. ამ კავშირის შესახებ პირველად მიუთითა პ. ინგოროყვამ.

„ეკლესისტესთან“ ბარათაშვილის ლექსის – „ფიქრნი მტკვრის პირას“ კავშირი განხილულია ქართველ მკვლევართა მიერ. ბარათაშვილის ამ ლექსის ერთ-ერთი „პირველსახეა“ იოანე მინჩხის საგალობლებიც. მინჩხის მთელ შემოქმედებაში განსაკუთრებული ძალითაა დამუშავებული ამქვეყნიური ცხოვრების ამაოების მოტივი. მინჩხთან ეს მოტივი ლირიკული განწყობილებების სათავედაა ქცეული.

მინჩხის რამდენიმე საგალობელში ლაკონური ფორმითაა წარმოდგენილი ბარათაშვილის ამ ლექსის იდეური შინაარსი. ამქვეყნიური ამაოების „ეკლესიასტემი“ მოცემულ გააზრებას როგორც ბარათაშვილთან, ისე იოანე მინჩხთან ცვლის საქვეყნო საზრუნავის, „მოღუანების“ აუცილებლობა. მინჩხის არაერთ საგალობელში გამოხატულ „საუკუნო ცხოვრებისათვის“ ზრუნვაში სწორედ ამქვეყნიური „მოღუანება“ უნდა იგულისხმებოდეს. ამ არსებით საკითხში იოანე მინჩხი და ნიკოლოზ ბარათაშვილი თანხვედებიან ერთმანეთს.

ბარათაშვილის ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“ იოანე მინჩხის საგალობლებს გვაგონებს არა მხოლოდ პრობლემის გააზრების, არამედ სახისმეტყველებით და ფრაზეოლოგიურადაც. ბარათაშვილი კარგად იცნობდა ძველ ქართულ სასულიერო პოეზიას, ისევე როგორც

მისი წინამორბედები – ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი და დავით გურამიშვილი. ბარათაშვილის ბიოგრაფიიდან ცნობილია მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება ძველ ქართულ ხელნაწერებთან.

ასევე საგულისხმოა კავშირი ბარათაშვილის ლექსისა – „ჩემი ლოცვა“ ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიულ ტრადიციასთან, კერძოდ, საგალობელთან „სოფლისა ზღუაი აღძრულ არს“, რომელიც იოანე დამასკელს ეკუთვნის. ამ ლექსის ბოლო სტროფში გამოხატული „მდუმრიად ლოცვის“ მოტივი აგრეთვე რამდენჯერმე გვხვდება ქართულ საგალობლებში.

TSIRA KILANAVA

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Literary Models of Space in Georgian Romanticism

In texts of all genres created within the frames of Georgian Romanticism (in poems, lyrical verses, autobiography/memoires and in documental prose) the dominant discourse is created by the formulation of issues significant for national identity. The special role here is played by polarized system of auto- and hetero-icons, in formation of which the space imageology makes the significant contribution. This narratological category which formulates personal/national identity becomes more active in Realists's works.

During the last decade the special attentions is paid to space category while analyzing the literary texts and cultural processes (a new branch is identified in literary studies, the so called Spatial Turn). From the narratological category of literary space embodiment the concepts of Kathrin Dennerlein and Bridget Neumann are considered. In addition to this, for the purposes of defining of the semantic meaning of space provided in verses and proeses, the linguistic and stylistic types of space description are used which are stated by the German Anglicist, AnsgarNiuning, the author of important narrotological concepts.

The analysis of lyrical texts and poems shows that in the works of Georgia Romanticists, the dominant role is played by the imageology of national landscape. Exactly during the period of Romanticism was started the charging of particular locations of national space (Tbilisi, Aragvi, Tergi, Mtkvari ...) with the national semantics: by means of highlighting of these spaces the freedom, mem-

ory of the past, awareness of history and the motifs of its sharing are emphasized (this process is implemented in the Romantics' works). Markers reflecting the landscape imageology create first cultural images in the context of relationship between Russia and Georgia as colonist and colonized countries.

As for the documental prose, the space here is polysemantic, however the so called process of literary cartography is detected as a tendency, not the metaphorization, which, in its row, represents one of the main strategies of literary national discourse of subsequent period.

ცირა კილანავა

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სივრცის ლიტერატურული მოდელები ქართულ რომანტიზმში

ქართული რომანტიზმის ფარგლებში შექმნილ ყველა ჟანრის ტექსტში (პოემაში, ლირიკულ ლექსებში, ავტობიოგრაფიას/მემუარებსა თუ დოკუმენტურ პროზაში) დომინანტურ დისკურსს ქმნის ნაციონალური იდენტობისთვის მნიშვნელოვანი საკითხების ფორმულირება. აქ განსაკუთრებულ როლს ასრულებს ავტო- და ჰეტეროხატების პოლარიზებული სისტემა, რომლის ჩამოყალიბებაშიც თავისი წვლილი შეაქვს სივრცის იმაგოლოგიას. პიროვნული/ნაციონალური იდენტობის მაფორმირებელი ეს ნარატოლოგიური კატეგორია კიდევ უფრო აქტუალური ხდება რეალისტთა შემოქმედებაში.

ბოლო ათწლეულში ლიტერატურული ტექსტებისა და კულტურული პროცესების ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სივრცის კატეგორიას (ლიტერატურისმცოდნეობაში შეინიშნება ახალი გარდატეხა, ე.წ. Spatial Turn). სივრცის ლიტერატურული განსახილველების ნარატოლოგიური კატეგორიებიდან გათვალისწინებულია კატრინ დენერლანისა და ბირგიტ ნოიმანის კონცეპტები. ამასთან, ლექსებსა და პოემებში წარმოდგენილი სივრცის სემანტიკური მნიშვნელობების დასადგენად, დამატებით, გამოყენებულია გერმანელი ანგლისტის, მნიშვნელოვანი ნარატოლოგიური კონცეპტების ავტორის, ანსგარ ნიუნინგის, მიერ დადგენილი ლიტერატურული სივრცის აღწერის ლინგვისტური და სტილისტური ტიპები.

In the presentation attention is focused on the descriptive part of the work, the basic concepts and characteristics are accentuated (detailing of narration, interest in the newly seen and comparison with the Georgian realia, nostalgic mood caused by separation from the homeland, which as compared with other texts of this genre is indeed imbued with the spirit of romanticism, etc.) which bring the *Journey* by Grigol Orbeliani even closer to the general tendencies of works of his contemporary authors of the same genre (G.Ratishvili, N.Onikashvili, Gr.Bagratiioni, I.Khelashvili, T.Bagratiioni) and fully demonstrate the place of this composition in the context of Georgian travel literature.

დარეჯან მენაბდე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურამდის“ ქართული სამოგზაურო ლიტერატურის კონტექსტში

გრიგოლ ორბელიანის სამგზავრო დღიურში „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურამდის“ მკაფიოდ ჩანს მწერლის საზოგადოებრივი შეხედულებები და მსოფლმხედველობრივი დისკურსი. მხატვრული თვალსაზრისით ამ ტექსტს გამოარჩევს ისიც, რომ საქმე გვაქვს რომანტიკოსის თვალთ დანახული უცხო ქვეყნის აღწერასთან, მისეულ მსოფლქმასთან, რომანტიკოსის თვალთ დანახულ რეალობასთან; რეალობასთან, რომლის დეტალებში ავტორი მუდმივად ეძიებს და გამოარჩევს რომანტიკულს.

„მგზავრობის“ მკვლევრები უმეტეს შემთხვევაში გამოცალკევებულად ამახვილებდნენ ყურადღებას კონკრეტულ ეპიზოდებზე (ბუნების სურათები, დიალოგი ივანე აბხაზთან, ურთიერთობა გადასახლებულ ბატონიშვილებთან...) და ნაკლებად ეხებოდნენ ტექსტის აღწერილობით ნაწილს. სამოგზაურო ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე კი, არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ როგორ გადმოგვცემს მწერალი საკუთარი თვალთ ნანახსა და განცდილს. მით უმეტეს, რომ გრიგოლ ორბელიანმა საკმაოდ ვრცლად აღწერა თბილისიდან პეტერბურგამდე ყველა ქალაქი, სოფელი თუ მდინარე, ციხესიმაგრეები, ჩრდილოკავკასიელი ხალხებისა და რუსების ყოფა, ტრადიციები, მოსკოვისა და პეტერბურგის სიძველენი, დედაქალაქების კულტურული ცხოვრება, სამხედრო დაწესებულებები, მუზეუმები და ა. შ. საგულისხმოა ისიც, რომ მწერლის მახვილი თვალი რუსული სინამდვილიდან არცთუ იშვიათად გამოარჩევს ევროპული ყოფის მახასიათებლებს და საგანგებოდ მსჯელობს მათ შესახებ (ზოგან ერთმანეთს ადარებს ევროპულ და აზიურ ცხოვრების წესსა და ტრადიციებს).

მოხსენებაში აქცენტირებულია თხზულების აღწერილობითი ნაწილი, გამოკვეთილია ის ძირითადი კონცეპტები და მახასიათებლები (თხრობის დეტალიზაცია, ინტერესი ახალნანახისადმი და შედარება ქართულ რეალობასთან, სამშობლოსგან განშორებით გამოწვეული ნოსტალგიური განწყობა, რაც ამ ჟანრის სხვა ტექსტებთან შედარებით მართლაც რომანტიზმის სულით არის გაჟღენთილი და ა. შ.), რაც გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობას“ კიდევ უფრო აახლოებს ამ ჟანრში მოღვაწე მის თანამედროვე ავტორთა (გ. რატიშვილი, ნ. ონიკაშვილი, გრ. ბაგრატიონი, ი. ხელაშვილი, თ. ბაგრატიონი) ნაწერების ზოგად ტენდენციებთან და სრულად წარმოაჩენს ამ თხზულებას ქართული სამოგზაურო ლიტერატურის კონტექსტში.

ARNE MERILAI

Tartu, Estonia

University of Tartu

Estonian Comparative Literature Association

Idea of Independence in 19th-Century Estonian Literature

Estonia reached its first sovereignty as a country in 1918, lost it in 1940 to the Soviets and Nazis, and regained it again in 1991. The paper will address the early emergence and prospering development of the idea of national and cultural self-sufficiency – the very heart of the Estonian identity – as it is evoked in 19th-century Estonian texts. It was the era of shaping a newly formed literature and promoting free speech by a suppressed people kept under the yoke of Baltic-German serfdom, and subjected to its aftermaths in the Russian Empire. The paper will focus on modern identity construction: economical, political, mental, linguistic, and artistic emancipation, anticipated in literature. To what extent can one characterise this form of progress in terms of implicit self-colonisation? Possible answers to this question and salient issues related to it will emerge from an examination of the line of works by authors such as Kristian Jaak Peterson (1801–1822), Friedrich Robert Faehlmann (1798–1850), Friedrich Reinhold Kreutzwald (1803–1882) and his epic *Kalevipoeg*, Johann Voldemar Jannsen (1819–1890), Carl Robert Jakobson (1841–1882), Lydia Koidula (1843–1886), Jakob Pärn (1843–1916), Eduard Bornhöhe (1862–1923), Eduard Vilde (1865–1933) and Juhan Liiv (1864–1913), as well as the revolutionary Young Estonia movement (1905–1916). The paper will illuminate and occasionally defamiliarise some petrified cultural legends central to our

EKICI METIN

Izmir, Turkey

Ege University

Implications of Safeguarding Intangible Cultural Heritage Convention in Turkey and the Possible Partnership Between Turkey and Georgia

As a sub organization of United Nations, UNESCO was established in 1945. Turkey is one of the founding countries of this organization. The main aim of this organization is to establish and maintain sustainable peace, tolerance and respect the other societies in the world. As a sub organization of United Nation, the meaning of UNESCO is United Nation Educational, Scientific and Cultural Organization.

UNESCO has been conveyed number of international convention in its areas of responsibilities, and Turkey has been one of the UN members ratified and become party to many of those conventions. One of the most important cultural conventions for the world communities opened for signature of the UN member states is “The Convention of the Safeguarding Intangible Culture Heritage” which was entered in 2003, and Turkey ratified it 2006. Since the first day of this convention, it has been ratified by 176 UN member countries. It has not been ratified by the countries that are the producer of popular culture and the countries in fear of their federal government structures.

The aim of this paper, to provide information on the convention, and to discuss the problems and solutions while its implication. In other words, I would like to discuss the reason for such convention, the definitions, the fields of areas, the lists, the goals and importance of it. Then, I would like to provide information on the national implications procedures in Turkey. In this part, I would like to talk about the works within the Turkish National Commission of UNESCO and Ministry of Culture and Tourism for the implication of the convention.

In the final part of my presentation, I would like point out the possibilities of mutual work between Turkey and Georgia as the party states of this convention. One of the most important aims the Convention of the Safeguarding Intangible Culture Heritage is to safeguard cross-cultural intangible cultural heritages which may help to respect others culture and lifestyles. On the one hand, Turkey and Georgia has a long historical, geographical and cultural relations, on the other

hand there is no strong partnership between the two states National Commissions of UNESCO. There are number of possibilities that the state commissions may work together on the shared cultural elements and submit a joint file for the safeguarding lists of the convention. I would also like to discuss the otherpartnerships possibilities on safeguarding shared cultural elements.

SABA METREVELI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Ideals of Romantic theatre and Nikoloz Baratashvili

The XIX century was covered with the mist of heaviness and sadness. Everything faded and withered in the county that had lost its statehood, was politically collapsed and pressed by the Russian boots. The reflections and aesthetics of the romantic theatre arose in the literary gatherings and salons, all these flourished in the era when the Georgian romanticism started to evolve. The character expressing the national interests existed only in the narratives of literature and its staging was so unbelievable that was remaining in the wishes and dreams. The thoughts of the struggler character needed to be voiced, listened and shared. There were attempts of staging home performances, e.g.: Sons of Tekla Batonishvili established theatrical circle, they translated “The Familiar Stranger” vaudeville by Karatygin, but failed to stage it due to the conspiracy and absence of finances. Alexandre Tchavtchavadze salon tried to present a performance of “Esther” by Racini but did not succeed. The staging of “Sinai”, a dramatic tragedy by Cornely (translated by Al. Tchavtchavadze) in which Nikoloz Baratashvili was participating, failed as well. During these time there were no acting techniques suited to romantic performances and the arena for actors – the stage.

According to Sandro Akhmeteli, the roots of Georgian romantic theatre subsisted in the poem “Merani” by Nikoloz Baratashvili. Despite we did not experience the period of romantic theatre, the dramaturgy of this epoch maintained the footprints of scenic romanticism.

საბა მეტრეველი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

რომანტიკული თეატრის ანარეკლები და ნიკოლოზ ბარათაშვილი

მე-19 საუკუნის სევდის ბურუსში ბევრი რამ ჩაკვდა სახელმწიფოებრიობა დაკარგულ, პოლიტიკურად გატეხილ, რუსის ჩექმით გადათელილ ქვეყანაში. ქართული რომანტიზმის განვითარების ეპოქაში რომანტიკული თეატრის მხოლოდ ანარეკლები თუ ჩანს და მისი ესთეტიკაც, უპირველესად, იმ ლიტერატურულ წრეებსა და სალონებშია საძიებელი, ასე ფართოდ რომ გაიშალა კრიზისული ეპოქის ფონზე.

ეროვნული ინტერესების გამომხატველი რომანტიკული გმირი ლიტერატურულ ნარატივში არსებობდა და მისი სცენაზე გადასვლა მხოლოდ სურვილად და მცდელობად რჩებოდა. რომანტიკული გმირის ფიქრები ითხოვდა მსმენელს, თანამოაზრეს, თანამზრახველს და სწორედ, ამიტომ იმართებოდა საშინაო წარმოდგენები, მაგალითად: თეკლა ბატონიშვილის ვაჟებს თეატრალური წრე შეუქმნიათ, უთარგმნიათ კიდევ პ. კარატიგინის ვოდევილი „ნაცნობნი უცნობნი“, თუმცა, სადადგმო ხარჯების უქონლობისა და შეთქმულების გამომჟღავნების გამო, ვერ დაუდგამთ. 40-იან წლებში ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონშიც უცდიათ რასინის „ესთერის“ დადგმა, მაგრამ არ განხორციელებულა. კორნელის ტრაგედია „სინას“ დადგმაც განუზრახავთ, მონაწილეთა შორის ბარათაშვილიც იყო, მაგრამ ვერც ეს მცდელობა გამოვიდა. ამ პერიოდისთვის არ არსებობდა არც რომანტიკული ესთეტიკის შესაფერისი სამსახიობო ხელოვნება და არც მსახიობის ასპარეზის ადგილი, სახლი სათამაშოი – თეატრი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ხასიათი, მისი არტისტული ბუნება სწორედ სალონებში ავლენდა თავს, ახდენდა თვითრეალიზაციას. აქ თამაშობდა, ოხუნჯობდა, ლხინობდა, არშიყობდა, ცეკვავდა, უკრავდა. ცეკვა-სიმღერა და ლექსთა თქმა, ქართული სალონების არსებობის ფორმა, უკვე იყო მწვავე სურვილი და დიდი ინტერესი სანახაობითი კულტურისადმი, რომლისთვისაც გაიღო მსხვერპლი ბარათაშვილიმაც. მან თარგმნა იოჰან ლაიზევიცის ტრაგედია „იულიუს ტარენტელი“. გიორგი ერისთავს გრიგოლ ორბელიანისაგან წამოუღია ეს თარგმანი,

როცა ქართული თეატრი აღადგინა. მანვე ბარათაშვილი თავის კომედია-პოემა „შეშლილში“ ტატოს სახელით მოქმედ პირად გამოიყვანა, „დავაში“ პოეტ ბეგლარის პროტოტიპიც ბარათაშვილია.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სანდრო ახმეტელი ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანში“ ხედავდა რომანტიკული თეატრის სანყისებს, „თეატრალურ სინამდვილეს“. მართალია, რომანტიკული თეატრის პერიოდი ვერ გავიარეთ, თუმცა სცენური რომანტიზმის ნაკვალევი ამ ეპოქის დრამატურგიამ შემოინახა.

NATALIA MIKHALENKO

Russia, Moscow

A.M. Gorky Institute of World Literature

Using Religious and Philisophic Symbolism to Create the Image of a Romantic Hero in Vladimir Mayakovsky’s “The Man”

Mayakovsky’s poem “The Man” can be seen as part of his autobiographical myth. Its titanic hero, capable of moving in time and space, possessing extraordinary vision, the ability to see the true essence of things, to breathe new life into them, resists the Lord of All Things, who reduces everything spiritualized by Man an object of consumption. Creating the image of a romantic hero, Mayakovsky addresses the biblical imagery, motives, associations, uses the speech patterns characteristic of Christian religious literature. It uses two major biblical motives: the Gospel story as a framework for the poem and the basis for its plot, and the Apocalypse as a symbol of cosmic catastrophe. Biblical imagery emphasizes the sacredness of the new concept of man. But Mayakovsky emphasizes the divine nature not only of the spirit, but also of the body, the pessimistic finale of his Man’s story contrasts with the evangelical text, creates a situation of direct dialogue with him. Following the aesthetics of neo-romanticism, Mayakovsky creates a theurgic myth using biblical symbols for this.

Н. В. МИХАЛЕНКО

Россия, Москва

Институт мировой литературы им. А.М. Горького Российской академии наук

**Использование религиозно-философской символики
для создания образа романтического героя в поэме
В.В. Маяковского «Человек»**

Поэма «Человек» является звеном в автобиографическом мифе Маяковского. Герой-титан Маяковского, способный перемещаться во времени и пространстве, обладающий необыкновенным зрением, способностью видеть истинную суть вещей, вдохнуть в них новую жизнь, противостоит Повелителю Всего, который то, что было одухотворено Человеком, низводит до объекта потребления. Создавая образ романтического героя, Маяковский обращается к библейской образности, мотивам, ассоциациям, использует характерные для христианской религиозной литературы обороты речи. В качестве рамки и сюжетообразующей основы поэмы взята евангельская история, а также предание Апокалипсиса как символа космической катастрофы. Библейская образность подчеркивает сакральность нового представления о человеке. Но Маяковский делает акцент на божественной природе не только духа, но и тела, пессимистический финал истории его Человека контрастирует с евангельским текстом, создает ситуацию прямого диалога с ним. Следуя эстетике неоромантизма, Маяковский творит теургический миф, используя для этого библейскую символику.

INGA MILORAVA

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Time and Space in Nikoloz ‘ Baratashvili’ s Poetry

Nikoloz Baratashvili artistic time and space becomes one of the spiritual mood expressions. In general, a feature of time-space , separate Chronotop and spatoal models , as well as time of the form. All artistic work combines the spiritual pccesses atattitudes, feelings, expressive function. But Nicoloz Baratashvili,

as a romantic poet, at time and space of their own , turning point of individual gaze through the prizm and he gives conceptual meaning in the verse. For Nikoloz Baratashvili time0space characters of particular spatial models is Mountain, the citi, the river, the desert. Some special features of the spatial models of certain connection of the segment , for example Mtarsminda is a solid model, with its clear-cut signs that the poet ;;spiritual friend”, or the reflection of the spirit, the soul which he comes it is strong. The action will not be repeated as often as time this model will aoways be the poet’s soul sign and consolation.

It is also important to undertand the direction of movement of the poet-ic sense of space and freedom of thought in terms of grapichs. The careng of Merani starts from the earth and garadually it reaches up with the ;;stars”. The discourse of this vertical movement you cen see in Mtatsminda ‘Heavenly Dwelling”. However it is clear that people are not able to reach the last point, as well as understanding of the essence of existence, but Upward movment is the same importance as the human action in the world. Oposition down – up is anderstood like this downstairs, is the vanity of early space, air – the heavenly station will be overcome with empty feelings. That is why the movement of all ceses, in this direction- going from down to up, which clearly fits into the space vertical human, so the spiritual man by the recovery and utilization of the concept. In the reduction and utilization concept by the spiritual human.

It’s important to understand the historical time-space by Baratashvili, which are different from liryc and already mean to near with real event it protects the chronological framework and parameters but here is not excluded subjectivity, too.

ინება მილორავა

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური დრო და სივრცე

ნიკოლოზ ბარათაშვილის მხატვრული დრო და სივრცე პოეტის სულიერი განწყობის გამოსახვის ერთ–ერთი საშუალება ხდება. ზოგადად, მხატვრული დრო–სივრცე, ცალკეული ქრონოტოპები და სივრცული მოდელები, ასევე დროის მდინარების ფორმები (თანმიმდევრობა – ძლიერი, სუსტი, არათანმიმდევრობა, ზედროული პლანები) ყვე-

ლა მხატვრულ ნაწარმოებში ითავსებს სულიერი პროცესების, განწყობების, გრძნობების გამომხატველის ფუნქციას, მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც რომანტიკოსი პოეტი, დროსა და სივრცეს მთლიანად საკუთარი, ინდივიდუალური მზერის პრიზმაში გარდატეხს და კონცეფტუალურ მნიშვნელობას ანიჭებს ლექსში.

ბარათაშვილის დრო-სივრცისათვის დამახასიათებელი კონკრეტული სივრცული მოდელებია: მთა, ქალაქი, მდინარე, უდაბნო. განსაკუთრებულია ცალკეულ სივრცულ მოდელთან დროის გარკვეული სეგმენტის დაკავშირების თავისებურება: მაგ. მთანმინდა („შემოღამება მთანმინდაზედ“) არის მყარი მოდელი, თავისი გამოკვეთილი ნიშნებით, რომლებიც პოეტის „სულიერი მეგობრის“, ანუ სულის ანარეკლის, სულის პეიზაჟის სახით წარმოსდგა და იგი მყარია. მოქმედება რამდენჯერაც არ უნდა განმეორდეს დროში, ეს მოდელი მუდმივად იქნება პოეტის სულის ანაბეჭდი და ნუგეშისმომტანი

ასევე მნიშვნელოვანია სივრცეზე გადაადგილების მიმართულებების გააზრება პოეტური განცდისა და აზრის გრაფიკულად გამოსახვის თვალსაზრისით. მერნის ქროლვა იწყება მიწიდან და თანდათანობით ნიკოლოზ „ვარსკვლავთა თანამავალთა“ სიმაღლემდე აღწევს. ეს ვერტიკალური მოძრაობის დისკურსი ჩანს მთანმინდაზე „ზენაართ სადგომის“ განჭვრეტისასაც, თუმცა ნათლად ჩანს, რომ ადამიანს ბოლო წერტილის მიღწევა არ შეუძლია, ისევე, როგორც არსებობის არსის შეცნობა, მაგრამ აღმავალი მოძრაობა არის იმავე მნიშვნელობის მქონე, როგორც ადამიანის ქმედება სამყაროში, „რადგანაც კაცნი გვქვიან...“ ოპოზიცია „დაბლა“ – „მაღლა“ გაიზარება ასე: დაბლა, მიწიერ სივრცეში არის ამაოება, „მაღლა“ – ზეციურ სადგურში დაიძლევა ფუჭი განცდები. ამიტომაც მოძრაობა ყველა შემთხვევაში ამ მიმართულებით – დაბლიდან მაღლისაკებ მიემართება, რაც სრულიად ნათლად ჯდება სივრცის „ვერტიკალური ადამიანის“, ანუ, სულიერი ადამიანის მიერ დაძლევისა და ათვისების კონცეფციაში.

უდაბნოს მოდელი ბარათაშვილთან ასევე სულიერი პეიზაჟის ნაწილია და დრო მას ვერაფერს აკლებს. ის სახეები, რომლებიც უდაბნოში აღმოცენდება და წამიერადვე იშლება ნ(ზედლიერი დროული თანმიმდევრობა) უფასურდება და ქრება ცხოვრებისა და არა დროის გამო („ვპოვე ტაძარი“) და ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეპიზოდული დროის პარამეტრებისა და ცხოვრების გამოჯვნა – ცხოვრება არა დროის დინების, არამედ ემოციურ-ზნეო-

ბრივი წერტილების მონაცვლებოადაა წარმოდგენილი და მთლიანად აბსტრაგირებულია.

მნიშვნელოვანია ისტორიული დრო-სივრცის ბარათაშვილისეული გააზრება, რომელიც ლირიკისაგან განსხვავებულია და უკვე ქრონოლოგიური ჩარჩოების, პარამეტრების და მოვლენების რეალურთან მიახლოებით მაინც დაცვას გულისხმობს, თუმცა სუბიექტივიზმი აქაც არ გამოირიცხება

LADO MINASHVILI

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Nikoloz Baratashvili and the Problem of the Fate of Kartli

In his epic poem “Bedi Kartlisa” N. Baratashvili discussed dramatic issue for period and not only for his times – the issue of political orientation of Georgia.

The poet’s merit is not raising this issue (many thinkers were worried of it) but he first gave rational, documented answer on it. He showed artistically, that country destiny was determined by existed political condition created during Krtsanisi Battle.

Baratashvili showed clearly that reprimands expressed against King Erekle before, during and after N. Baratashvili – he threw us to Russian’s hands – were unreasonable.

Entering Georgia under Russia’s patronizing did not depend on King Erekle’s will but he foreseen its inevitability which was approaching Georgia from the North as an Empery of Russia and led the country carefully to meet it in order to avoid disasters. It was the King’s wisdom and far-sightedness.

ლადო მინაშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიკოლოზ ბარათაშვილი და ქართლის ბედის პრობლემა

ნ. ბარათაშვილმა პოემაში „ბედი ქართლისა“ თავისი დროისათვის და არა მარტო თავისი დროისათვის, მწვავე საკითხი დასვა – საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. ეს საკითხი ჩვენს დრო-

ში, ახლებურ ვითარებაში ერთგვარად კვლავ იძენს აქტუალურობას. ნ. ბარათაშვილის დამსახურება ამ პრობლემის დასმაში კი არ მდგომარეობს, რამდენადაც იგი ნ. ბარათაშვილამდეც აინტერესებდათ და მას შემდეგაც, არამედ მნიშვნელოვანი ისაა, რომ პოეტმა ამ მღელვარე საკითხს მოფიქრებული და დასაბუთებული პასუხი გასცა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ერეკლე მეფეს არა მარტო შეუვალ არგუმენტებს წარმოადგენინებს რუსეთის მფარველობაში შესვლის სასარგებლოდ, რასაც ბრძენი მსაჯული ხელშესახებს ვერაფერს დაუპირისპირებს (იგი მხოლოდ სურვილების დონეზე დარჩება), არამედ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, პომის მიხედვით, პოეტი მეფე ერეკლეს აარიდებს იმ საყვედურს, უფრო სწორად, იმ ბრალდებას, რასაც ხშირად უყენებდნენ მას – რუსის ხელში ჩაგვავდო. ნ. ბარათაშვილის მიხედვით, მეფის დამსახურება ის კი არაა, რომ რუსეთთან კავშირისაკენ ქვეყანა თავისი ნებით, სურვილით მიჰყავდა, არამედ ის, რომ ბრძენი მეფე ხედავდა იმას, რასაც სხვები ვერ გრძნობდნენ, რომ „დღეს იქნებოდა თუ ხვალ“, რუსეთი კავკასიაში შემოიჭრებოდა. მეფე ერეკლე იმაზე ზრუნავდა, რომ საქართველოსთვის დაპყრობის ნგრევა აერიდებინა და ისედაც შემცირებული ქართველი ხალხი ახალი უაზრო მსხვერპლისაგან დაეცვა, რუსეთთან ადრევე განემტკიცებინა ურთიერთობა პოლიტიკური ხელშეკრულებით.

IRINE MODEBADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rstaveli Institute of Georgian Literature

“Below me the silver-capped Caucasus lies...”

(At the beginning of a romantic myth)

A special attitude to nature, empathy, fusion with it as a manifestation of the unity of man and all things is the main feature of the poetics of romanticism. Romantic landscapes, more often than not, an appeal to the intuitive form of cognition of the world, an attempt to penetrate into the deep connection of micro- and macrocosm.

The Caucasus in this sense was an inexhaustible treasury. Ascended to Heaven mountain peaks, gloomy dark gorges reminiscent of the Underworld, wild

temper of mountain waterfalls, showing the look of a combination of all conceivable colors and shades picturesque valleys...All this grandiose, romantic in its nature, full of original contrasts, the nature of this land itself created the illusion of transferring in time - to the first days of Creation, to the basis of the universe.

The report will analyze the Alexander Pushkin's biblical archetypes, motifs and associations of descriptions of the Caucasus nature.

ИРИНЭ МОДЕБАДЗЕ

Грузия, Тбилиси

Институт грузинской литературы им. Шота Руставели

«Кавказ подо мною...» (у истоков романтического мифа)

Особое отношение к природе, сопереживание, слияние с ней как проявление единства человека и всего сущего – основная особенность поэтики романтизма. Романтический пейзаж - это, чаще всего, обращение к интуитивной форме познания мира, попытка проникновения в глубинную связь микро - и макрокосма.

Кавказ в этом смысле оказался неисчерпаемой сокровищницей. Грандиозная, романтическая по своему характеру, исполненная первозданных контрастов, природа этого края (вознесенные ввысь - к Небесам - горные пики, мрачные, напоминающие о Преисподней, темные ущелья, дикий нрав горных рек и водопадов, живописные долины, демонстрирующие взгляду сочетания всех мыслимых цветов и оттенков) сама по себе создавала иллюзию перенесения во времени – к первым дням Творения, к основе мироздания.

В докладе будут проанализированы библейские архетипы, мотивы и ассоциации природы Кавказа в лирике А.С.Пушкина.

NANA MREVLISHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Semiotic Context of a Desert in Nikoloz Baratashvili's Works

Archetypal models of semiotic context of space, as a means of forming a psychotype (psychological portrait) of a protagonist (/antihero), date back to ancient times (ancient literature, biblical books) and still continue to function (according to a transformed genre or idea). Often, in a text, the precondition for realizing a protagonist's goal is the presence in a specific in topos where a plan/mission has to be realized. Although, the presence in a relevant in topos is not a guarantee that the goal will be realized, coincidence of time and space is necessary for effecting such an act (the completeness of a chronotype).

In the works of religious writing, specifically, in hagiography, the correlation between a personage and chronotype is somewhat ontological; furthermore, it is represented in a quite complex scheme. None the less important is the issue of chronotype in the works of Romantics, particularly, in Baratashvili's works. In our paper, we are attempting to present the functioning of space/ topos in Nikoloz Baratashvili's creative works, in general, the correlation between a protagonist and topos, and the specific semiotic context artistic generalization of the topos of desert acquires in the works of this author.

ნანა მრევლიშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

უდაბნოს სემიოტიკური კონტექსტი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში

სივრცის სემიოტიკური კონტექსტის არქეტიპული მოდელები, როგორც გმირის(/ანტიგმირის) ფსიქოტიპის (ფსიქოპორტრეტის) ფორმირების ერთგვარი საშუალება, დასაბამს იღებს უადრესი პერიოდებიდან (ანტიკური ლიტერატურა, ბიბლიური წიგნები) და ფუნქციონირებას (ტრანსფორმირებულს უანრისა თუ იდეის შესაბამისად)

დღემდე განაგრძობს. ხშირად ტექსტში პროტაგონისტის მიზნის რეალიზების წინაპირობაა მყოფობა იმ კონკრეტულ ტოპოსში, რომელშიც უნდა აღსრულდეს განზრახული/მისია. თუმცა, შესაბამის ტოპოსში მყოფობა ჯერ კიდევ არ არის მიზნის რეალიზების გარანტი. ამგვარი აქტის განსრულებისთვის საჭიროა თანხვედნილი დრო და სივრცე (ქრონოტოპის მთლიანობა).

სასულიერო მწერლობის, კონკრეტულად კი, აგიოგრაფიული ჟანრის, ძეგლებში პერსონაჟისა და ქრონოტოპის კორელაციას ერთგვარად ონტოლოგიური ხასიათი აქვს, ამასთან, იგი მეტად რთული სქემითაა მოცემული. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქრონოტოპის პრობლემა რომანტიკოსების, კერძოდ კი – ბარათაშვილის შემოქმედებაში. ნაშრომში ვცდილობთ წარმოვაჩინოთ როგორ ფუნქციონირებს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში სივრცე/ტოპოსი ზოგადად, რა სახისაა გმირისა და ტოპოსის კორელაცია და რა კონკრეტულ სემიოტიკურ კონტექსტს იძენს უდაბნოს ტოპოსის მხატვრული განზოგადება ამ ავტორთან.

ANNA R. MURADOVA

Russia, Moscow

Institute of Linguistics, Russian Academy of Sciences

Celtic Romanticism in French Literature: From Matière de Bretagne to Chateaubriand

French Romanticism is hardly imaginable without the Celtic, more exactly Breton literary sources. The publication of so-called Ossian's poetry by McPherson in 1761 was the first attempt to introduce the Celtic heritage in English Literature. The success of this publication in many European countries made the Medieval Celtic literature and contemporary folklore of Ireland, Scotland Wales and French Brittany a source of inspiration for English and French authors.

The impact of Breton Medieval literature on the French poetry and prose was considerable in XI – XIIth centuries, so the interest for Middle Ages in France meant the revival of “matière de Bretagne”: Tristan and Isold love story and Arthurian cycle. The influence of the Breton folklore on the French Romanticism is not so well studied, but it seems to be taken into consideration too. “Les mem-

oires d'outre-tombe” by Francois-Rene de Chateaubriand born and brought up in Brittany are partly based on local ghost stories. The publication of the bilingual BarzazBreiz by Theodore Hersart de la Villemarquee in 1839 inspired by Breton folk songs was a step forwards the romanticisation of contemporary Brittany and its culture.

А. Р. МУРАДОВА

Россия, Москва

Институт языкознания РАН

Кельтские мотивы во французской романтической литературе: от Matière de Bretagne до Шатобриана

Французская литература эпохи романтизма не обошла своим вниманием модную в то время кельтскую тему. Публикация так называемых «Оссиановых песен» Джеймсом Мак Ферсоном в 1761г. вызвало живой интерес европейской читающей публики к раннесредневековым ирландским текстам, более поздним валлийским, шотландским и бретонским, а также к современному фольклору кельтских окраин. У Макферсона нашлось немало последователей, и кельтская тема стала весьма популярной в романтической литературе, так что к началу XIX в. возникла мода на кельтов и кельтское прошлое – кельтомания.

Кельтомания не обошла стороной и Францию, тем более, что французская средневековая литература в XI – XII вв. испытала сильное влияние бретонской литературной традиции. Именно тогда французский читатель познакомился с романами о Тристане и Изольде и Артуровском циклом. Интерес писателей эпохи романтизма к Средневековью заставил вновь обратиться к этим сюжетам. К тому же бретонский фольклор, до того не привлекавший внимания образованной публики, начал вызывать живейший интерес. Так, в своих воспоминаниях о детстве Франсуа-Рене де Шатобриана опирается на местные былички о привидениях. Однако самым ярким литературным произведением, базирующимся на бретонских фольклорных источниках, является двуязычный сборник Теодора Эрсара де ля Виллемарке BarzazBreiz (Бретонские песни), изданный в 1839 г. и написанный под явным влиянием Мак Ферсона. Благодаря этому сборнику, вызвавшему немало споров относительно подлинности вошедших в него баллад, возник интерес к бретонскому фольклору среди французской публики.

MAIA NACHKEBIA

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Pessimistic Discourse:
Baroque Lamentations and Romanticism Reflections**

The researchers emphasize significance of baroque literature and its influence on the further literary traditions while the interest of the researchers is focused on the issues of interrelations between baroque and romanticism and the similarities and differences of these two art systems attract attention. In different national literatures the influence of baroque on the art of romanticists was reflected at the level of motifs and images functioning: thoughts about the eternal issues of life and death, vanity of human life, transience, links baroque and romanticist literature.

Baroque authors are characterized with excessively dramatic perception of life and particular interest to the tragic motifs as expressed by disturbance, upset, sense of doom. One of the literary traditions of romanticism is seeking of life truths, particularly the motif of transience and vanity of life.

Works of Georgian researchers emphasize significance of the literature of “so called renaissance age” for Georgian romanticism but this time we regard Georgian literature of 17th – 18th centuries as the baroque art system. Baroque is the area of dramatic confrontation of the world and individual: individual of baroque is not a perfect one, he is weak, follows his passions and this is tragic. That’s why baroque is characterized with negative attitude to life; human feelings are related to the motif of transience and vanity of life, with deep pessimism and understanding of own helplessness. It should be mentioned that romanticism has created such free poetic forms that are well suited to the specific lyrical situations and describes perfectly such specific lyrical situation experienced by the poet: this is acquiring of individual, author’s image, author’s appearance. Therefore, the lyrical character of romanticism has complex and many-sided inner world. Both, baroque and romanticism reflect negative attitude to life, pessimism. This work is intended to study the pessimistic discourse in Georgian baroque and romanticist texts.

Baroque authors express their negative attitude to life, their dissatisfaction with complaints, weeping and wail and therefore, we refer to these extremely

emotional attitudes as lamentation (Lat. *lamentatio* – weep, wail, groan). Unlike baroque, in the romanticist art they start to seek way out of the tragic situations, discussion and arguing. Therefore, their pessimistic attitude, though frequently placed within the Biblical context, is more contemplative, this is dialogue with one's own self and it is expressed by philosophical reflections. Compared with baroque lamentations they are less emotional and more balanced.

მანია ნაჭყუბია

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

პესიმისტური დისკურსი:

ბაროკოს ლამენტაციები და რომანტიზმის რეფლექსიები

მკვლევართა მიერ აღნიშნულია ბაროკოს ლიტერატურის მნიშვნელობა და მისი გავლენა შემდგომ ლიტერატურულ ტრადიციაზე, ხოლო ბაროკოს და რომანტიზმის ურთიერთმიმართების საკითხები ბოლო წლებში მკვლევართა ინტერესის სფეროში მოექცა და ყურადღებას იქვეცს როგორც ამ ორი მხატვრული სისტემის მსგავსებანი, ისე განსხვავებანი. სხვადასხვა ეროვნულ ლიტერატურებში ბაროკოს გავლენა რომანტიკოსთა შემოქმედებაზე მოტივებისა და სახეების ფუნქციონირების დონეზე აისახა: სიკვდილ-სიცოცხლის, ადამიანის ცხოვრების ამაოების, სწრაფწარმავლობის მარადიული საკითხებზე დაფიქრებით ბაროკოსა და რომანტიზმის ლიტერატურა ერთმანეთს ენათესავება.

ბაროკოს ავტორებისთვის დამახასიათებელია ცხოვრების უაღრესად დრამატული აღქმა და განსაკუთრებული ყურადღება ტრაგიკული მოტივებისადმი, რაც გამოიხატება შეშფოთებით, დაბნეულობით, განწირულობის განცდით. რომანტიზმის ლიტერატურული ტრადიციის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ცხოვრებისეული ჭეშმარიტების ძიების, კერძოდ, ცხოვრების სწაფწარმავლობისა და ცხოვრების ამაოების მოტივი.

ქართველ მკვლევართა ნაშრომებში აღნიშნულია „ე.წ. ალორძინების ხანის“ მწერლობის მნიშვნელობა ქართული რომანტიზმისთვის, მაგრამ ამჯერად XVII-XVIII სს ქართულ ლიტერატურას ჩვენ განვიხილავთ როგორც ბაროკოს მხატვრულ სისტემას. ბაროკო წარმოადგენს სამყაროსა და ადამიანის დრამატული დაპირისპირების ველს: ბაროკოს ადამიანი არ არის სრულყოფილი, იგი სუსტია, ემორჩილება

ვნებებს, ეს კი ტრაგიკულია. ამიტომაც არის განმსჭვალული ბაროკო ცხოვრებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით, წარმავლობის და ამაოების მოტივთანაა დაკავშირებული ადამიანის განცდები, რომლებიც აღბეჭდილია ღრმა პესიმიზმით და საკუთერი უძლურების შეგნებით. აღშანიშნავია, რომ რომანტიზმმა შექმნა ისეთი თავისუფალი პოეტური ფორმები, რომლებიც მორგებულია კონკრეტულ ლირიკულ სიტუაციაზე და სრულყოფილად ასახავს იმ კონკრეტულ ლირიკულ სიტუაციას, რომელიც პოეტმა განიცადა: ეს არის ინდივიდუალური, ავტორისეული სახის, აუტორისეული ჰაბიტუსის შექმნა. ამიტომაც რომანტიზმის ლირიკულ გმირს რთული და მრავალნახნაგოვანი შინაგანი სამყარო აქვს. ორივე მიმდინარეობაში, როგორც ბაროკოში, ისე რომანტიზმში აისახა ცხოვრებისადმი უარყოფით დამოკიდებულება, პესიმიზმი. სწორედ პესიმისტური დისკურსის შესწავლას გულისხმობს წინამდებარე ნაშრომი ქართული ბაროკოსა და რომანტიზმის ტექსტებში.

ბაროკოს ავტორები თავის უარყოფით განწყობას, უკმაყოფილებას ცხოვრებისადმი გამოხატავენ მღურვით, მოთქმითა და გოდებით, ამიტომ ამ უაღრესად ემოციურ განწყობას ლამენტაციად მოვიხსენიებთ (ლათ. *lamentatio* -დან ტირილი, ვაება, გოდება). ბაროკოსგან განსხვავებით, რომანტიკოსების შემოქმედებაში იწყება გამოსავლის ძიება ტრაგიკული სიტუაციიდან, მსჯობა და განსჯა, ამიტომ, მათი პესიმისტური განწყობა, მიუხედავად იმისა, რომ სწორად ბიბლიის კონტექსტში თავსდება, უფრო ჭვრელობითია, ეს არის დიალოგი საკუთარ თავთან და მას ფილოსოფიური რეფლექსიებით გადმოსცემენ, ისინი ბაროკოს ლამენტაციებთან შედარებით ნაკლებემოციური და განონასწორებულია.

KETEVAN NADAREISHVILI

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

The Golden Fleece of Grillparzer in the Context of the Writer's Literary and Aesthetic Outlooks

The Great Austrian writer Franz Grillparzer never considered his works to belong absolutely to any particular school of a literature. Though the dramatist openly declared his dislike towards the theorizing of romanticism, his definition

of a poetry shows close affinities with the spiritual disposition of his epoch, when the romantic worldperception reached its height.

The aesthetic and literary outlooksof Grillparzertconditioned ambiguityof his works.As for a form of an artistic creation, the models for him were the works of the XVII centaury French classicists, and generally,Grillparzer considered a form to be an essential feature of an art. On the other hand, the personal characteristics of the dramatist, namely his dreamy nature, predisposition towardssolitude contrary to *vita activita*, together with the decisive role of an inspiration and sentiments in the creative process caused the romantic mood of Grillparzer' literary production.

Given the importance of classical tradition in Grillparzer's work, our paper aims to study the interpretation of one of the most important mythological cycles of antiquity – the Argonauts' myth by the writer, who dedicated the whole trilogy to this topic.

The paper will study: a) the form of the work – trilogy, its relation towards the ancient model; b) the cornerstone of Grillparzer's interpretation of the myth – the West-East opposition; c) the symbolic consideration of the golden fleece. Special attention will be paid to the writer's approach toward the characterization of his personages.

The conclusion of the paper will suggest useful insights for thestudies of this importantreception of Argonauts' myth. Besides it will facilitate to reveal the characteristic features and mood of romanticism in the work of the writer considered to be a great admirer of the classical tradition.

ქეთევან ნადარეიშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გრილ პარცერის ტრილოგია „ოქროს სანმისი“ მწერლის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებათა ქრილში

დიდი ავსტრიელი მწერალი ფრანც გრილ პარცერი თავის შემოქმედებას ერთ კონკრეტულ ლიტერატურულ სკოლას არ მიაკუთვნებდა. მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგი ღიად აფიქსირებდა უარყოფით დამოკიდებულებას რომანტიკოსთა თეორიული პრინციპების მიმართ, პოეზიის გრილპარცერისეული გაგება მჭიდრო კავშირს გვიჩვენებს

მისი ეპოქის სულიერ განწყობასთან, ეპოქისა, როდესაც რომანტიული მსოფლალქმა თავისი განვითარების მწვერვალს აღწევს.

გრილპარცერის ლიტერატურულ-ესთეტიკური ხედვა ამ კუთხით მისი შემოქმედებისთვის სახასიათო ამბივალენტიზმის მიზეზი გახდა. ფორმის თვალსაზრისით, მისთვის მოდელს XVII ს-ის ფრანგი კლასიციზტების ქმნილებები წარმოადგენდა, და, საზოგადოდაც, ფორმას ხელოვნების ერთობ არსებით ნიშან-თვისებად მოიაზრებდა. მეორე მხრივ, გრილპარცერის პიროვნულმა მახასიათებლებმა, კერძოდ, მისმა მეოცნებე ბუნებამ, მარტოობისკენ მიდრეკილებამ *vita activa*-ს საპირისპიროდ, ამასთან შთაგონებისა და განწყობის გადამწყვეტმა როლმა შემოქმედებით პროცესში მის მხატვრულ ნაწარმოებთა რომანტიკული ელფერი განაპირობა.

გამომდინარე იმ მნიშვნელობიდან, რომელიც კლასიკურ მემკვიდრეობას გრილპარცერის შემოქმედებაში აქვს, ჩვენი ნაშრომი მიზნად ისახავს შეისწავლოს, თუ როგორ გაიაზრა მწერალმა თავისი ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებათა ჭრილში ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მითოლოგიური ციკლი – არგონავტების მითოსი, რომელსაც ტრილოგია „ოქროს საწმისი“ მიუძღვნა.

მოხსენებაში განხილული იქნება: ა) ნაწარმოების ფორმა – ტრილოგია და მისი მსგავსება-განსხვავება ანტიკური მოდელისგან; ბ) ტრილოგიის ერთ-ერთი მთავარი თემა – აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირება, როგორც ამ მითოსის გრილ პარცერისული გააზრების ქვაკუთხედი; გ) საწმისის ამქვეყნიური დიდების ამაოების სიმბოლოდ განხილვა და ამისი მიზეზი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პერსონაჟის გამოსახვისადმი მწერლის დამოკიდებულებას – რამდენად მნიშვნელოვანია გრილ პარცერისთვის ხასიათი, მისი ფსიქოლოგიური განვითარება, რამდენად ნიშანდობლივია მისი პერსონაჟებისთვის ინსტიტუტების, გრძნობების, ემოციათა სიჭარბე, რა ადგილი უჭირავს ხასიათისა და ბედისწერის ურთიერთობას, ბედისწერასთან პერსონაჟის ჭიდილს.

კვლევის შედეგები საყურადღებო იქნება არგონავტიკის მითოსის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინტერპრეტაციის მკვლევართათვის. ამავდრულად, იგი ნათელს მოჰფენს, თუ რა კუთხით წარმოჩინდა რომანტიზმის ესთეტიკის ნიშანდობლივი მახასიათებლები და განწყობები კლასიკური მემკვიდრეობის თავყვანისმცემელი მწერლის შემოქმედებაში.

ВАЛЕНТИН НИКИТИН

Российская Федерация, Москва

Журнал «Наука и религия»

Религиозно-мистические мотивы в поэзии Николоза Бараташвили: исповедь как путеводитель к Богу

В русском языке слово «исповедник» может обозначать: 1) человека (обычно мирянина), который исповедуется священнослужителю; 2) священнослужителя, который принимает исповедь, то есть, духовное лицо; 3) верующего, который свидетельствует о своей вере, исповедует её открыто даже перед безбожниками, с готовностью принять мученический венец от Господа; такие исповедники вдохновляются обетованием Самого Христа: «Всякого, кто исповедает Меня пред людьми, того исповедаю и Я пред Отцем Моим Небесным» (Мф. 10, 32). Во всех этих 3-х аспектах Николоза Бараташвили можно считать исповедником... В своем докладе я хотел бы охарактеризовать духовную сущность и своеобразие жанра исповеди в поэзии (исповедальность – квинтэссенция поэзии) и сказать о том, какое достойное воплощение этот жанр нашел в лирике гениального грузинского поэта и в его поэме «Судьба Грузии». Моя «сверхзадача» - использовать теологический инструментарий, сравнительно редко употребляемый литературоведами. И еще надеюсь показать влияние Н.Бараташвили – не только на «голубороговцев» (начиная с первого переводчика «Мерани» В. Гаприндашвили), но даже на некоторых русских поэтов XX века – через Б.Пастернака (это особая тема). Параллели с Лермонтовым – грузинским Бараташвили – будут вполне уместны; удивительно, что оба великих поэта жили всего 27 лет!..

AVTANDIL NIKOLEISHVILI

Georgia, Kutaisi

Akaki Tsereteli State University

Shalva Dadiani's Tragedy "Baratashvili" in the Context of Corresponding Period

Despite the fact that Shalva Dadiani's tragedy "Baratashvili" (1930) is dedicated to the life and work of the great Georgian romantic poet, it is also an attempt to describe the reality of Georgia in the 30-40s of the XIX century. The structure of the work is so different from the other works of the writer that it makes the impression of the dramatization rather than of independent fiction.

The main value of the play, first of all, is the fact that it clearly shows the national attitude of the society and the epochal events of those times. While describing the national-political views of the historical characters, Shalva Dadiani without any embellishment describes their anti-Russian spirit expressed in radical forms. The author's civil courage is reinforced by the circumstances that he managed to do all this despite the great trouble he had already undergone not long ago while publishing his first novel – "The Luckless Russian".

It won't be exaggerated to note, that in Georgia during the Russian government national problems interpreted by Shalva Dadiani were aimed not only to contradict the colonial politics of Tsarist Period but the writer's indirect fight against the pseudo-international ideology of those times. In this case it should be noted that he did it in the 30s of the last century during the bloody repressions.

In the period of the creation of this work, the government members and the representatives of the proletarian writing fought against the classical writers. The reason of this fight, as they proved, was the fact that national and social-political views of the writers did not principally correspond with the soviet ideology.

The above mentioned work was written during the nihilist period and was against not only the anti-national policy of proletarian writers but also against the government that established it.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შალვა დადიანის ტრაგედია „ბარათაშვილი“ შესაბამისი პერიოდის მოვლენათა კონტექსტში

მიუხედავად იმისა, რომ შალვა დადიანის ტრაგედია „ბარათაშვილი“ (1930 წ.) დიდი ქართველი რომანტიკოსი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება, იგი XIX საუკუნის 30-40-იანი წლების ქართული სინამდვილის მხატვრულად წარმოჩენის მცდელობასაც წარმოადგენს. სტრუქტურული თვალსაზრისით ეს ნაწარმოები იმდენად განსხვავდება დრამატურგის სხვა ქმნილებათაგან, რომ ლიტერატურული ინსცენირების შთაბეჭდილებას უფრო მეტად ტოვებს, ვიდრე დამოუკიდებელი მხატვრული ტექსტისას.

პიესის უმთავრეს ღირსებად უპირველეს ყოვლისა ის ფაქტი უნდა მივიჩნიოთ, რომ მასში მასშტაბურადაა წარმოჩენილი იმდროინდელი ჩვენი საზოგადოების ეროვნული განწყობილება და მაშინდელი ეპოქალური მოვლენები. კერძოდ, პიესის ისტორიულ პერსონაჟთა ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვის წარმოსახვის დროს შალვა დადიანი რადიკალური ფორმით გამოხატულ მათ ანტირუსულ სულისკვეთებასაც წარმოაჩენს ყოველგვარი შენიღბვის გარეშე. აღნიშნულ გარემოებასთან ერთად, დრამატურგის მოქალაქეობრივ გაბედულებას კიდევ უფრო მეტ მასშტაბს სძენს ის გარემოება, რომ ეს ყველაფერი მან იმ დიდ უსიამოვნებათა მიუხედავად გააკეთა, რაც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ უკვე ჰქონდა გადატანილი მისი პირველი რომანის – „უბედური რუსის“ გამოქვეყნების გამო.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ რუსული მმართველობის დროინდელ საქართველოში არსებულ ეროვნულ პრობლემათა შალვა დადიანისეული გააზრება მხოლოდ ცარისტული პერიოდის კოლონიური პოლიტიკის მხილებას არ ისახავდა მიზნად და მწერალი ამ გზით თავისი ეპიქის ფსევდონიმურნაციონალურ იდეოლოგიასაც უპირისპირდებოდა არაპირდაპირი ფორმით. ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ ამას იგი გასული საუკუნის 30-იან წლებში აკეთებდა, სისხლიანი რეპრესიების აღზევების ჟამს.

იმ პერიოდში, როცა მწერალმა ეს ნაწარმოები შექმნა, ხელისუფლების მესვეურებსა და მათი პოლიტიკის მორჩილ პროლეტარული

მწერლობის წარმომადგენლებს გააფთრებული ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული კლასიკოს მწერალთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლის განმაპირობებელ უმთავრეს საფუძველს ის გარემოება წარმოადგენდა, რომ, მათი მტკიცებით, კლასიკოს მწერალთა ეროვნული და სოციალურ-პოლიტიკური თვალთახედვა პრინციპულად არ შეესაბამებოდა საბჭოთა იდეოლოგიას.

სხენებული ნაწარმოები დრამატურგმა კლასიკოსი მწერლებისადმი სწორედ ასეთი ნიჰილისტური დამოკიდებულების პერიოდში დაწერა და ამით არა მარტო პროლეტარული მწერლობის ანტიეროვნულ პოლიტიკას დაუპირისპირდა, არამედ ამ პოლიტიკის დამამკვიდრებელ ხელისუფლებასაც.

MAIA NINIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Moses and Aaron of the 19-th century Georgian Literature

Great artists have considerable influence on their contemporary culture and determine its vectors but if an artist is not a strong and authoritative personality he doesn't have such influence on the masses and strives forward absolutely alone. That was the case with Nikoloz Baratashvili. He was so far ahead of his time that his contemporaries could not see his virtues and only the following generation noticed them.

Before 1860 when Ilia Chavchavadze read Baratashvili's manuscripts, Georgian reader knew him only as an author of three average poems published in "Tsiskari" and the narrative poem "The Fate of Kartli" published with such omissions that the whole idea was lost. Ilia was under such a strong impression that dedicated two poems to Baratashvili and organized publication of his poetry in "Tsiskari".

Akaki Tsereteli in the article published in 1865 describes emotional bonds between Nikoloz Baratashvili and Ilia Chavchavadze but mentions difference of their roles as well. He compares them with Biblical Moses and Aaron. When *Moses received an assignment to lead God's people out of Egyptian captivity*, he hesitated and said "I am slow of speech and slow of tongue" but God told him:

“Is there not your brother Aaron the Levite? I know that he speaks fluently... he shall speak for you to the people; and he will be as a mouth for you”. This comparison with Moses and Aaron points at different roles and missions of Nikoloz Baratashvili and Ilia Chavchavadze which is no less important than similarity between them.

მანია ნინიძე

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის მოსე და აარონი

